კ. მარქსის სახ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მ. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3-ს-დე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 18—80.

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი 1925წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 283 (1438)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- გაიხსნა სპარსეთის დამფუძნებელი კრება.
- აჯანყებული სირიელები იერიშით მიდიან დამასკოზე.
- მოსკოვში ჩავიდა ფინეთის პარლამენტური დელეგაცია.
- მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენცია.
- ნოემბრის განმავლობაში ფრანგული ფრანკის კურსი 100 პროცენტით დაეცა.
- ვარშავაში გარდაიცვალა პოლონეთის ცნობილი მწერალი ვლადისლავ რეიმონდი.

დღეს, 9 დეკემბერს, დილის 10 საათზე
თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია
საქ. კომპარტიის თბ. კომიტეტის პრეზიდიუმის
სხდომა
თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა
თბილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი**

ერთა ლიგის სესია

ჟენევაში თავს იყრიან მორიგ სესიაზე ერთა ლიგის საბჭოს წევრები. სესიის დღის წესრიგში, სხვათა შორის, დასმულია ოსმალეთ-მესოპოტამიის საზღვრების მოწესრიგების და შეიარაღების შემცირების საკითხები.

პირველი საკითხი არის საკითხი მოსულის რაიონის შესახებ, რომლის გარშემო ოსმალეთ-ინგლისს შორის არსებულმა უთანხმოებამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო ამ ბოლო დროს. ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ინგლისელ ლიბერალების „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის აზრი: თუ ერთა ლიგა მოსულის საკითხში გამოიტანს ოსმალეთისათვის არახელსაყრელ დადგენილებას, უკანასკნელი შეესევა მოსულის ოლქს და ინგლისს ომს გამოუცხადებსო. რომ ლიგა სწორედ ასე მოიქცევა, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ამ ჟამად საქმე ომის გამოცხადებამდე არ მივიდეს, მაგრამ ცხადია, რომ ხელსაყრელ მომენტში ოსმალეთი არ დააყოვნებს გადაჭრილ ნაბიჯების გადადგმას მის საზიანოდ მიმართულ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობს მოსულის საკითხი? რით იზიდავს ოლქი ინგლისს. მოსული ერთ-ერთი უმდიდრესი რაიონია ნავთის წყაროებით. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ნავთი მსოფლიო იმპერიალიზმის მამოძრავებელი ძალაა. მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც ოსმალეთისათვის დამარცხებით გათავდა, ინგლისი წაეპოტინა მოსულის ნავთიან რაიონს და ხელთ იგდო იგი. ფორმალურად თითქო არ დაუპყრია. საქმე ის არის, რომ ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ მის ნაწილებიდან დაარსდა რამოდენიმე „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო. ერთი მათგანია ირაქი. უკანასკნელზე მანდატი ერთა ლიგამ შესთავაზა ინგლისს, რომელმაც მოსულის რაიონი ირაქის კუთვნილებად გამოაცხადა. ნამდვილად კი თვითონ შეიქნა მისი სრული ბატონპატრონი. ოსმალეთის მოსულის ოლქი თავის ტერიტორიის უდავო ნაწილად მიაჩნია და დიდი ხანია ცდილობს მისი შემოერთებას.

ეს დავა გასულ ნოემბერში გაარჩია ე. წ. ჰააგის უმაღლესმა ტრიბუნალმა, რომელმაც ინგლისის გავლენით საკითხი ირაქის, ე. ი. ინგლისის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ამის გამო ოსმალეთის გაზეთები აღშფოთებას გამოსთქვამდენ. ანგორის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ჰააგის ტრიბუნალის განაჩენის გამო და მას არ დაემორჩილა.

დღეს ეს საკითხი ირჩევა ერთა ლიგის სესიაზე. ინგლისელები მოითხოვენ ისეთი საზღვრების დაწესებას ირაქ-ოსმალეთ შორის, როცა მოსულის ვილაიეთი მოექცეოდა პირველის ტერიტორიაში და როცა ინგლისი გაბატონდებოდა სტრატეგიულად და ეკონომიურად მთელ ოსმალეთზე.

ოსმალეთში არავის სჯერა, რომ ერთა ლიგის საბჭო გამოიჩენს ცოტა მიუდგომლობას მაინც, უკვე ცხადია ყველასათვის, რომ მისი გადაწყვეტილება მიმართული იქნება ოსმალეთის ინტერესების წინააღმდეგ. ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე“ ხაზს უსვამს, რომ ოსმალეთი მომზადა ყოველგვარ შემთხვევისათვის და ერთა ლიგას უყურებს არა როგორც მიუდგომელ საერთაშორისო ტრიბუნალს, არამედ როგორც ტრიბუნას, რომლიდანაც ოსმალეთი თავის მართალ საქმეს გააცნობს მთელ მსოფლიოსო.

ამგვარად, ოსმალეთს არა აქვს რწმენა ერთა-ლიგისადმი, როგორც ყველა სხვა დანარჩენ აღმოსავლეთის ხალხებსაც, რომელთაც კარგად ესმით, რომ ერთა ლიგა იმპერიალიზმის იარაღია მათ დასამონებლად. მოსულის, ეგვიპტის, სირიის და სხვა მაგალითები ამის დამამტკიცებელია. ისინი გამონახავენ უფრო რეალურ საშუალებას იმპერიალიზმის მონობისაგან განსათავისუფლებლად, ვინემ ერთა ლიგისადმი მიმართვაა, ესაა შეიარაღებული აჯანყება ევროპის „ცივილიზატორების“ წინააღმდეგ, რომელიც თანდათან ფართე ხასიათს ღებულობს აღმოსავლეთში.

მეორე საკითხი, რომელსაც განიხილავს ერთა ლიგის საბჭოს სესია, ეხება შეიარაღების შემცირებას. ბურჟუაზიულ ქვეყნების შეიარაღება სულ უფრო იზრდება. მსოფლიო ომის ავტორები ხალხს ატყუილებდენ, რომ ესაა უკანასკნელი ომი, რომლის შემდეგ ქვეყნად მშვიდობიანობა დამყარდება და მილიტარიზმს ბოლო მოეღებაო. ჩვენ კი ვხედავთ, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ეხლა გაცილებით მეტი ჯარი ყავთ თოფ ქვეშ, ვინემ 1914 წლის წინ. ისინი ახალი სისხლისღვრისათვის ემზადებიან. ნაწილობრივი ომი კი დღემდეც „ჩვეულებრივი“ მოვლენაა. ბურჟუაზიული მსოფლიო იწნიქება მილიტარიზმის სიმძიმის ქვეშ, რომლისაგან ყველაზე უფრო, რა თქმა უნდა, მშრომელი მასები არიან შევიწროებული.

თავიანთ შეიარაღებას ისინი აბრალებენ „საბჭოთა იმპერიალიზმს“, რომლის შესახებ ათასნაირ ლეგენდებს ავრცელებენ. —ჩვენ გვსურს განიარაღება, მაგრამ გვეშინია საბჭოთა მთავრობის, რომელსაც დიდძალი ჯარი ჰყავს და რომელიც თავს დაგვესხმისო, ამბობენ ისინი. მაგრამ დღეს ძალიან ცოტაა ისეთი გულუბრყვილო, ვინაც სჯეროდეს ამ სიცრუის. ჯერ კიდევ გენუის კონფერენციაზე წამოაყენა ამხ. ჩიჩერინმა საყოველთაო განიარაღების წინადადება. ეს წინადადება ერთხმად იქნა უარყოფილი. ამავე საკითხის განსახილველად საბჭოთა მთავრობამ თავის დროზე მოიწვია დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნების კონფერენცია. ამ კონფერენციამაც ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო, ვინაიდან, გარდა ჩვენი მთავრობისა, არავინ მოისურვა თავისი შეიარაღებული ძალების შემცირება. საბჭოთა ხელისუფლებამ თვითონ შეამცირა წითელ არმიის რაოდენობა შესაძლებელ მინიმუმამდე და ამით ყველას დაუმტკიცა თავისი მშვიდობისმოყვარეობა. მაგრამ ევროპის ქვეყნები დღესაც აძლიერებენ თავის ჯარებს და საომარ მოწყობილობას.

ლოკარნომ ვითომ შექმნა ნიადაგი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის და შეიარაღების შემცირებისათვის. ასე ამბობენ მისი სულისჩამდგმელები. ამასთან დაკავშირებით კვლავ წამოიჭრა განიარაღების საკითხი. ერთა ლიგის საბჭოს განიარაღების კომიტეტი, რომელსაც მეთაურობს „რეალისტი“ პოლ ბანკური, შეუდგა მზადებას განიარაღების კონფერენციის მოსაწვევად. მაგრამ ამთავითვე აშკარაა, რომ ყველა აქედან არაფერი გამოვა. ლოკარნოში სახელმწიფოთა შორის გარეგნულ შეთანხმების მიღწევის უკან, უფრო გაღრმავდა ინტერესთა წინააღმდეგობა და ახალი ომის შესაძლებლობა უფრო რეალური გახდა.

ამიტომ, ლიგის საბჭოს ლაყბობა განიარაღების შესახებ ვერავის შეიყვანს შეცდომაში. კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის პირობებში ეს შეუძლებელი რამაა. საყოველთაო განიარაღებას მოახდენს მხოლოდ გამარჯვებული **საერთაშორისო პროლეტარიატი.**

კომუნისტების საპარლამენტო ფრაქციების კონფერენცია

საერთო მნიშვნელობის ფურთულესი საკითხები, რომლებიც სდგება მიმდინარე პოლიტიკის დღის წესრიგში, მოითხოვენ შეთანხმებულ პასუხს ყველა ქვეყნების კომუნისტური პარტიებისაგან. ეს კითხვები ხშირათ გამოაქვთ პარლამენტების ტრიბუნაზე და ხდება მათი საჯარო გარჩევა და ბრძოლა მათ ირგვლივ, როგორც ამ პარლამენტებში, ისე მათ გარედაც. ამიტომ კომუნისტების საპარლამენტო ფრაქციები ევროპაში დროგამოშვებით იკრიბებიან ხოლმე საერთო სამოქმედო ხაზის შესამუშავებლათ. ასეთ კონფერენციას უკვე ჰქონდა ადგილი შარშან კიოლნში (გერმანია). მისი მსჯელობის საგანს მაშინ შეადგენდა დაუესის გეგმის შეფასება და მის წინააღმდეგ მისაღებ კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება. ასეთივე კონფერენცია შეიკრიბა ამას წინად ბრიუსელში. დაესწრენ დელეგატები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან, პოლონეთიდან, ჰოლანდიიდან და შვეიცარიიდან. მან გაარჩია საკითხები: ლოკარნოს, ელზას-ლორენის, ვაშინგტონის ხელშეკრულების, სავაჭრო ხელშეკრულებათა და საბაჟო ტარიფების შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ ყველა დელეგაციები ერთსულოვანი იყვნენ იმ აზრში (რომელმაც საბოლოოდ ჰპოვა გამოხატულება სპეციალურ რეზოლიუციაში), რომ ლოკარნოს შეთანხმება არსებითად მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ბურჟუაზია ჩათრეული იქნა მოკავშირეთა ფერხულში, რომ ყოველივე ეს გამოხვეულია მშვიდობიანობის სამოსელში. ერთა ლიგა მიჩნეულია, როგორც საშუალება იმპერიალისტების ხელში მათი მიზნების გასატარებლად. კონფერენცია საჭიროთ სცნობს ყველა ქვეყნის მუშათა კლასის შეკავშირებას და აღიარებს ბრძოლის აუცილებლობას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც, ერთი მხრით—ხელს უშლის პროლეტარიატის ამ საერთო ფრონტის შექმნას და მეორე მხრით კი—თავისი აგიტაციით აძლიერებს პაციფისტურ ილიუზიებ მუშათა კლასში; ე. ი. აძუნებს პროლეტარიატის სიფხიზლეს, უმალავს მას ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხეს. თუ ერთ დროს სოციალ-დემოკრატია გაიძახოდა, რომ მისი გზა მიდის ჟენევისა (ერთა ლიგა) და მოსკოვის შუა, დღეს ის ფაქტიურათ მივიდა და მოიფრთხნა ჟენევაში. ლოკარნოს ხელშეკრულება სოციალ-დემოკრატიას მიაჩნია მშვიდობიანობის პოლიტიკის უკანასკნელ სიტყვათ, ხოლო მოსკოვი—ჩხუბისა და აყალ-მაყალის მიზეზად. ბრძოლა არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ აღიარა კომფრაქციების კონფერენციამ აუცილებელ ნაწილად საერთო ბრძოლისა ლოკარნოს ხელშეკრულების წინააღმდეგ.

შემდეგი საკითხი, რომელიც განიხილა კონფერენციამ, შეეხებოდა ელზას-ლორენს, ელზას-ლორენი ი ო ერთი უდიდესი სადაო საკითხთაგანი გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ომმა გადაჭრა ეს საკითხი. გადაჭრა იმ აზრით, რომ ის წაართვეს ერთ ბატონს და გადასცეს მეორეს. დღეს ელზას-ლორენი იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის საფრანგეთის წინააღმდეგ. ამასწინად შეკრებილმა მუშებისა და გლეხების კონგრესმა სტრასბურგში მოითხოვა თვითგამორკვევის უფლება და ამ აზრით ღია წერილი გაუგზავნა ლოკარნოს კონფერენციას. მან მოითხოვა ახლავე იქნეს გატარებული ადმინისტრატიული ავტონომია, ფრანგული ადმინისტრაციის გადაყენება და უფლება, რომ მოსახლეობამ ილაპარაკოს თავის სამშობლო ენაზე და ეს ენა იხმარებოდეს სახელმწიფო დაწესებულებებში, ერთი სიტყვით მოითხოვა არ იდევნებოდეს ადგილობრივი ენა.

როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის კომუნისტების დელეგატები ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ მხარი დაუჭირონ ელზას-ლორენელთა ამ მოთხოვნებს, და ასეთივე გადაწყვეტილება გამოიტანა კონფერენციამ. „კონფერენცია აცხადებს, რომ ის კატეგორიულად უარყოფს როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის იმპერიალიზმის პრეტენზიებს ელზას-ლორენის მიწა-წყალზე და მოსახლეობაზე. იღებს რა მხედველობაში მოსახლეობის ჩაგვრას, კონფერენცია მოითხოვს პლებისციტს, რომელიც საშუალებას მისცემს ელზას-ლორენის მოსახლეობას თვითონ გადასწყვიტოს თავისი ბედის საკითხი“.

ვაშინგტონის ხელშეკრულება (რვა საათის სამუშაო დღისთვის), რომლის რატიფიკაციის სასარგებლოთ ამსტერდამის ინტერნაციონალი ეწევა აგიტაციას, შეიქნა კონფერენციის განხილვის საგნად. როგორც ცნობილია, რევოლიუციონური ტალღის წინააღმდეგ საბრძოლველად ევროპის და ამერიკის მთავრობების და რეფორმისტული პროფკავშირების წარმომადგენლებმა დაადგინეს შემოღებულ იქნეს ყველა ქვეყნებში რვა საათის სამუშაო დღე. ეს ხელშეკრულება უნდა დაამტკიცონ მთავრობებმა. ამისთვის ეწევიან აგიტაციას ამსტერდამელები.

კონფერენციამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ამ აგიტაციაში, რადგან ის შეიძლება შეიქნეს რვა საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლის გამოსავალ წერტილად და მასების მობილიზაციის საშუალებად. ამ აზრით გადასწყვიტა კონფერენციამ რომ საპარლამენტო ფრაქციებმა მიიღონ მონაწილეობა აგიტაციაში ვაშინგტონის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის, რათა მოამზადონ ნიადაგი ნამდვილი ბრძოლისათვის რვა საათის სამუშაო დღისთვის.

საკითხი სავაჭრო ხელშეკრულებათა და საბაჟო ტარიფების შესახებ შეიცავდა შემდეგს. სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზია, ეკონომიური კრიზისის შესასუსტებლად მიმართავს მრეწველობის დაცვის ისეთ ზომებს, რომლებიც აძვალტყავებენ ისედაც შეუძლო მშრომელ მასებს. კონფერენციამ დაავალა ფრაქციებს იბრძოლონ ბურჟუაზიული პროტექციონიზმის წინააღმდეგ, რომელიც ამ ბურჟუაზიის ჯიბის გასასქელებლად ატყავებს მშრომელ კლასებს, არა მარტო როგორც დაქირავებული შრომის წარმომადგენლებს, არამედ როგორც მომხმარებლებსაც. რაც შეეხება ისეთ ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს წვრილი გლეხობა, კომინტერნის აღმასკომმა და სათანადო კომპარტიამ უნდა გადაჭრან საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი დროებითი პროტექციონისტული ზომები უნდა იქნენ მიღებული ასეთი ქვეყნების ეკონომიური ინტერესების დასაცავად.

დაბოლოს კონფერენციამ სურვილი გამოსთქვა, რათა კომინტერნის აღმასკომმა მოაწყოს ისეთი ორგანო, რომელიც განახორციელებს მუდმივ კავშირს ყველა ქვეყნების კომუნისტების საპარლამენტო ფრაქციებს შორის.

კომუნისტების საერთო გავლენის ზრდის პირობებში კონფერენციას აქვს დიდი მნიშვნელობა და ის შეიქმნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურათ კომუნიზმის ზრდისა და გაძლიერების გზაზე.

მეთვალყურე.

უცხოეთის პრესა

ინგლისის ,,დამოუკიდებელი მუშათა პარტია‘‘ და საბჭოთა რუსეთი.

ჩვენ გუშინ მოვიყვანეთ ამონაწერი ინგლისის მუშათა პარტიის ორგანოდან („დეილი ჰერალდ“), რომელიც ნათელ ჰყოფს იმას, თუ საბჭოთა კავშირისადმი, როგორი დამოკიდებულება ირკვევა და იმარჯვებს მუშათა კლასის თვით ისეთ ხელმძღვანელ წრეებში, რომლებიც წინად ან მტრულად ან, უკეთეს შემთხვევაში, „ნეიტრალურად“ იყვნენ განწყობილი ოქტომბრის რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. თანდათან მრავლდება შემთხვევა ასეთი გამოსვლებისა მუშათა პრესაში, რაც იმის მომასწავებელია, რომ ფართოდ გაიდგა თვით მუშათა მასებში ფესვები ჩვენი კავშირისადმი მეგობრულმა დამოკიდებულებამ, რომ ამ მასებმა გაფანტეს ზოგი ბელადების მიერ საბჭოთა კავშირის ირგვლივ შექმნილი ატმოსფერა უნდობლობის და ეს გარემოება, მასების ეს საერთო სულიერი განწყობილება, აიძულებს მეთაურებს გაიმეორონ ის, რასაც ფიქრობენ მუშები, რომ არ ჩამორჩნენ მათ და ამნაირათ გარიყული არ დარჩნენ.

საინტერესოა ამ მხრივ ინგლისის „დამოუკიდებელი მუშათა პარტიის“ ოფიციალური ორგანო „ნიუ ლიდერ“ იქ მოთავსებულია ჰ. ნ. ბრეილსფორდის (რედაქტორია) წერილი სათაურით: „რუსეთის რევოლიუცია და მისი გაკვეთილები“. ავტორი, იხსენიებს რა იმ ფაქტს, რომ რევოლიუციის დასაწყისში (1917 წ.) ზოგიერთები მას ორი თვის სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდენ, სწერს შემდეგს:

„ეს ორი თვე უკვე რვა წელიწადათ გაიზარდა და რევოლიუციამ უკვე აღნიშნა ამ რვა წლისთავის დღესასწაული, რომელიც ღირსშესანიშნავი დარჩება კაცობრიობის კალენდარში. **რუსეთის მუშებისა და გლეხების რესპუბლიკა წარმოადგენს უმტკიცეს შენობას მთელი ევროპის სახელმწიფოთა სისტემაში...** თუ რუსეთის რევოლიუციის ბელადებმა გაბედულობისა და ნებისყოფის გაქანების შესანიშნავი მაგალითი მოგვცეს 1917 წელში, გაბედულობის, რომელიც სწორეთ გენიალური იყო—შემდგომ წლებში მათ გვაჩვენეს შეუდრეკელი ენერგია და გამძლეობა, რომელთა გამო რევოლიუცია შეიქნა კაცობრიობის უდიდეს მონაპოვრათ“.

შემდეგ ავტორი გადადის მუშათა კლასის მდგომარეობაზე საბჭოთა კავშირში, აღნიშნავს მისი ცხოვრების გაუმჯობესებას და ახალ ფსიქოლოგიას, რომელიც იქმნება ახალი ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე.

„რუსეთის მუშებს—სწერს ავტორი—ახასიათებს ახალი გრძნება, რომელიც სრულიად ახალ ატმოსფერას ჰქმნის მათ ცხოვრებაში. ისინი გრძნობენ თავს ახალი რუსეთის ბატონებად და მფლობელებად. ეს არის უდიდესი მონაპოვარი“.

შემდეგ ავტორს მოჰყავს ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტის კაინსის სიტყვები იმის შესახებ, რომ ის ეთანხმება იმათ, ვინც ამბობს, რომ სულ მალე რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა უკეთესი იქნება, ვინემ იყო მსოფლიო ომამდი, ხოლო ევროპის სახელმწიფოები უარესი ცხოვრებისკენ მიდიან, ვიდრე ომამდე. რუსეთის ასეთი წინსვლა შედეგია მუშათა კლასის და მისი ბელადების სიმტკიცისა და თავგანწირული ბრძოლისო—სწერს ავტორი და შემდეგ არჩევს „დამოუკიდებელი მუშათა პარტიის“ ტაქტიკას.

„ჩვენი პარტიის არსებობის გამართლება შეუძლებელი იქნება, თუ ის გააგრძელებს შეგუების პოლიტიკას, რადგან არსებული სოციალური სისტემის ვერავითარი „შეკეთებით“ ვერ გახდის ის ამ სისტემას ჩვენი საჭიროების დამაკმაყოფილებელ საშუალებად“.

ასეთია „დამოუკიდებელი მუშათა პარტიის“ ერთ-ერთი იდეოლოგიური ხელმძღვანელის აზრი საბჭოთა რუსეთის, მისი მუშათა კლასისა და ბელადების შესახებ. როგორადაც არ უნდა გაატაროს მან ცხოვრებაში თავისი აზრი მისი პარტიის შეგუების პოლიტიკის უარყოფის შესახებ, ერთი ყოველშემთხვევაში აღსანიშნავია: ეს ის, რომ საკმაოდ ძლიერად სცემს მემარცხენეობის ენერგია ინგლისის მუშებში, თუ თვით დამოუკიდებელი პარტიის ზომიერი ბელადებიც ასეთი ხმით „ამღერდნენ“ როგორც რუსეთის, ისე შეთანხმებისა და შეგუების პოლიტიკის შესახებ.

საერთაშორისო პოლიტიკის გზები და საბჭოთა კავშირი

ამხ. რიკოვის მოხსენება მოსკოვის მე-14-ე საგუბერნიო პარტკონფერენციაზე

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია დროებითი მოვლენაა

ამერიკა ვერსალის შემდეგ გახდა ევროპის მბრძანებელი

ევროპა თანდათან ხდება ამერიკის ახალშენად

ლოკარნოს ხელშეკრულებით გერმანია მეორეჯერ წამოაჩოქეს

საბჭოთა კავშირის სიმტკიცე და აღმოსავლეთის როლი

მოსკოვი, 8 დეკემბ. მოსკოვის მე-14-ე საგუბერნიო პარტკონფერენციაზე 5 დეკემბერს ამხ. რიკოვმა მოხსენება გააკეთა ცეკას მუშაობის შესახებ. მან თავისი მოხსენება დაიწყო საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზით და განაცხადა:

ბრძოლა მშვიდობიანობისათვის

„ჩვენი პოლიტიკის მთავარ ამოცანას, როგორც ეს მრავალჯერ უთქვამს, ლენინს და ყოველ ჩვენთაგანს წარმოადგენს ბრძოლა მშვიდობიანობისათვის. ჩვენთვის მშვიდობიანობა აუცილებელია, რათა საშუალება გვქონდეს დავანახვოთ მთელი მსოფლიოს მუშებს, თუ როგორ აშენებს მუშათა კლასი ახალ მუშურ სახელმწიფოს, ახალ სოციალისტურ საზოგადოებას.

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია

როგორია პირობები, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ბრძოლა მშვიდობიანობისათვის? ეს პირობები არსებითად არ შეცვლილა უკანასკნელი პერიოდის მანძილზე. უმთავრესად ეს პირობები განისაზღვრება იმით, რასაც კომუნისტური ინტერნაციონალის რეზოლიუციაში ეწოდება „კაპიტალიზმის სტაბილიზაცია“, მისი განმტკიცება ყველაზე უფრო კრიტიკულ წლებთან შედარებით ომის შემდეგ“.

რიკოვი შემდეგ ეხება იმის, თუ რამდენად განმტკიცებულია კაპიტალისტური სისტემა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში და სხვ. ქვეყნებში, აღნიშნავს ამ ქვეყნებში არსებულ დაბრკოლებებს და კრიზისებს და მიდის შემდეგ დასკვნამდე:

ევროპა—ამერიკის კოლონია

„ამ სხვადასხვა ქვეყნების საერო მდგომარეობა ხასიათდება მით, რომ ყველა ქვეყნები ცოტად თუ ბევრად მოექცნენ ამერიკის ძლიერი გავლენის ქვეშ.

თუმცა ამერიკა ფორმალურად არ ერევა ევროპის საქმეებში და არ იღებს მონაწილეობას ერთა ლიგაში, მაგრამ არსებითად ის არის ევროპის ბატონი ვერსალის შემდეგ. არც ერთ სახელმწიფოს ამჟამად არ შეუძლია დადოს რაიმე ხელშეკრულება ამერიკის, ამერიკის კაპიტალის თანხმობის გარეშე. ამერიკის ხელშია მთელი ოქროს მარაგის თითქმის ორი მესამედი. ის ამზადებს მსოფლიო პროდუქციის ნახევარზე მეტს. მან წაართვა ევროპას მთელი რიგი ბაზრებისა. მთელს მსოფლიოში ამჟამად მხოლოდ ამერიკას შეუძლია სესხის გაცემა. ამასთან ერთად ის ორგანიზაციულად და ტეხნიკურად აფართოებს თავის ინდუსტრიას, ვითარდება მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპლოატაციის ხარჯზე. ევროპა თანდათან ხდება ამერიკის ისეთსავე ახალშენად, როგორიც იყვნენ წინად აზიის ცალკე ქვეყნები ევროპისათვის.

ევროპის კაპიტალიზმის დროებით განმტკიცება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ამერიკის კაპიტალის მონაწილეობის საშუალებით; ევროპის კაპიტალიზმის განმტკიცების საქმეში ამერიკის კაპიტალის მონაწილეობის ერთ-ერთ პირობად ამერიკამ წამოაყენა უარის თქმა ომის დროს აღებულ ვალების გაუქმებაზე და ევროპის სახელმწიფოების მიერ ამერიკისათვის ვალების გადახდა.

აღმოსავლეთი

კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების ჩქარი ინდუსტრიალიზაცია აღმოსავლეთში, მისი ბაზრების შემცირება სამრეწველო იმპორტისათვის და გაძლიერებული ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა კიდევ უფრო აძნელებენ და თითქმის შეუძლებლად ხდიან კაპიტალიზმის გაჯანსაღებას და არყევენ მთელ კაპიტალისტურ სისტემას.

ასეთია საერთოდ კაპიტალიზმის მდგომარეობა და ასეთ პირობებში ვითარდება საერთაშორისო პოლიტიკა და ადგილი აქვს ყოველგვარ პოლიტიკურ კომბინაციებს, მაგ. დაუესის და ლოკარნოს სახით.

ლოკარნო

ლოკარნოს უმთავრესი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ გერმანია მეორეჯერ წამოაჩოქეს, აიძულეს ერთხელ კიდევ შეეფიცა საშინელ ვერსალის ხელშეკრულებისათვის და ჩაითრიეს იგი ერთა ლიგაში, რომელშიაც მას შექმნილ მდგომარეობის დროს არ შეუძლია აწარმოვოს დამოუკიდებელი პოლიტიკა. გარდა ამისა ლოკარნოს ხელშეკრულებამ მოსპო ანტანტა, ე. ი. ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო კავშირმა დაჰკარგა თავისი ძალა და მნიშვნელობა. ინგლისს ხელი გაეხსნა და იგი რჩება დიქტატორად ევროპაში.

ლოკარნო მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული დიპლომატები სცდილობენ ჩაგვითრიონ ჩვენ ერთა ლიგაში იმისათვის, რათა, ვიტყვით ერთ-ერთ ბურჟუაზიულ გაზეთის ენით, კავშირი აიძულონ კაპიტულიაციაზე აღმოსავლეთში და ეკონომიური კაპიტულიაციაზე დასავლეთში“.

ერთა ლიგა არის დუქანი, რომელიც ვაჭრობს ხალხებით თავის ნებაზე და აძლევს მათზე მანდატებს ამა თუ იმ ქვეყანას.

დღევანდელი პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს იმპერიალიზმის განმტკიცების ცდათ პაციფიზმის ნიღაბ ქვეშ.

მსოფლიო მუშათა მოძრაობა

დიდი სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ სტაბილიზაცია გადაწყვეტს კაპიტალიზმისათვის საბედისწერო საკითხებს შემდეგი განვითარების შესახებ. თვით სტაბილიზაცია არის დროებითი. სტაბილიზაციის მთელ პერიოდს თან დაერთვის სხვადასხვანაირი კრიზისები, რომლებიც დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობამ უნდა გამოიყენოს რევოლიუციონურ ძალების დასარაზმავათ და იმ პერიოდისათვის მოსამზადებლათ, როდესაც კაპიტალიზმის შემდეგი სტაბილიზაციის ცდა შეუძლებელი იქნება.

კომპარტიის გავლენის ზრდა მთელ რიგ ქვეყნებში არჩევნების დროს, გვიჩვენებს, რომ ევროპის კომუნისტური პარტიები გადადიან აგიტაციის და ორგანიზაციის ახალ მეთოდებზე. უკანასკნელი დროის გამარჯვებანი წარმოადგენენ ისეთ გამარჯვებებს, რომლებიც შედეგათ მოჰყვა ახალ პირობებში მუშაობას, როდესაც კომუნისტური პარტიების კავშირი მასიურ მუშათა მოძრაობასთან უფრო განმტკიცდა. ახალ ძალთა განწყობილების დროს ყველა ქვეყნების კომუნისტური პარტიების კავშირი მიიყვანს მუშათა კლასს საერთაშორისო რევოლიუციამდე და სრულ გამარჯვებამდი“.

ოსმალეთი და ერთა ლიგა

ანგორა, 7 დეკემბ. ოსმალეთის გარეშე საქმეთა კომისარი ტევფიკ რიუშდი გამგზავრა ანგორიდან ერთა ლიგის სესიაში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც ამბობენ გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწენი, რიუშდიმ უკვე იცის, რომ ერთა ლიგის გადაწყვეტილება ოსმალეთის საწინააღმდეგო იქნება.

ოფიციოზი „ხაკიმიეთ მილიე“ ხაზს უსვამს, რომ ოსმალეთი მზად არის ყოველგვარი შემთხვევებისათვის და უცქერის ერთა ლიგას არა როგორც მიუდგომელ საერთაშორისო ტრიბუნალს, არამედ როგორც ტრიბუნას, რომლიდანაც ოსმალეთს არ შეუძლია დაიცვას თავისი სიმართლე მთელი ქვეყნის წინაშე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

სარკინიგზო კონფერენცია

მოსკოვი, 8 დეკ. მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენცია პირდაპირი სამგზავრო და საბარგო მიმოსვლის მოსაწყობად შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპას შორის. კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, ლატვიის, ესტონიის, ლიტვის და პოლონეთის წარმომადგენლები.

უპასუხოთ დატოვებული შეკითხვა.

ლონდონი, 7 დეკემბ. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა კენვორტიმ იკითხა: ისარგებლებს თუ არა მთავრობა ჩიჩერინის ყოფნით ლონდონის ახლოს საბჭოთა კავშირთან სადაო საკითხების მოსაგვარებლად. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკ ნეილმა უპასუხა, რომ მთავრობას არა აქვს ცნობა იმის შესახებ, ვითომც ჩიჩერინს მოლაპარაკების დაწყების სურვილი ჰქონდეს.

კენვორტიმ ჰკითხა შემდეგ—შეუძლია თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრმა მოიწვიოს ჩიჩერინი ლონდონში? ამ შეკითხვას პასუხი არ მოჰყვა.

ლუნაჩარსკი პარიზში

პარიზი, 7 დეკემბ. პარიზში მყოფმა ლუნაჩარსკიმ მიიღო 30 გაზეთის წარმომადგენლები, რომლებსაც უამბო მან საბჭოთა კავშირში სახალხო განათლების მდგომარეობისა და საბჭოთა კულტურულ-მეცნიერული ორგანიზაციების შესახებ.

ევროპის კომპარტიებში

ჩეხიის კომპარტიის მიტინგი.

პრაგა, 7 დეკ. პრაგის უდიდესმა დარბაზმა, რომელიც ნავარაუდევია 5000 კაცისათვის, ვერ დაიტია ყველა მუშები, რომლებიც მოვიდენ კომპარტიის მიერ მოწვეულ მიტინგზე; მიტინგი ეხებოდა იმას, თუ რა გზას დაადგებიან კომუნისტები არჩევნების შემდეგ.

ორატორების სიტყვებს, რომლებშიაც ისინი ასაბუთებდენ უარის თქმას მთავრობაში შესვლაზე, აუდიტორია მხურვალე ტაშით ხვდებოდა.

საფრანგეთის კომპარტიის წერილი

პარიზი, 7 სექტ. შესდგა საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია შექმნილი მდგომარეობის შესახებ სათათბიროდ. კონფერენციამ მიმართა პარტიის ყველა წევრებს წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„კომპარტია შეუბრალებლად უნდა ებრძოლოს გადახრებს მარჯვნით, უნდა განამტკიცოს თავისი რიგები, გამოიყენოთ კომპარტიის ძველი მომხრენი და დაამყაროთ მტკიცე კავშირი პროფკავშირებთან.

კომპარტიამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ და გააერთიანოს ყველა კომუნისტები ცეკას ხელმძღვანელობის ქვეშ“.

,,სიკვდილის სამინისტრო‘‘

ლონდონი, 7 დეკემბ. მიტინგზე გამოსულმა მუშათა პარტიის წევრმა ლენსბერიმ განაცხადა, რომ სამხრეთ უელსის და სხვა ნახშირის რაიონების მუშები ამჟამად სიმშილობენ: **„ჯანმრთელობის სამინისტრო გადაიქცა სიკვდილის სამინისტროდ“.**

მდგომარეობა ჩინეთში

მუკდენთან

პეკინი, 7 დეკ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გო-სუნ-ლინის ჯარებმა დაიკავეს სინ-მინ-ტინი, რომელიც მდებარეობს 65 კილომეტრის მანძილზე მუკდენიდან სამხრეთ-დასავლეთით. ფიქრობენ, რომ ამ დეპეშის გაგზავნის მომენტში გო-სუნ-ლინის ჯარები უკვე მიადგენ მუკდენს.

ჩჟან-ძო-ლინი გაიქცა

პეკინი, 7 დეკ. მუკდენში სრული არევ-დარევაა. იუწყებიან, რომ ჩჟან ძო-ლინმა დაურიგა თავის მახლობელთ 400.000 დოლარი, გაგზავნა ოჯახობა იაპონიის კონცესიის ტერიტორიაზე მუკდენში და თითონ გაიქცა.

ჩჟან-ძო-ლინის დაცემა

ხარბინი, 7 დეკ. მუკდენიდან მიღებულია სასწრაფო დეპეშები, რომლის თანახმად ჩჟან-ძო-ლინმა გადასწყვიტა დასტოვოს თავისი პოსტი. გო-სუნ-ლინი ახლო მომავალში დაიკავებს მუკდენს. ჩჟან-ძო-ლინის მომხრეებთა შორის ხარბინში გამეფებულია შიშიანობა.

ჩჟან-ძო-ლინის დაცემის ცნობის მიღებისას ადგილობრივ სამხედრო და ჟანდარმთა ხელისუფლებამ გამართა სასწრაფო თათბირი, რომელზედაც ქალაქში მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვა დაავალეს გენერალ ჩჟან-ხუნ-სიანს.

იაპონიის ტელეგრაფის სააგენტომ ხარბინის ყველა რედაქციებს გაუგზავნა სასწრაფო ბიულეტენი, რომელშიაც ადასტურებს ცნობას ჩჟან ძო-ლინის გადადგომის შესახებ.

აჯანყება სირიაში

ლონდონი, 7 დეკემბ. „დეილი ექსპრესის“ თანამშრომელი დამასკოდან იტყობინება, რომ ფრანგები ყუმბარებს უშენენ ქალაქის სამხრეთ მდებარე სოფლებს.

5 დეკემბერს აჯანყებულებს 24 საათის განმავლობაში მიჰქონდათ იერიში ქალაქზე. ფრანგების მოძრავი ლაზარეთები მთელი დღის განმავლობაში ეზიდებოდენ დაჭრილებს.

დრუზების რაზმი მიიწევს დამასკოს მიმართულებით პარტიზანული ნაწილების დასახმარებლად, რომელთაც იერიში მიაქვთ დამასკზე.

პოლონეთი სესხს ეძებს

სკშინსკის განცხადება

ვარშავა, 7 დეკემბ. ლონდონიდან ვარშავაში დაბრუნების დროს პოლონეთის პრემიერ მინისტრმა სკშინსკიმ პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ საკითხი უცხოეთში სესხის მიღების შესახებ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ამ საკითხის გარშემო ინტენსიური მოლაპარაკება სწარმოებს. უცხოეთიდან სესხის მიღებას სკშინსკი მჭიდროთ უკავშირებს სახელმწიფოს შინაურ საქმეებს.

საბჭოთა კავშირთან ინგლისისა და საფრანგეთის დამოკიდებულების შესახებ სკშინსკიმ განაცხადა:

„არავის არ დაუდვია არავითარი ხელშეკრულება ლოკარნოში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დასავლეთში კარგად ესმით საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის აუცილებლობა. მეორე მხრით საბჭოთა კავშირი არ გაურბის ამ თანამშრომლობას‘‘. სკშინსკიმ დაუმატა, რომ პოლონეთი მალე შეუდგება სავაჭრო მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან.

ჯილდო დათმობისათვის

ვარშავა, 7 დეკემბერი. პოლონეთის ფინანსიურ წრეებში ირწმუნებიან, — პოლონეთის მხრივ ლოკარნოში დათმობებზე წასვლის გამო ინგლისის მთავრობამ მხარი დაუჭირა პოლონეთს უცხოეთიდან სესხის მიღების საკითხში. ამის გამო მორგანის ბანკი პრინციპიალურად დათანხმდა პოლონეთისათვის სესხის მიცემაზე.

თუმცა ეს საკითხი გადაჭრილი იქნება საბოლოოდ მხოლოდ დაახლოვებით სამი თვის შემდეგ; ამასთანავე, შესაძლებელია, რომ მორგანმა უარი სთქვას სესხის მიცემაზე.

სესხი მორგანის აზრით უზრუნველყოფილი იქნება სპირტის და თუთუნის მონოპოლიით ან მათი იჯარით გადაცემით, აგრეთვე პოლონეთის ფინანსებზე უცხოეთის კონტროლის დაწესებით.

ვლადისლავ რეიმონდის გარდაცვალება

ვარშავა, 7 დეკემ. გარდაიცვალა პოლონეთის ცნობილი მწერალი ვლადისლავ რეიმონდი. მისი ნაწერებიდან განსაკუთრებით ცნობილია ,,გლეხები‘‘. ერთი წლის წინად რეიმონდმა ნობელის პრემია მიიღო.

უკანასკნელი ცნობები

დრუზები უტევენ

პარიზი, 8 დეკ. დრუზები განაგრძობენ შეტევას მთელი პალესტინის საზღვრების გასწვრივ. მათ ახალი დამხმარე ძალები მიიღეს. მათი რიცხვი 5000-ს აღის. აღებულ ქალაქებში დრუზე აარსებენ თვითმართველობებს და სტოვებენ მცირე რიცხოვან გარნიზონებს.

საფრანგეთის გეგმა

პარიზი, 8 დეკ. ფრანგებს განზრახული აქვთ შეუტიონ ერთი მხრით დამასკიდან და მეორე მხრით სიდონიდან, რომ ალყა შემოარტყან დრუზებს და მოსწყვიტონ ისინი მთავარ პუნქტს—ჯებელ-დრუზას.

ხარბინში

ხარბინი, 8 დეკ. ხარბინში დააპატიმრეს ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის პროფკავშირი, და აგრეთვე ტეხნიკურ მომუშავეების მთელი შემადგენლობა, სულ 14 კაცი; მიზეზი კრების მოწვევაა უნებართვოთ.

დელეგაციების შეხვედრა

ბერლინი, 8 დეკ. ბერლინში ჩავიდა საბჭოთა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს დელეგაცია. ღამით ჩამოვა ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია, ხვალ გაიხსნება დელეგაციების თათბირი.

მუშების გამარჯვება

ბერლინი, 8 დეკ. რეიდასის ცეკას მიერ მიღებულ ცნობებით ბომბეის საფეიქრო წარმოების მუშათა 4 თვის გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

ანრი ბარბიუსი ტატარბუნარის აჯანყების შესახებ

ვენა, 8 დეკ. ვენაში ჩავიდა ცნობილი ფრანგი მწერალი ბარბიუსი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ბარბიუსმა განაცხადა, რომ ტატარბუნარის აჯანყება სტიქიური აჯანყებაა ბესარაბიის უკმაყოფილო გლეხების ბრატიანუს მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ იარაღის საშუალებით შეუძლია არსებობა. „აჯანყებას არავითარი კავშირი არ აქვს საბჭოთა პროპაგანდასთან“, სთქვა ბარბიუსმა. რუმინეთსა და ბულგარეთში, ბარბიუსის სიტყვით, საშინელი ტერორი მძვინვარებს.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება.

ბერლინი, 8 დეკემბერი. მრეწველობის კრიზისთან, მწარმოებელთა შეტევასთან და მთავრობის გადადგომასთან დაკავშირებით გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა პროგრამული მოწოდება, რომელშიაც ის მოუწოდებს მშრომელებს იბრძოლონ პარლამენტის გაშვებისთვის და მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნისათვის. მოწოდებაში წამოყენებულია მთელი რიგი მოთხოვნილებები, მათ რიცხვში დოუესის გეგმის და ლოკარნოს ხელშეკრულების გაუქმება და მჭიდრო სამეურნეო და პოლიტიკური კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ამ მიზნის განსახორციელებლად კომპარტია მოუწოდებს ყველა პროლეტარულ და ჭეშმარიტ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს საერთო ფრონტის შექმნისკენ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

დემონსტრაცია ვონდსვორტის სატუსაღოს წინ

ლონდონი, 7 დეკემბ. ვონდსვორტის სატუსაღოში 121 კომუნისტის დაპატიმრების გამო სატუსაღოს ახლო, შეიკრიბა რამდენიმე ათასი კაცი დაპატიმრებულთათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. დემონსტრანტები მღეროდენ „წითელ დროშას“ და ყოველნაირად ცდილობდენ გამოეხატათ თავიანთი აღშფოთება მთავრობის მოქმედებით. დემონსტრანტების ჯგუფს მიჰქონდა კუბო წარწერით „ჯიქსი“ (შინაგან საქმეთა მინისტრის ჯონსონ ჰიქსის ზედმეტი სახელი).

დემონსტრაცია გაგრძელდა ორი საათი.

დავით მხეიძის განცხადება

პარიზი, 7 დეკემბ. სამეგრელოში 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელი დავით მხეიძე აცხადებს „ახალ საქართველოში“, რომ საჭიროა ძველ, ავანტიურათა პოლიტიკის ლიკვიდაცია

ფრანკის კურსის დაცემა

მოსკოვი, 8 დეკემბერი. ნოემბრის განმავლობაში 100 ფრანგული ფრანკის კურსი 8 მან. და 10 კაპიკიდან დაეცა 7 მან. და 45 კაპიკამდე.

რა ხდება უცხოეთში

ფაშიზმი საფრანგეთში

უკანასკნელ ხანებში ფრანგმა ფაშისტებმა გააძლიერეს თავისი „საქმიანობა“. დღე აღარ გაივლის, რომ პროგრესიული ბლოკის გაზეთებმა არ გამოაქვეყნონ ცნობა ფრანგ ფაშისტების მიერ უცხოეთიდან ფარულად იარაღების შემოზიდვის შესახებ.

ფაშისტების სასწრაფოდ დარაზმვა და მზადება, რასაკვირველია, არ არის გამოწვეული მხოლოდ კომუნისტური საფრთხით.

პირველ რიგში აღსანიშნავია სხვა მიზეზი: მემარცხენე ბლოკის მიერ ისეთი გადასახადების გატარების ცდა, რომლებიც მიუღებელია მსხვილი კაპიტალისათვის. მართალია, ამ ცდებს უილაჯო, უსუსური ხასიათი აქვთ, მაგრამ კაპიტალი მისი მადის შეკვეცის შესახებ ლაპარაკსაც კი არ ითმენს.

და უკმაყოფილო კაპიტალი მზად არის მხარი დაუჭიროს ფაშისტურ მოძრაობას, შეუქმნას მას მტკიცე სოციალური ბაზა.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ფრანსუა პონსეს წერილი გაზ. „ავენირ“-ში.

ფრანსუა პონსე არის „სამთომადნო მრეწველობის კომიტეტის“ („კომიტე დე ფორჟ“) ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე („სამთო-მადნო მრეწველობის კომიტეტი აერთიანებს საფრანგეთის მსხვილი მრეწველობის ყველა წარმომადგენლებს) და ყოფ. პრეზიდენტ მილიერანის მემარჯვენე ხელი „რესპუბლიკანურ ლიგაში“. ამ ლიგას მხოლოდ სახელი აქვს „რესპუბლიკანური“, ფაქტიურად კი იგი მსხვილი მრეწველების ორგანიზაცია არის.

ამიტომ ფრანსუა პონსეს წერილი შეგვიძლია ჩავთვალოთ საფრანგეთის მსხვილ მრეწველთა განწყობილების გამოხატულებათ.

თავის წერილში „ბოლშევიზმი თუ ფაშიზმი“ პონსე გარკვევით აყალიბებს იმ პოზიციას, რომელსაც დაადგება კაპიტალი საფრანგეთში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში („როცა სტერლინგის კურსი 200 ფრანკამდი აიწევს, უმუშევრობა გაიზრდება და ბოლშევიზმის საფრთხე რეალური გახდება) ყოველგვარი რყევის გარეშე საჭიროა დადგომა „პატრიოტების“ მხარეზე.

ასე ამბობს ფრანსუა პონსე და ამ თავის აზრს კიდეც ახორციელებს. მემარცხენე ბლოკის გაზეთებში იუწყებიან, რომ ფრანსუა პონსე დაესწრო ფაშისტების ზეიმს, რომელიც გაიმართა პარიზში ორი ფაშისტური მებრძოლი ორგანიზაციის „პატრიოტული ახალგაზრდობისა“ და „ლეგიონის“ გაერთიანების გამო.

მართალია, მსხვილი კაპიტალისტების ყველა წარმომადგენლები არ უჭერენ მხარს ფაშისტებს, რადგან კაპიტალის ბანაკში არ არსებობს მთლიანობა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის ბრძოლა სწარმოებს კონკურენციის ნიადაგზე, მაგრამ ზოგიერთი მსხვილი კაპიტალისტური ჯგუფები აშკარათ თუ ფარულად უკვე გადავიდენ ან გადადიან ფაშისტურ ბანაკში.

ამ ჯგუფებიდან შესდგება საფრანგეთის ფაშიზმის გენერალური შტაბი.

ფაშიზმის არმია კი სდგება პირველ რიგში წვრილი და ნაწილობრივ საშუალო ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ ელემენტებისაგან. ეს სოციალური ფენები საშინლად უკმაყოფილო არიან ფრანკის კურსის დაცემით, რაც მათ მდგომარეობას აუარესებს. გარდა ამისა ფაშისტური არმია ივსება ბურჟუაზიული ახალგაზრდობით, რომელსაც აღიზიანებენ დემაგოგიური აგიტაციით, რომ „მემარცხენე ბლოკი შეუთანხმდა 'საფრანგეთის დაუძინებელ, ისტორიულ მტერს—გერმანიას“ და სხვ.

ამ არმიას სათავეში უდგიან ფაშიზმის „გენერლები“ ანდრე მაჟინო, ყოფილი სამხედრო მინისტრი, პალატის მემარჯვენე ნაწილის ლიდერი: პიერ ტეტენჟე, გაზ. „ლიბერტე“-ს რედაქტორი, შავრაზმელი დეპუტატი, გენერალი კასტელნო, ერთ-ერთი გამოჩენილი გენერალი, რომელიც დიდი სიმპატიებით სარგებლობს სამხედრო წრეებში, დაბოლოს მილიერანი, რომელიც ოცნებობს ფაშისტების საშუალებით თავისი ძალაუფლების დაბრუნებაზე.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ფაშისტური არმიის „ოფიცერთა კორპუსი“. ფაშისტური არმიის ამ ნაწილში უდიდეს როლს თამაშობს კათოლიკური სამღვდელოება, არ მოიპოვება არც ერთი კათოლიკე მღვდელი, რომელიც მონაწილეობას არ იღებდეს ფაშისტთა ძალების დარაზმვაში.

ქადაგება ხალხში, საიდუმლო მიმოწერის გადაგზავნა და ხშირათ იარაღის შენახვა, გადაიქცა საფრანგეთის კათოლიკური სამღვდელოების უპირველეს მოვალეობად.

ასეთია ფაშიზმის ძალები საფრანგეთში.

მაგრამ საფრანგეთის ფაშიზმი გაცილებით სუსტია ვიდრე მისი იტალიელი თანამოძმე.

საფრანგეთის მუშათა კლასიც ყურადღებით ადევნებს თვალყურს ფაშიზმის მზადებას და ამაგრებს თავის რიგებს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მშენებელ მუშაკთა ყრილობა.

მოსკოვი, 7 დეკ. 25 იანვარს მოსკოვში იხსნება მშენებელ მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობაზე მოწვეული არიან სხვადასხვა ქვეყნების ყველა რევოლიუციონურ და შემთანხმებელ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

საფრანგეთის ლინგვისტიურ საზ. წევრები.

ლენინგრადი, 7 დეკ. მიღებულია ცნობა, რომ პარიზში საფრანგეთის ლინგვისტიურ საზოგადოების სხდომაზე საზოგადოების წევრებათ არჩეულია რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკა და მოსკოვის ლენინის სახელობის მუზეუმი (ყოფ. რუმიანცევისა).

„კლიუჩევსკის სოპკა“.

პეტროპავლოვსკი, 7 დეკ. კამჩატკაზე 29 ნოემბერს შემჩნეულ იქნა ცეცხლის მფრქვევი „კლიუჩევსკაია სოპკას“ ძლიერი მოქმედება. მთა ისვრიდა ორთქლსა და გაზების უზარმაზარ სვეტებს დიდ სიმაღლეზე. მსგავსი მოვლენა არას დროს არ უნახავთ მახლობელ სოფლის მცხოვრებლებს. ამ ჟამად მთა სრულიად დამცხრალა.

შვეციის მუშათა დელეგაციის კამპანია

ოდესა, 6 დეკემბ. ჩამოვიდა შვეციის ცეცხლის გამჩიღებელთა კავშირის თავჯდომარე ექსტედტი.

ექსტედტის სიტყვით, საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა მუშათა დელეგაციამ გამართა მთელი რიგი კრებები, რომლებზედაც დელეგატები სისწორით აღნიშნავდენ საბჭოთა კავშირის მდგომარეობას. ბევრი გაზეთები, რომლებიც წინად მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი, ათავსებენ დელეგატების სწორ ანგარიშებს.

ქარიშხალი კასპიის ზღვაზე

მახაჩ-კალა, 6 დეკემბ. კასპიის ზღვაზე ქარიშხალის დროს დაზიანდენ გემები „ბუდიონი“, „სლავა“, „ტრუდ“ და „ბუხარინ“ ბუდიონი იძულებული შეიქნა გადაეღვარა ზღვაში 12.000 ფუთი ნავთი, რადგან ტალღები სწვდებოდენ გემის ბაქანს.

ტყეების გადაცემა გლეხებისათვის

მოსკოვი, 6 დეკემბ. 1 დეკემბრისათვის გლეხებისათვის გადასაცემ ტყეების 20,5 მილ. დესეტინიდან უკვე გადაეცა გლეხებს 14,5 მილიონი დესეტინა.

მოსკოვის მე-14-ე საგუბერნიო პარტ-კონფერენცია

კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გამო.

პარტკონფერენციის დილის სხდომაზე 6 დეკემბერს დაიწყო კამათი რიკოვის მოხსენების გამო. ყველა ორატორები აღნიშნავდენ რ. კ. პ. ცეკას ხაზის სისწორეს და მნიშვნელოვან მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობის დარგში, რამაც განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ზაიცევმა, ერმოლაევმა, ტოლკაჩევმა, მიხაილოვმა, ტერ-პეტროსიანმა, პოლონსკიმ, ბაზილევიჩმა, მათვეევმა, გორბინმა, ბუხარინმა და სხვ.

ამხ. ბუხარინის სიტყვა.

ბუხარინი თავის სიტყვაში დაწვრილებით შეეხო პარტიის უახლოეს ამოცანებს, უკანასკნელ, ხანებში მუშათა კლასში და გლეხობაში მომდარ გადაჯგუფებასა და მშრომელთა ფართო მასების აქტივობის ზრდასთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა, რომ სოციალიზმის მშენებლობის უმთავრეს გზას წარმოადგენს მუშათა კლასის და სოციალისტური მრეწველობის კავშირი გლეხობასთან. ეს გზა გადაიქცევა გაცხარებულ ბრძოლათ გლეხობაზე გავლენის მოსაპოვებლათ. ცენტრალურ ფიგურას სოფელში წარმოადგენს არა კულაკი, არამედ საშუალო შეძლების გლეხი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის აზრი მდგომარეობს გლეხობაზე ეკონომიური გავლენის მოპოვებაში. გლეხობაზე ჩვენი გავლენის უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს კოოპერაცია.

შეეხო რა ლენინგრადის კონფერენციაზე განხილულ საკითხებს, ბუხარინმა განაცხადა, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია მთლიანად ჯანსაღი, მოსკოვის ორგანიზაციასთან ერთად წარმოადგენს პარტიის საუკეთესო ნაწილს, მიუხედავათ ზოგიერთ ლენინგრადელ ამხანაგების შეცდომებისა.

ბოლოს ბუხარინი შეეხო ჩვენი პარტიის გადაგვარების შესაძლებლობის საკითხს და აცხადებს, რომ ასეთი საფრთხე მოსალოდნელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ხელიდან გამოგვლეჯდენ ჩვენ მიერ დაკავებულ საკომანდო მაღლობებს სამეურნეო აღმშენებლობ. გზაში.

7 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რ. კ. პ. ცეკას ანგარიშის გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: კამენევმა, მოლოტოვმა, კრუპსკაიამ, უგლანოვმა, ბაუმანმა, რიუტინმა ლომოვმა და სხვ.

რეზოლიუცია

7 დეკემბრის საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა რიკოვის საბოლოო სიტყვა და მისი მოხსენების გამო ერთხმად მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას.

ახალი ელექტრო-სადგურის გახსნა

მოსკოვი, 8 დეკემბ. 6 დეკემბერს მოხდა შატურის სახელმწიფო ელექტრო-სადგურის საზეიმო გახსნა.

გახსნას დაესწრენ მთავრობის წარმომადგენელნი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, პროფორგანიზაციების წარმომადგენელნი, უცხოელი კორესპონდენტები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი, შატიურს რამოდენიმე ათასი მუშები და გლეხები მახლობელ სოფლებიდან.

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წევრმა სმიდოვიჩმა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახელით—კრჟიჟანოვსკიმ, კომინტერნის და საფრანგეთის კომპარტიის სახელით—ჟაკომ. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ტროცკიმ.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ბანკეტი, რომლის დროს ტროცკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ შატურის სადგური არის მთელი ჩვენი ქვეყნის და კულტურის სიმბოლო, ის ჩვენთვის ძვირფასია, იმიტომ რომ შექმნილია ოდესღაც მშიერ მუშების და გლეხების ხელით. შატურის სადგური ვლადიმერ ილიჩის გეგმის ხორცშესხმაა და ამიტომ მას უნდა ეწოდოს ლენინის სახელი.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის ელჩმა ერბეტტმა და ოსმალეთის მიწათმოქმედების კომისარმა საბრი-ბეიმ.

მოჭადრაკეთა შეჯიბრება

მოსკოვი, 8 დეკემბ. 6 დეკემბერს მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე მთელი ყურადღება მიქცეული ჰქონდა ბოგოლიუბოვ—ლასკერის პარტიას, რომელიც სწყვეტავდა პირველობის საკითხს შეჯიბრებაში. ორივე მოწინააღმდეგე დიდის ყურადღებით თამაშობდა. ხანგრძლივი თამაშის შემდეგ ბოგოლიუბოვი და ლასკერი დასთანხმდენ თამაშის უშედეგოთ დამთავრებაზე. ამგვარათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ბოგოლიუბოვისათვის პირველი ადგილი უზრუნველყოფილია. მეორე ადგილი დაიკავა ლასკერმა. კაპაბლანკა-გოტგილფის პარტია დამთავრდა კაპაბლანკას გამარჯვებით. ეს უკანასკნელი დაიკავებს მესამე ადგილს. ტარტაკოვერმა მოუგო რუბინშტეინს, ლევენფიშმა—რაბინოვიჩს, ილინ-ჟენევსკიმ — მარშალს, ტორრემ—ვერლინსკის.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 7 დეკემბერს დამთავრდა წინა შეჯიბრებაზე დაწყებული პარტიები.

შპილმანმა მოუგო რომანოვსკის, რეტიმ ბოგატირჩუკს, რეტი—ვერლინსკის და ტორრე-ილინ-ჟენევსკის პარტიები უშედეგოთ დამთავრდა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

მუშათა სახლი

ფოთი, 8 დეკ. ფოთის ნავთსადგურის სამმართველომ დაამთავრა დიდი ქვის სახლის შენება, რომელშიც მოთავსებული იქნებიან ნავთსადგურის მუშები.

პოლიტგანათლების სკოლები

ფოთი, 8 დეკ. საქართველოს კომუნისტური პარტიის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ხსნის ქალაქში 3 სტაციონარულ პოლიტსკოლას, რომელთა შორის ორი შემოკლებულისა და, ერთიც ნორმალური ტიპის არის. სკოლები განზრახული 90 კაცისათვის.

ბრძოლა ჭირთან

ლიუქსემბურგი, 8 დეკ. მოეწყო საგანგებო სამეული ჭირის ეპიზოოტიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მილიციონერთა კურსები

თელავი, 8 დეკ. გაიხსნა თვიური კურსები მილიციის უმცროს თანამშრომელთათვის.

ტყეების გადაცემა

თელავი, 8 დეკ. ალაზნის გაღმა სატყეო რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემა უკვე დამთავრდა.

1 დეკემბრიდან დაიწყო მუშაობა თელავის სატყეო რაიონში.

ნავარაუდევია, რომ გლეხობას გადაეცემა დაახლოვებით 10.000 დეს. ტყე.

აზერბეიჯანი

მანუფაქტურა ნახიჩევანის მხარისათვის

ბაქო, 8 დეკემბ. „აზერტიფაკმა“ გაუგზავნა ნახიჩევანში „ნახიცფაკ“ ნახევარი ვაგონი მანუფაქტურა.

საფინანსო საქმის გამოკვლევა

ბაქო, 8 დეკ. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის სპეციალური კომისია რესპუბლიკის ფინანსიურ მდგომარეობის გამოსაკვლევად.

აღმშენებლობითი მუშაობა აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიბერიძესთან)

II

ელექტროფიკაცია

წარმატებით მიმდინარეობს აჭარისტანის ელექტროფიკაციის საქმეც. 1927 წლისათვის დამთავრდება მაწუნხეთის ელექტრო-სადგური, რომელიც აჭარისტანის მაზრებს მიაწოდებს 15 ათას ცხენისძალას. სამუშაოების ერთი მესამედი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს; არხის დიდი ნაწილი გათხრილია. უკვე 45 საჟენის მანძილზე კლდეში გაყვანილია გვირაბი, რომელშიაც უნდა გაიაროს მთავარმა არხმა. მოსამზადებელი მუშაობა სავსებით დასრულებულია: აგებულია საბინაო შენობები, სახელოსნოები, უკვე მუშაობს დროებითი ჰიდრო-ელსადგური, რომელიც 250 ცხენის ძალას იძლევა. ჯერ-ჯერობით სადგურის საალმშენებლო მუშაობაზე დახარჯულია ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

მრეწველობა

დიდი ნაბიჯით მიიწევს წინ აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის საქმეც, რომლის წარსამართავად დაარსებულია განსაკუთრებული სამმართველო „აჭარპრომტორგი“. ეს უკანასკნელი მართავს და უძღვება აჭარისტანის ყველა სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება-წარმოებებს—ქიმიური, ლითონის, თამბაქოს ქარხნებს. მიმდინარე წლის განმავლობაში ყველა ქარხნებში იმატა შრომის ნაყოფიერებამ, გადიდდა აგრეთვე წლიური შემოსავალი—მოგება. ვინაიდან აღმშენებლობის გაცხოველებასთან ერთად, გაიზარდა ბაზრის მოთხოვნილება ქიმიური მრეწველობის პროდუქტებზე, აჭარისტანის მთავრობას განზრახვა აქვს გააფართოვოს ქიმიური ქარხანა. საქართველოს მთავრობის მიერ ამ წარმოების გასაფართოებლად გადადებულია 100 ათასი მანეთი. აქედან 50 ათასი მანეთი უკვე მიღებულია.

აჭარისტანის სახ. კომ. საბჭოს შედგენილი აქვს გეგმა და ხარჯთა-აღრიცხვა დიდი საბონდორო ქარხნის ასაგებად. აღძრულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ქარხნის ასაგებად საჭირო თანხის გაღების შესახებ. დიდათ ნაყოფიერია მუშაობა ხე-ტყის და ფანერის ქარხნებისა, რომელთა ნაწარმოებზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება. მიღებულია ზომები ამ წარმოებათა გასაფართოებლადაც.

აღსანიშნავია აგრეთვე აჭარისტანის მთავრობის ღონისძიებანი ზღვის პირად მდებარე კურორტების აღსადგენად. ქობულეთის სანატორიუმის საფუძვლიანად შეკეთებაზე მთავრობამ დახარჯა 20 ათას მანეთამდე, აქვე გაყვანილ იქნა ელექტრონის ქსელი აგარაკის გასანათებლად, რასაც ქობულეთი თავიდანვე მოკლებული იყო. მომავლისათვის საკურორტო მშენებლობის დარგში მთავრობას შემუშავებული აქვს უფრო ფართო გეგმები.

საოფთიაქო საქმე საქართველოში

(პრაქტიკული წინადადება

ჩვენ მხედველობაში გვაქვს დღევანდელი აფთიაქის გეგმიანი მოწესრიგების საქმე.

გასაბჭოებისას, კერძო მესაკუთრეებიდან მივიღეთ წამლებისაგან გაცლილი და ძალზე დაცემული აფთიაქები. თუ ამ გარემოებას ჩვენ მივუმატებთ იმასაც, რომ უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში აფთიაქებს ერთხელაც არ ღირსებიათ ინვენტარისა და საწარმოო იარაღების შეკეთება-განახლება, მაშინ ჩვენ მივიღებთ დამთავრებულ სურათს.

მიუხედავათ იმ კატასტროფიულ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩვენ მივიღეთ მაშინდელი აფთიაქები, საოფთიაქო საქმის სათავეში მდგომმა ორგანოებმა მაინც შესძლეს, დღემდე თავის ხელში შეენარჩუნებიათ აფთიაქები და კიდევ მეტი, ნაწილობრივი შეკეთება-განახლება ეწარმოებიათ და მათი რიცხვი 119-დან—169-დე აეყვანათ.

სამწუხაროთ, უკანასკნელი წლის განმავლობაში საოფთიაქო საქმეს ცუდი პერსპექტივები ესახება.

როგორც სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებს, რესპუბლიკის აფთიაქებისადმი წაყენებული მოთხოვნილების 68,9 პროცენტი დაზღვეულებს ეკუთვნის. დაზღვეულებზე გაცემული წამლების ღირებულებას უკეთდება 40 პროცენტი შეღავათი. ამ რიგათ აფთიაქის მთელი ბრუნვის 68,9 პრ. თითქმის ნახევარ ფასათ არის გაცემული.

აფთიაქი წვრილი მრეწველობის კატეგორიას ეკუთვნის. როგორც ასეთი, იგი ვერ გაუძლებს საკუთარ საბრუნავი თანხის თავის წარმოებიდან დიდი ხნით მოცილებას. ამ ნიადაგზე იგი კიდევ უფრო დავალიანდება და შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენ იძულებული ვიქნებით დაზღვეულ მოსამსახურეებს უარით უპასუხოთ ისეთი პირველი მოთხოვნილების საექიმო საგნებზე, როგორც ქინაქინა და ზეთია.

დღეს თითქმის მივედით ამ მდგომარეობამდე, როცა ადგილებზე ჩვენ გვისაყვედურებენ პირველ საჭიროების სამკურნალო ნივთიერებათა უქონლობას.

მდგომარეობა უფრო გართულდება, თუ რაიმე გამოსავალი არ იქნა გამონახული.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, აფთიაქი სამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი, აგრეთვე მთელი მისი ბრუნვის 68,9 პროც. დაზღვეულებს ეკუთვნის, რომელთაც წამალი ნახევარ ფასათ ეძლევათ. აფთიაქი ვერ უძლებს ამ შეღავათს, მით უმეტეს, როცა ჩვენ არა გვაქვს საკუთარი ქიმიო-ფარმაცევტიული მრეწველობა, რომელსაც შეეძლო მიეცა აფთიაქისათვის საჭირო წამლეულობანი.

დაუშვებელია, რომ ნაღდ ფულზე შეძენილ საქონელს შეღავათი უკეთდებოდეს და ისიც 50 პროც.

ადგილობრივი აღმასკომები, რომელთა პასუხისმგებლობის ქვეშ იცემა დაზღვეულთათვის წამალი, არ უნაღდებენ აფთიაქს შეღავათიან ფასებში გაცემულ წამლეულობის საფასურსაც.

ჩვენ მოვიყვანთ ცხრილს ადგილობრივ აღმასკომების დავალიანებისას, რომ კიდევ ნათელვყოთ ეს მდგომარეობა.

დავალიანება გამოანგარიშებული მხოლოდ 1924 წ. 1 | 10-დან 1925 წ. 1 | 9-დე.

სიღნაღის	7.850 60
დუშეთის	2.022 97
ოზურგეთის	15.530 49
ზუგდიდის	2.572 97
შორაპნის	2.483 10
ქუთაისის	12.114 68
რაჭის	2.310 17
ლეჩხუმის მაზრის დავალიანება	503 53
სენაკის	8.172 43
გორის	10.836 16
ახალ-ქალაქის	4.205 32
სულ:	69.078 32

ამას გარდა წარსულ წელს ჩამოეწერა მხოლოდ ქუთაისის აღმასკომს 50.000 მანეთამდე.

ჩვენ არას ვამბობთ აფთიაქების მუშა-ხელის ჯამაგირის სიმცირეზე, რომლის გადიდება შეუძლებელი ხდება ასეთი მდგომარეობის გამო. არც იმაზე ვტყვით რამეს, რომ საოფთიაქო ინვენტარი და საწარმოო იარაღების განახლება-შეკეთება ვერ ხდება ისე, როგორც საჭიროა.

უნდა გამოინახოს გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით აფთიაქების დენაციონალიზაციის საკითხი დღის წესრიგში დავაყენოთ. ცხადია ეს გააუარესებს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, ხოლო ამ შემთხვევაში არ შეიძლება ბრალი მარტო საოფთიაქო საქმის სათავეში მყოფ ორგანოებს დავაკისროთ.

რა არის საჭირო საქმის გამოსასწორებლად?

1) რაც შეიძლება დაჩქარებით დაამთავრონ მუშაობა იმ კომისიებმა, რომელთაც დავალებული აქვთ ამ საკითხის შესწავლა.

2) გადაისინჯოს დამზღვევ სალაროსთან დადებული ხელშეკრულება შეღავათის მინიმუმადე დაყვანის მიზნით.

3) ანაზღაურდეს აღმასკომების დავალიანება.

4) გაერთიანებულ და ჩამოყალიბებულ იქნეს საოფთიაქო საქმე ცალკე სამეურნეო და ადმინისტრატიულ აპარატში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და

5) გამოინახოს ახალი გზები უცხოეთიდან წამლეულობის შემოსატანათ.

თუ ეს გაკეთდება, აფთიაქსაც მიეცემა გასაქანი და შეიქმნება მეტი შესაძლებლობა, რომ ვიფიქროთ მის ეკონომიურ-ტეხნიკურ წინ-წაწევაზე და გაუმჯობესებაზე.

ვ. ანდღულაძე.

ტყეების გადაცემა გლეხობისათვის

ამჟამად საქართველოს ყველა მაზრებში მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გლეხობაზე გადაცემა. გეგმის მიხედვით საქართველოში გლეხებს უნდა გადაეცეს 134 ათასი დესეტინა. ეს ციფრი არ არის საბოლოოდ განმსაზღვრელი იმ ტყეების სივრცისა, რომელიც გლეხებს უნდა დაურიგდეს. მუშაობის პროცესში შესაძლებელია იგი შეიცვალოს,—ან მეტი დარიგდეს, ან ნაკლები იმისდამიხედვით, როგორი იქნება საჭიროება. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, როგორც ამასწინად იყო აღნიშნული, მშრომელ გლეხობას ეძლევა თავისი მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. გლეხობა ისარგებლებს ტყეებით უფასოდ და განუსაზღვრელი ვადით, მაგრამ ამავე დროს მათ ევალებათ დაიცვან ტყეების გეგმიანი ექსპლოატაციის წესები, რომლის ასრულებისათვის თვალყურის დევნება დაკისრებული აქვთ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ტყის მცველ ორგანიზაციებს.

მიწადმოქმედების სახ. კ-მის ტყის განყოფილების მიერ მიღებული ცნობებით, ტყეების გლეხობაზე გადაცემა მიმდინარეობს დაუბრკოლებლად და სავსებით ნორმალურად.

15 ოქტომბრიდან ნოემბრის დამლევამდე უკვე გადაცემულია თბილისის მაზრაში 595 დესეტინა ტყე, ქუთაისის მაზრაში—2.043 დესეტინა, დუშეთის მაზრაში—206 დესეტ., თელავის მაზრაში—9.835 დესეტ., რაჭის მაზრაში—883 დესეტ., სენაკის მაზრაში—124 დესეტ., სიღნაღის მაზრაში—250 დესეტ., სულ დღემდე საქართველოში გლეხობაზე გადაცემულია 19.920 დესეტინა ტყე. მოსალოდნელია, რომ იანვრის დამლევისათვის ტყეების გადაცემა სავსებით დასრულდეს.

საარჩევნო კამპანია საქართველოში

არჩევნების შედეგების აღრიცხვა

საქართველოს ცაკთან არსებულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ადგილებს დაუგზავნა სათანადო საარჩევნო ოქმების და საარჩევნო კამპანიის შედეგების აღრიცხვის ფორმები, ამ ფორმების სწორათ შევსებას ცენტრალური საარჩევნო კომისია დიდ მნიშვნელობას აძლევს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით ადგილებზე უნდა მოეწყოს სათემო საარჩევნო კომისიის მდივნების წინასწარი (არჩევნებამდის) სამაზრო ან სარაიონო თათბირები, რომლებზედაც სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელი შეასწავლის მდივნებს აღნიშნული ოქმებისა და ბარათების შედგენის წესს იმ სახელმძღვანელო მასალების მიხედვით (ინსტრუქცია, ფორმები, ცირკულიარი), რომელიც გადაეგზავნა ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს.

სტატისტიკის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შეარჩიონ საარჩევნო სტატისტიკისათვის გამოსადეგი პირები (თავის მოხალისე კორესპონდენტებისაგან და სხვა) და წინასწარი მომზადების შემდეგ უნდა გადასცენ ისინი საარჩევნო კომისიის განკარგულებაში დამხმარეთ თვით არჩევნების ჩატარების პროცესში.

ვიდრე საარჩევნო მასალები გადაიგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, სტატისტიკის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია გასინჯოს და მოაწესრიგოს ისინი თვითეულ ფორმის მეორე გვერდზე აღნუსხულ მოთხოვნის თანახმად.

კონკრეტიულად ადგილებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგი საკითხების გაშუქებას: მოსახლეობის მონაწილეობა არჩევნებში; მოქალაქეთა ზოგიერთ ჯგუფებისათვის საარჩევნო უფლების წართმევა; ახლად არჩეულ საბჭოთა ორგანოების შემადგენლობა და სხვა.

მთელი ზემოხსენებული მუშაობა უნდა ჩატარდეს სათანადო საარჩევნო კომისიის საერთო ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით.

სულ ადგილებს დაეგზავნა ექვსი სხვადასხვა ფორმა; საარჩევნო კრების ოქმი; საბჭოების არჩევნებში მონაწილეთა სია; ცნობები არჩევნების გაუქმებისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ; ცნობები მოსახლეობისა და ამომრჩეველთა შესახებ ცალკე თემებისა და ქალაქების მიხედვით; პირადი ბარათი სათემო და საქალაქო საბჭოების და აღმასკომების წევრებზე და პირადი ბარათი სამაზრო ყრილობის დელეგატებზე და სამაზრო აღმასკომის წევრებზე.

მთელი საარჩევნო მასალა, რომელიც დალაგებული უნდა იქნეს ცალკე თემებისა და ქალაქების მიხედვით, უნდა გადაიგზავნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ერთი კვირის განმავლობაში სამაზრო ყრილობის და სამაზრო აღმასკომის პირველი სხდომის დამთავრების დღიდან.

აღნიშნულ მასალებთან ერთად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილი უნდა იქნეს სათანადო საარჩევნო კომისიის დაწვრილებითი წერილობითი მოხსენება არჩევნების ჩატარების შესახებ.

„წერკუმსი“-ს მუშაობაზე

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზ-ბის გამგეობა მუშაობს 1924 წ. 1 ივნისიდან. ამ ხნის განმავლობაში მან მოსძლო საზოგადოების ორგანიზაციულად ჩამოყალიბება. აქვს 400 უჯრედი 30.090 წევრით. საზ—ის თანხა უდრის დაახლოვებით 80.000 მანეთს. მუშაობა მიმდინარეობს ნამდვილი დაკვრითი წესით. მიმდინარე სამოსწავლო წელში იხსნება 500 სალიკვიდაციო და მცირემცოდნეთა სკოლები ცენტრალურ გამგეობის ხარჯზე. მთელი საჭირო მასალა ამ სკოლებისათვის უკვე გადაგზავნილია მაზრებში. ადგილობრივი უჯრედები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში თავისი მხრით ხსნიან კიდევ 500 სკოლას. ეს 1000 სკოლა მიმდინარე სამოსწავლო წელში გამოუშვებენ არა ნაკლებ 30,000 მსმენელს. ამის გარდა თბილისის რაიონული საბჭოები შეფების საშუალებით რესპუბლიკას სხვადასხვა კუთხეებში, საშეფო სოფლებში, ხსნიან სკოლებს, რომლებიც ამ ათას სკოლის რიცხვში არ შედიან. ხსენებულ სკოლების გარდა საზოგადოება ეხმარება საერთოდ სკოლის გარედ მუშაობის საქმესაც.

საზოგადოება დღითი-დღე ფართოვდება. ჯერ ნორჩია, მაგრამ უკვე იმდენად ცნობილი გახდა მშრომელ მასებში, რომ არც ერთი შეგნებული მოქალაქე ამ საზოგადოების გარეშე არ რჩება, შეძლებისდაგვარად ეხმარება მას.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა ერთი შეხედულობით თითქოს ადვილ საქმეთ სჩანს, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით და გავითვალისწინებთ იმ უამრავ დაბრკოლებებს, რომლებიც ამ საქმეს ელობებიან, მაშინ ვიგრძნობთ თუ რამდენად ძნელია ამხ. ლენინის ანდერძის შესრულება.

ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა საქართველოს კეთილდღეობა, ის ამ საზოგადოების გარეშე არ დარჩება და ხელს შეუწყობს მისი მუშაობის გაძლიერებას. თვით ამხ. კალინინი ამბობს, რომ „წერა-კითხვის უცოდინარობა არის ერთი ყველაზე შეუგუებელი საზოგადოებრივი ავადმყოფობათაგანი, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, უადრესათ სამარცხვინო საზოგადოებრივი მოვლენა“ ძირითადი ამოცანა, რომელიც სდგას წერკუმს-ის მომუშავეთა წინ არის შეგნების შეტანა ფართო მშრომელთა მასაში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის შესახებ. ამ დიად საქმის წინ წაწევა შესაძლებელია მხოლოდ ფართო მშრომელთა მასების დახმარებით, მაგრამ დახმარებას ფართო მასები მაშინ გაუწევენ ამ საზოგადოებას, როდესაც მთელი მუშები და გლეხები შეიგნებენ, რომ წერა-კითხვის ცოდნა აუმჯობესებს მათ მატერიალურ და ეკონომიურ მდგომარეობას“. საზოგადოების დროებითი ცენტრალურმა გამგეობამ მისი მცირე აპარატის საშუალებით, რამდენათაც შესაძლებელი იყო, გააცნო ფართო მშრომელთა მასებს ამ საზოგადოების მიზნები და ამოცანები.

დეკემბრის 12-ში ქ. თბილისში მოწვეულია წერკუმს-ის სრულიად საქართველოს ყრილობა. სწორეთ ამ ყრილობამ საზოგადოების ხელმძღვანელათ უნდა ამოირჩიოს ისეთი გამგეობა, რომელიც ამ საქმით დაინტერესებული იქნება და თავის შრომას არ დაიშურებს საზოგადოების განსამტკიცებლათ. საზოგადოების მომავალ გამგეობაში ნამდვილი მოქმედი წევრები უნდა გავიყვანოთ, და არა ისეთები, რომლებიც მხოლოდ სახელით ითვლებიან ცენტრალურ გამგეობის წევრებათ.

ი. გორდეზიანი.

მატყლის დამზადება

წარმოკავშირის მესაქონლეობის განყოფილება წელს ფართო მასშტაბით აწარმოებს მატყლის დამზადებას.

1924 წელში დამზადებული იყო 20.314 ფუთი გაზაფხულის მატყლი და 20.000 ფ. შემოდგომის მატყლი, სულ კი 40.314 ფუთი, რაც 400 პროცენტით აღემატება წინა წლის დამზადებას.

მატყლის დამზადების და განსაკუთრებით გასაღების საქმეში წარმოკავშირს ხელს უშლიდა საზ-ბა „მატყლი“-ს ამიერ-კავკასიის კანტორა, რომელსაც მიუხედავათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყოველგვარი ცდებისა, არ უნდოდა მასთან ხელშეკრულების დადება, ის ყოველის მხრივ ხელს უშლიდა მის მუშაობას და თითქმის ბოიკოტს უცხადებდა ქართულ მატყლს.

მდგომარეობა იმდენათ სერიოზული იყო, რომ ამ საქმეში ჩაერიენ უფრო ავტორიტეტული ორგანოები და წარმოკავშირის მუშაობის ჩაშლისათვის კანტორა „მატყლი“ დახურული იქნა.

მთელი მატყლი მცირეოდენის გამოკლებით გაყიდული იქნა უცხოეთის ბაზარზე, აქედან 4.000 ფუთი „სელსკოსოიუზ“-ის საშუალებით, დანარჩენი კი გაასაღა ამიერ კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ. დიდი ზედნადები ხარჯების, რეალიზაციის საქმის გაჭიანურების და შინა-ვაჭრობის კომიტეტის მიერ ფასების დაკლების გამო, კოოპერაციამ მატყლის დამზადების საქმეში იზარალა.

მიმდინარე წელში საზ-ბა „მატყლმა“ ხელშეკრულება დასდო წარმოკავშირთან 70.000 ფუთი მატყლის დამზადების შესახებ, ამასთანავე ოპერაცია საზ-ბა „მატყლის“ მიერ უზრუნველყოფილია თანხებით 100 პროცენტით.

დამზადებას აწარმოებენ როგორც პირველი საფეხურის კოოპერატივები, ისე წარმოკავშირის საკუთარი აპარატი. მეცხვარეთათვის დაწესებულია მტკიცე ფასი—10 მანეთი გაზაფხულის და 11 მანეთი შემოდგომის მატყლზე. ხელშეკრულების თანახმათ, წარმოკავშირი საზ-ბა „მატყლის“ აბარებს დახარისხებულ და შეკრულ მატყლს.

აქ აღსანიშნავია მთავრობის დიდი დახმარება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მთავრობამ წარმოკავშირს უფასოთ გადასცა მატყლის დიდი საწყობი ნავთლუღში. ამ საწყობის ჩაბარებამ წარმოკავშირს საშუალება მისცა თავის ხელში მოექცია მატყლის შენახვის და დახარისხების საქმე.

მატყლზე დიდი მოთხოვნილების გამო რუსეთის მრეწველობის მხრიდან მატყლის ფასები შემოდგომაზე მეტად გაიზარდა და მიაღწია 15—16 მანეთს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დამზადების რაოდენობაზე, რადგან წარმოკავშირი „მატყლი“-საგან იღებს 11 მანეთს, თვითონ კი იძულებულია მეტი გადაიხადოს.

ჯერჯერობით საწყობში ჩაბარებულია 44.000 ფუთი მატყლი, აქედან სათანადო აქტებით ჩაბარებულია 35.249 ფუთი 31 გირ. წარმოკავშირის მესაქონლეობის განყოფილება ფიქრობს, რომ დამზადება შესრულებული იქნება 85—90 პროცენტით.

ა.-კ. კომორგანიზაციების მეოთხე ყრილობა

ამხ. სერგო ორჯონიკიძის საბოლოო სიტყვა

ჩვენი ნაკლულევანებანი

— ამხანაგებო, პირველ ყოვლისა მე უნდა ვილაპარაკო იმ შენიშვნებზე, რომლებიც აქ მოგვცეს. ზოგიერთი ამხანაგები ამბობდნენ, რომ მე ჩემს მოხსენებაში საკითხი ისე დავსვი, თითქოს ჩვენში ყველაფერი წესიერად არის დაყენებული. ეს არ არის მართალი. ამ ამხანაგებს, რომლებიც ასე ლაპარაკობენ, ან გუშინ არ მოუსმენიათ ჩემი მოხსენება, ან კიდევ არ შეუწუხებიათ თავი თუნდაც დღეს ზერელეთ მაინც თვალი გადაევლოთ ჩემი მოხსენებისათვის, რომელიც დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკა"-ში.

მე ვილაპარაკე იმ ნაკლულოვანებებზე, რომლებიც აღმოჩენილი იყო სოფლად: ჩვენი პარტუჯრედების ჩამოუყალიბებლობა, სოფლად მუშაობის წარმოების უცოდინარობა მათ მხრივ, ზოგჯერ გლეხურ მასიდან მოწყვეტა, პარტიულ და საბჭოთა ფუნქციების აღრევა, გლეხკომების მიერ იმ უფლებების მითვისება, რომლებიც მათ არ ეკუთვნით, უკანონოდ გადასახადების გაწერა, ბევრი ჩვენი მუშაკების უვარგისობა და უკულტურობა და სხვ.

შემდეგ მე შევეხე მიღწევებს, მაგრამ ისიც ვსთქვი, რომ ჩვენი ქვეყანა ღატაკი და შიშველია, და რომ საჭიროა კიდევ ძალიან ბევრი გაკეთდეს რომ დავდგეთ ფეხზე და გავსწიოთ წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

კიდევ მეტი. ჩემი მოხსენების დასასრულს მე ვსთქვი: ის დაბრკოლებები, რომლებიც გვქონდა, უკვე გადავლახეთ, მაგრამ წინ გვიდგას მთავარი დაბრკოლებები, მთავარი ბრძოლები. ასე რომ ჩემს წინააღმდეგ მომართული საყვედური უმეტესად უსაფუძვლოა.

აქ ვილაცამ მიუთითა აგრეთვე იმაზე, თითქოს მე შევაქე კოოპერაცია; ეს არ არის მართალი. აი რა ვსთქვი მე: „თითქოს საქმე ცუდათ არ იყოს, ნამდვილად კი ყველაფერი რიგზე არ არის. ავიღოთ, მაგალითად, „წარმოკავშირი". მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი მიღწევები ამ კოოპერაციაში არის, ჩვენ ამას წინად განვიხილეთ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ წარმოდგენილი მასალა ამ კოოპერაციის შესახებ და გამოირკვა, რომ „წარმოკავშირს" აქვს ვალი 5 მილიონი მანეთი. ეს მოხდა ერთის მხრივ იმიტომ, რომ ამხანაგებმა, რომლებიც იქ მუშაობდნენ, არ იცოდნენ საქმის გაძღოლა. მეორე მხრით კი — საბრუნავ საშუალებების უქონლობის გამო", და სხვა.

მე ვლაპარაკობდი არა იმაზე, რომ ყველაფერი კარგად არის, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ბევრის გაკეთება შევსძელით. შევსძელით განადგურებული ქვეყანა დაგვეყენებია თითქმის იმ დონეზე, რომელზედაც ის იყო 1913 წელს, ე. ი. ბოლშევიკურმა მთავრობამ, ჩვენმა პარტიამ შესძლო აღედგინა ის, რაც გაანადგურა იმპერიალისტურმა ომმა, ის, რაც დაანგრიეს ნაციონალურმა მთავრობებმა.

მაგრამ ამით ჩვენ კიდევ ვერ დავაღწიეთ თავი სიღარიბეს. ეს ერთი.

წითელი ჯარი

მეორე გაუგებრობა წითელი არმიის შესახებ. აქ ამხანაგებო მიუთითებდნენ იმაზე, რომ მე არ შევჩერებულვარ წითელ არმიაზე. ამხ. სნეგირევი, რომელიც გამოვიდა აქ, ლაპარაკობდა, რომ შეიძლებოდა ლაპარაკი ამა და ამაზეო. ცალკეულ საკითხზე შეიძლება ათჯერ ილაპარაკო და ილაპარაკო.

მე წითელი არმიისათვის უცხო კაცი არ ვარ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ წითელი არმიის წინაშე ამჟამად არ არის დასმული ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვდნენ გადაჭრას და დირექტივებს ამ ყრილობისაგან. წითელი არმიის აღმშენებლობის საკითხები უკვე ჩამოყალიბებულია განსაზღვრულ ჩარჩოებში, საჭიროა მათი ცხოვრებაში გატარება, ხოლო წითელი არმია, რასაკვირველია, როგორც ეს სთქვა ამხ. სნეგირევმა, იყო არის და იქნება. როგორც რევოლიუციონერ-სამხედრო საბჭოს და პარტიის საოლქო კომიტეტის წევრმა, მე უნდა მიუთითო იმაზე, რომ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, წითელ არმიას საბუთი არ აქვს მიმართოს ყრილობას საყვედურით რომ საოლქო, რესპუბლიკანური და სამაზრო ორგანიზაციები არ აქცევენ მას ყურადღებას.

ავიღებ მაგალითისათვის შემდეგ ფაქტს: აზერბეიჯანის მთავრობა, უმთავრესად ბაქოს საბჭო, ამიერ-კავკასიის მთავრობის დახმარებით აშენებს წელს ბაქოში დიდ ყაზარმებს, რომლებიც ჯდება მილიონი მანეთი. ვიტყვი კიდევ, რომ მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ან ამიერ-კავკასიის, ან რომელიმე რესპუბლიკის მთავრობისათვის მეთხოვნა დახმარება წითელი არმიისათვის და უარი მიმეღო თხოვნაზე.

მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ ამხ. სნეგირევი მართალი იყო როცა ამბობდა: „საჭიროა პარტიის მთელი საზოგადოებრივი ყურადღება მივაპყროთ იმაზე, რომ უფრო მეტად იზრუნონ არმიაზე"-ო.

მეორე ამხანაგი ამბობდა, რომ ამჟამად ჩვენ თითქოს ერთგვარ ნაკლებ სიფრთხილეს ვიჩენთ, რადგან ვფიქრობთ, რომ არ მოგველის არავითარი საფრთხე. რასაკვირველია, დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა ჩვენის მხრივ, რომ ასე გვეფიქრა. ამხ. კიროვი მე მეუბნება, რომ ინგლისი ან სხვა ვინმე შეეცდება, რომ ჩვენ არ მოგვცეს საშუალება ვიგემოთ ასეთი მშვიდობიანობა,

მიღწევები ნავთის მრეწველობაში

შევეხოთ ეხლა კიდევ ერთ შენიშვნას. ზოგიერთმა ბაქოელმა ამხანაგებმა მე შენიშვნა მომცეს, რომ მე ცოტა გადავაჭარბე ნავთის მრეწველობის მიღწევების საკითხში, განსაკუთრებით ბურღვის საკითხში, როცა მე ვსთქვი, რომ რაც წინად კეთდებოდა 9—12 თვის განმავლობაში, ეხლა კეთდება 15 დღის განმავლობაში. ჩემს ხელთ არის დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს ამხ. რუმიანცევი, ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი ბალახანის რაიონის მუშებისაგან. ის ამჟამად არის ამხ. სერებროვსკის მოადგილე.

„ძველად ჭას ბურღავდნენ რვა-თორმეტი თვის განმავლობაში. ბურღვის ახალ წესს თითქმის არ იცნობდნენ. ეხლა ახალ მოედნებზე ჭას 120 საჟენის სიღრმით სავსებით ათავებენ საშუალოდ ერთი თვის განმავლობაში, ამასთან პირველი 90—100 საჟენის გაბურღვა ხდება 5—6 დღის განმავლობაში, დანარჩენი 20—30 საჟენის კი უფრო ნელა სწარმოებს. თუ ბურღვა ვაწარმოეთ უკვე გამოკვლეულ ნიადაგზე—120—130 საჟენის სიღრმე გაბურღული იქნება 15 დღეში. მაგალითად: ამჟამად საბუნჩში ხდება ახალი ჭის გაბურღვა ახალი წესით. მისი სიღრმე უდრის 212 საჟენს. წმინდა მუშაობას დასჭირდა 17 დღე. ხელსაწყოს, რომელთანაც მუშაობს რამოდენიმე (ოცდაათამდე) საჭაჩი, ეწოდება ჯგუფური ხელსაწყო „კეპეტის", „ოილ-ვეილის" და „ბესემარის" სისტემის ღრმა საჭაჩებისათვის. უკანასკნელი ტიპის ხელსაწყოს ამზადებს თვითონ „აზნავთი" „HP. 4727".

როგორც ხედავთ, ასეთი მდგომარეობა ყოფილა: ჩვენ ვაშენებთ, ვაღწევთ უდიდეს შედეგებს, ხოლო ზოგიერთმა ადგილობრივმა ამხანაგებმა არ იციან როგორც სჩანს, თვით ბაქოელებსაც დასჭირდებათ ყურადღებით დააკვირდნენ თავის თავს.

რკინის გზა

შემდეგი საკითხი შეეხება რკინისგზას. აქ რკინისგზელები თითქოს ოდნავად ნაწყენი არიან, რითი—არ ვიცით.

მაგალითად, ამხ. გრიგორიანი ამბობს, რომ „სერგომ ილაპარაკა ჩვენს მიღწევებზე მრეწველობის დარგში და მხოლოდ გაკვრით შეეხო რკინისგზასო", ამხ. მიხაილოვი კი ამბობს: „სერგოს არაფერი არ უთქვამს არც ხიდებზე, არც ერთზე, არც მეორეზეო".

მე რკინისგზის მიღწევაზე, ვლაპარაკობ იმდენსავე, რამდენსაც მიღწევებზე სხვა დარგებში. მე ვსთქვი: გადადებულია წელს 5,780,000 მანეთი ხიდების შესაკეთებლად, სადგურების ასაგებად და გადასაკეთებლად, სადგურის ლიანდაგების გასაგრძელებლად, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის, თბილისის სახელოსნოების გადასაკეთებლად. შემდეგ ჯულფა-ალიათ-შავი ზღვის რკ. გზის გასაყვანათ გადადებულია— 8,500,000 მან. როგორც ხედავთ, მითქვამს ხიდებზედაც და სხვებზედაც, არა გაკვრით, არამედ პირდაპირ.

ამხ. მიხაილოვი ამბობდა, რომ რკინისგზელები უნდა დავაყენოთ თუნდაც მეორე ადგილზე სამთომადნო მუშების შემდეგ. მე ვფიქრობ, რომ რკინისგზელები უნდა დავაყენოთ თანაბრად სამთომადნო მუშებთან. არავის ეჭვი არ შეაქვს იმ რევოლიუციონურ ტრადიციაში, რომელიც ყოველთვის ჰქონდათ რკინისგზელებს. მაგრამ ჩვენ ამ ყრილობაზე იმიტომ კი არ შევკრებილვართ, რომ ქათინაურები ვილაპარაკოთ.

შემდეგ, აქ სთქვეს, რომ თითქოს საოლქო კომიტეტს არაფერი არ გაუკეთებია ბაქოს კვანძის შესახებ, და რომ კომისიას, რომელიც გაგზავნილი იყო ბაქოს კვანძის გამოსაკვლევად, არავისთვის მოხსენება არ გაუკეთებია და არავინ არ იცის ამ კომისიის მიერ მოხდენილ გამოკვლევის შედეგებიო.

სანამ ასე გამოვიდოდეს ვინმე, საჭიროა ჯერ გაიგოს—არსებობს თუ არა ამ კომისიის მიერ წარმოებულ გამოკვლევის მასალები? გარდა ამისა, 24 სექტემბერს კომისიამ გააკეთა ჩვენთან მოხსენება. მიღებული იყო მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც გადაიგზავნა ბაქოში. საოლქო კომიტეტის ოქმები ეგზავნება საოლქო კომიტეტის ყველა წევრებს, და ბაქოში, რომელიც თქვენც იცით, მოიპოვება საოლქო კომიტეტის არა ერთი და ორი წევრი. ასე რომ—ეს გადავსდოთ გვერდით.

ექცეოდა თუ არა ყურადღება რკინის გზელების საჭიროებებს? ექცეოდა და ძალიან დიდიც.

ხოლო საბინაო საკითხის შესახებ, რომელიც მართლაც ძალიან მწვავედ სდგას რკინისგზისათვის, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ყოველთვის ვაწუხებდით რკინისგზას.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერ ამას ჩვენ ადვილად ვახერხებთ. როცა ჩვენ გვიხდება ვაიძულოთ რკინის გზა დახარჯოს ესა თუ ის თანხა, ხშირად მას ეს არ შეუძლია, რადგან ის ცენტრალიზაციაქმნილია და უნდა მიიღოს ნებართვა გზათა სახალხო კომისარიატისაგან. ჩვენ არ შეგვიძლია მოვშალოთ მთელი სისტემა და მთელი ორგანიზაცია. მიუხედავათ იმისა, რომ გზათა სახალხო კომისარიატმა მისცა ამიერ-კავკასიის რკინისგზას დაახლოვებით 150 ათასი მანეთი საბინაო აღმშენებლობისათვის, — ჩვენ მაინც ვაიძულეთ ის დაეხარჯა წელს არა ნაკლები ერთი მილიონი მანეთისა. როგორც ხედავთ, საოლქო კომიტეტი იძულებული ხდება იკისროს პასუხისმგებლობა ცეკას წინაშე ზედმეტი ხარჯებისათვის ა/კ. რკინისგზებზე.

ეროვნული საკითხი

ამხ. სნეგირევი ამბობდა, რომ საჭირო იყო უფრო ფართოდ შეჩერება ნაციონალურ საკითხზეო. მე ვფიქრობ, რომ არაფერი საჭირო არ იყო ამ ყრილობაზე კიდევ უფრო გაგვევითარებია ეს საკითხი. ორი დღის წინ მე მომიხდა გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე და მე ძალიან დაწვრილებით შევჩერდი გაუგებრობებზე აფხაზეთში, აჭარისტანში, ახალქალაქში და სხვაგან. ამის კიდევ განმეორება არ იყო საჭირო, მით უფრო, რომ ჩემი სიტყვა დაბეჭდილი იყო „ზარია ვოსტოკა-ში".

ამხ. ეფენდიევმა, რომელიც გამოვიდა აქ, სთქვა, რომ მათ აქვთ ნაკლულოვანებანი, მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის არა მას ან საზოგადოთ ადგილობრივ მუშაკებს, არამედ აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას და საოლქო კომიტეტსო. ეს, ჩემის აზრით, არაფერს არ გავს. კაცი, რომელიც ხელმძღვანელობს იქ მუშაობას, ლაპარაკობს, რომ საოლქო კომიტეტიდან ჩვენ არ ვხედავდით არავითარ ხელმძღვანელობას ნაციონალურ უმცირესობათა საკითხებში, ჩვენ არ მოგვდიოდა არავითარი მითითებებიო. ძვირფასო ამხანაგებო, საოლქო კომიტეტი, როგორც თქვენ იცით, ხელმძღვანელობას ეწევა ცეკას საშუალებით და არა ცალკე ამხანაგების საშუალებით ამხანაგებო, უნდა ვიცნობდეთ პარტიის წესდებას და ჩვენს ურთიერთობას ცეკასთან. ჩვენ არ ვაძლევთ ისეთ უფლებებს საოლქო კომიტეტს, რომ მან ცეკას გვერდი აუხვიოს და უხელმძღვანელოს ინსტრუქტორებს. ცეკას კი არა ერთხელ ეძლეოდა დირექტივები.

საკითხი, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხ. საგატელოვი, საკითხი აზერბეიჯანის მთაგორიან ადგილის შესახებ დასვა და გადაუგზავნა აზერბეიჯანის ცეკას სწორედ საოლქო კომიტეტმა და მიუთითა იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებია მას. ჩვენ ვარჩევდით სექტანტობის, რუსული მოსახლეობის საკითხებს. ეს საკითხი სრულებითაც არ არის რელიგიური, სექტანტური, არამედ ის არის უმეტესად სოციალური. ჩვენ ვარჩევდით ამ საკითხს და ვიძლეოდით სათანადო მითითებებს, ხოლო ცეკა შემდეგში ვალდებული იყო ყველაფერი ეს გაეტარებია ცხოვრებაში ადგილობრივ. საიდან შეგვიძლია ჩვენ უგზავნოთ მიწისმზომელები ჩვენს მალაკნებს საქართველოში ან სომხეთში, ან აზერბეიჯანში. ეს უკვე თქვენი საქმეა; მაგრამ ეს არ გვანთავისუფლებს ჩვენ პასუხისმგებლობიდან. მე ვლაპარაკობ არა იმიტომ, რომ მოვხსნა ჩემს თავს ან საოლქო კომიტეტს პასუხისმგებლობა, მე მინდა მხოლოდ მოგაგონოთ თქვენ ის, რაც იყო.

აქ შემოსულია მთელი რიგი წერილობითი შეკითხვებისა და თუ ნებას მომცემთ, ცალკე ცალკე არ შევეხები ამ საკითხებს, შევეცდები ჩემს საბოლოო სიტყვაში ერთად შევეხო მათ.

აქ მიუთითებენ იმაზე, რომ თურქები უკმაყოფილო არიან მით, რომ თურქები არ არიან მდივნებად, აღმასკომების თავმჯდომარეებად და სხვ. და რომ ამ თანამდებობათა უმეტესობა უჭირავთ სომხებს.

მაგრამ სად ვიშოვოთ მუშაკები (ხმა: აზერბეიჯანში). აზერბეიჯანში კი ბევრია? ცოტა ძალიან ცოტა. ამხ. ეფენდიევმაც ჩემზე კარგად იცის, რომ აზერბეიჯანში წერა-კითხვის მცოდნეები შეადგენენ 5-დან 8 პროცენტამდე. აზერბეიჯანის აპარატში არ არის ჩვენი ამხანაგი თურქების საკმაო რაოდენობა. საიდან წამოვიყვანოთ ისინი? ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში ძალიან ცოტა არიან თურქები, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდა ისინი წამოვიყვანოთ ან დავივიწყეთ ისინი, არამედ იმიტომ, რომ არ არის მიზანშეწონილი თურქ მუშაკების მოხსნა აზერბეიჯანში და ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში გადმოყვანა. და ეს სწორია, რადგან ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაავსოთ თურქ მუშაკებით პირველ ყოვლისა აზერბეიჯანის დაწესებულებები.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში თურქული სექტორი. მისი დახმარებით ჩვენ შევსძლებდით თურქი მუშაკების კადრის მომზადებას; მაგრამ ჯერ-ჯერობით ის ვერ არის კარგად დაყენებული, ვინაიდან არ მოიპოვებიან თურქი მასწავლებლები ამასწინად მე მოვიწვიე ამიერ-კავკასიის კომუნივერსიტეტიდან ამხანაგები ჩემთან ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში. გამოვიდა თურქი სტუდენტი მთელი რიგი საყვედურებით ჩვენდამი. ის ამბობდა: „ჩვენ არაფერი არ გამოგვივა, თქვენ ამჟამად უქმად ხარჯავთ ფულს ჩვენზე, ვინაიდან ჩვენ არა გვყავს მასწავლებლები". რა უნდა ვქნათ ჩვენ? სად ვიშოვოთ ეს მასწავლებლები?

ეროვნული უმცირესობანი

ეხლა, ამხანაგებო, მე გადავალ ეროვნულ უმცირესობათა საკითხზე.

მე მახარებს ყველა გამოსვლები ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიშის გარშემო. ამ გამოსვლებმა გვიჩვენეს ჩვენი პარტიის, ჩვენი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ზრდა, აქტივობის უდიდესი ზრდა. მაგრამ ნუ თუ მართალია, რომ ჩვენ არ გვესმის საკითხი, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ? ამხ. ეფენდიევმა, რომელიც ამას გვიმტკიცებდა, ალბად უყურადღებოდ მოისმინა ჩემი მოხსენების ეს ნაწილი. ვსთქვათ სინდისის ქვეშ: ის უკმაყოფილებანი, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებში არსებობს, საშიშნი არიან თუ არა? არა, არ არიან საშიშნი. არის მხოლოდ ერთი, რასაც ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ— უნდა დავიწყოთ სასტიკი ბრძოლა იმის გამო, რათა ყოველი გაქვლელი, კონტრ რევოლიუციონერი, ყოველგვარი სისაძაგლის სარჩულად ნაციონალურ საკითხს არ იყენებდეს. თუ აზერბეიჯანში ესა თუ ის სომეხი ჩაიდენს რაიმე სისაძაგლეს და მას აზერბეიჯანის მთავრობა ციხეში ჩასვამს, ის ყოველმხრივ ეცდება დაამტკიცოს, რომ ამას სჩადის სომხეთის მიმართ აზერბეიჯანელი. თუ სომეხმა სომეხი დასაჯა, ის არ იტყვის, რომ სომეხმა ამისთვის და ამისთვის ჩაიდინა ეს. მაგრამ თუ სომეხმა სრულიად სამართლიანად დასაჯა თათარი, ამას უთუოდ სომეხ-თათართა დამოკიდებულებას გამოაბამენ კუდათ.

დამოკიდებულება გლეხებთან

აი აქ გამოვიდა ამხ. საგათელოვი და ილაპარაკა მთიან ადგილებში განჯელი გლეხების საჭიროებათა შესახებ. მაგრამ მის გამოსვლაში გამოსჭვივის ცუდი სული, და ეს უნდა აღინიშნოს.

რა ილაპარაკა მან? ჩავიწერე მისი სიტყვები: „ქალაქის კომუნისტებს არ გაჰყავთ ლოზუნგი—„პირით სოფლისაკენ". ერთი გლეხი შემთხვევით მოხვდა მათ ყრილობაზე და ისიც გამოაგდეს".

ამხანაგებო, ნუ თუ მთელი ჩვენი ორგანიზაცია გლეხური არ არის? ამ ორგანიზაციას, რომ სათავეში ბაქოს პროლეტარიატი არ ჰყავდეს, ის მთლად გლეხური იქნებოდა. ნუ თუ მთელი ჩვენი ანგარიში იმას არ ამბობს, რომ ჩვენ გლეხური სულით ვართ გამსჭვალული? როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ ქალაქის კომუნისტი არ ატარებს ცხოვრებაში ლოზუნგს—„პირით სოფლისაკენ", რომ ქალაქის კომუნისტი არაფერს აკეთებს გლეხისათვის? ამის ლაპარაკი ნიშნავს გლეხებში უნდობლობის დათესვას ქალაქის კომუნისტებისადმი. მაგრამ ვინ არიან ქალაქის კომუნისტები? ისინი არიან მუშები. კომუნისტმა სოფელში უნდა იცოდეს სოფლის მასის განწყობილება, მაგრამ ამ განწყობილების ტყვედ არ უნდა გადაიქცეს. ჩვენ არასოდეს არ დაგვიმალავს, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის შუა ადგილი აქვს წინააღმდეგობებს. სიტყვა „კავშირი" გლეხებს და მუშებს შორის სწორედ ამ წინააღმდეგობათა გამო დაიბადა. უამისოდ კავშირი არც იქნებოდა საჭირო. ბაქოს და თბილისის პროლეტარიატის შუა კავშირი საჭირო არ არის, ვინაიდან ისინი ერთნი არიან თავიანთი სულით. და აი ჩვენც გაგვყავს იგი.

ამხ. საგათელოვი კი ამბობს, რომ ქალაქის კომუნისტები არაფერს არ აკეთებენ სოფლისათვის და უმატებს კიდევ: მუშებს აქვთ სოციალური დაზღვევა და სხვა, გლეხებს კი არაფერი არ გააჩნიათ, გლეხებს ყველაფერს ართმევენ და ცოტას აძლევენ და სხ. და სხ.

ეს მაგონებს მე უპარტიო, არა საკმაო განათლებას მოკლებული გლეხის სიტყვას საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე, და არა კომუნისტის გამოსვლას.

ბაზრის საკითხი

კამათში ლაპარაკი იყო ბაზრის შესახებ. ამხ. ივანოვმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ შრომის ხელფასი მართალია იზრდება, მაგრამ ჩვენს ბაზარს დეზორგანიზაცია ემჩნევა, ფასები იწევენ და შინა ვაჭრობის კომისარიატი არაფერს არ აკეთებს. მე მზათ ვარ აღვიარო, რომ ჩვენი შინა ვაჭრობის კომისარიატი სუსტია. მაგრამ აქ საჭიროა სხვანაირად, უფრო სერიოზულად მიუდგეთ საკითხს. ვერავითარი ძლიერი შინა ვაჭრობის კომისარიატი ვერ შესძლებს იმის გაკეთებას, რაც ვერ გაუკეთებია დღეს მთელს ჩვენს ეკონომიკას.

მდგომარეობა შემდეგნაირია: სამრეწველო საქონელი საკმაოდ არ მოიპოვება, მიუხედავათ იმისა, რომ მრეწველობის განვითარებაში ჩვენ ძალიან წავიწიეთ წინ. გლეხებში სყიდვითი უნარი იმდენათ გაიზარდა, რომ ეს საქონელი მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არა კმარა. ამიტომ საქონელზე მოთხოვნილება მეტია, ვიდრე წინადადება. ამ ნიადაგზე ფეხს იკიდებს ფასების აწევა სპეკულიაცია და სხვა. ჩვენ რომ ძლიერი კოოპერაცია გვქონდეს, ის ბევრად შეამსუბუქებდა მდგომარეობას. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ამბობდა ზაქათალელი ამხანაგი, ჩვენში შემჩნეულია ის, რომ საქონელი მოდის კოოპერატივში და მაშინავე უკანა კარებით ის გადადის სპეკულიანტების ხელში.

ასეთი დანაშაული უნდა იდევნებოდეს, ისჯებოდეს. აქ მარტო საოლქო კომიტეტი ვერას გახდება, თუ ამგვარი დეფექტები ადგილობრივ არ მოსპეს თვით ადგილებმა.

ასე უნდა ითქვას: საოლქო კომიტეტი ვერას გიშველით ამ შემთხვევაში, ვინაიდან საოლქო კომიტეტის ხელი ყოველ დღე ადგილებს ვერ მისწვდება.

ასე უნდა ითქვას: საოლქო კომიტეტმა კარგი ხელმძღვანელობა უნდა გასწიოს, ხოლო ამხანაგებმა ადგილებზე თვითონ უნდა გაატარონ გადაწყვეტილებანი.

მემამულეების ასალაგმავად

ამხ. ტაგიევი გვისაყვედურებდა, რომ მათ ბევრი მემამულეები ჰყავთ, რომლებსაც რატომღაც არ აძევებენ, რადგან ჩვენგან ელიან განკარგულებას. განკარგულება დიდიხანია გაიცა. რათ უნდა ელოდოთ სხვა ბრძანებებს? თქვენ მშვენივრად იცით, რომ ბოლშევიზმს არაფერი საერთო არა აქვს მემამულეებთან. თუ თქვენ დღემდე მემამულეები შეგრჩენიათ, ეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ მაზრაში ხელისუფლება ვერ ვარგებულა. (ადგილიდან: მართალია). თქვენ ხომ იცით, ამხანაგებო, პარტიის პროგრამა, იცით თუ როგორ გადასჭრა ოქტომბრის რევოლიუციამ მემამულეთა საკითხი, იცით ჩვენ მიერ გამოცემული კანონები ამ საკითხზე, ამხ. ტაგიევი თვითონ დაესწრო ჩვენს თათბირს. მე შემიძლია წაუკითხო მას ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მასთან ერთად გამოვიმუშავეთ. თქვენ გინდათ, რომ გაძევებას ახდენდეს საოლქო ან ბაქოს კომიტეტი და თქვენ კი არ იქნეთ ამაში პასუხისმგებელნი? ეს არ ვარგა. (ტაში).

აქ ამხ. საგათელოვი ამბობდა, რომ რომელიღაც მემამულეს აქვს 250 დეს. მიწა. როგორ მოხდა ეს. ამაზე პასუხი უნდა აგოს განჯის სამაზრო აღმასკომმა და სამაზრო კომიტეტმა და არა ცენტრალურმა ან საოლქო კომიტეტმა. დიდიხანია არსებობს კანონი მიწის ნორმის შესახებ, რისთვის არ გაგყავთ ის ცხოვრებაში? ეს გადაწყვეტილებანი ჩვენ უნდა გავატაროთ თქვენის ხელით, ხოლო თუ თქვენი მაგარი ხელი არ იქნა, ჩვენ უმედოთ ვიფართხალებთ, და ყველა ჩვენი ნაწერები, სიტყვები, რეზოლიუციები და სხ. მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯები იქნება.

როგორ შეუძლია პარტიას გააკეთოს რამე თუ მისი ხელქვეითი ორგანიზაციები არ დაეხმარებიან მუშაობაში? რისთვის შევიკრიბენით სათათბიროდ? იმისთვის, რომ გამოვიყენოთ თქვენი გამოცდილება, ერთად გამოვიმუშაოთ საჭირო გადაწყვეტილებანი და ერთად გავატაროთ ისინი ცხოვრებაში.

ადგილობრივი ბიუჯეტი

შემდეგ, ამხანაგებო, ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ. აქ გამოვიდა ამხ. ქურდაძე გორის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი საქართველოში. მაგრამ ის უნდა გაიწკეპლოს ადგილობრივი ბიუჯეტის გამო. ის არა სცნობს არავითარ ბიუჯეტს. მას არა სწამს არავითარი საბიუჯეტო დისციპლინა. ის ამბობს: მოგვეცით აი ასეთი ბიუჯეტი, ამ ბიუჯეტიდან კი მან 80 ათასი მანეთი დახარჯა ისეთ საქმეზე, რომელიც მართალია დიდებულია, მაგრამ ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის.

ამას წინად ჩემთან მთელი დელეგაცია ჩამოვიდა ქუთაისიდან. სრული ოთხი თვე მასწავლებლებს ჯამაგირი არ მიუღიათ. რატომ?

შევეკითხეთ სახფინკომს: შენ აძლევდი ფულს? ვაძლევდი,

თავის დროზე?—თავის დროზე.

რატომ არ მიგიღიათ?—სულ უბრალოდ. ამ წელს მათ ბიუჯეტის მიხედვით უნდა ჰყავდეთ 1000 მასწავლებელი ისინი კი ანგარიშობენ, რომ მათ ესაჭიროებათ 1600 და იყვანენ 1.600. ჯამაგირი კი 1000 მასწავლებლისათვის იგზავნება.

მერმე როგორ იქცევიან? ისინი ანაწილებენ 1.600 კაცზე იმ იმედით, რომ წლის დამლევს მასწავლებლებს მაინც მისცემენ. მთავრობა ხომ მასწავლებლებს უჯამაგიროდ არ დასტოვებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ მათ არ დავსტოვებთ უჯამაგიროდ, ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვეცა. მაგრამ როგორ მიგვეცა? ვუბრძანეთ სახფინკომს გადაეხადა ეს ფული საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე. შევამციროთ სხვა ხარჯები.

ცხადია ეს ამხ. ქურდაძეს არ დააკმაყოფილებს. მისი სურვილი სდულს, მას უნდა მეტი იმუშაოს; მაგრამ ჩვენ რესურსები არა გვაქვს. რა ვქნათ, იძულებული ვართ შეძლების მიხედვით ვაწარმოოთ აღმშენებლობა. კარგია, რა თქმა უნდა, თავისუფალი თანხები რომ გვქონდეს; წინად ასეც იყო, როდესაც მტკიცე ბიუჯეტი არა გვქონდა, ეხლა ჩვენ გვაქვს მტკიცე ბიუჯეტი, რომელიც მტკიცდება ჩვენი საოლქო ორგანოების მიერ, შემდეგ იგზავნება მოსკოვში, სადაც ის ტარდება ყოველგვარ ფილტრში და საკავშირო კომისართა საბჭოსა და საკავშირო ცაკის მიერ დამტკიცების შემდეგ შედის ძალაში. მერე კი ველარაფერს იცილებ.

ჩვენი ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი ამ წლიწადში გაიზარდა 42 პროცენტით და ჩვენ მივიღეთ მეტი, ვიდრე შარშან, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ამხ. ქურდაძეს უნდა და რამდენის მიცემაც ჩვენ გვინდა მისთვის.

მელიორაცია

მელიორაციული მუშაობის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს მიღწევები ამ დარგში, მაგრამ დეფექტებიც მოგვეპოვება. მე უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენი მორწყვის ბიუჯეტი კინაღამ დამარცხდა მოსკოვში იმ მიზეზით, რომ ჩვენ არა გვქონდა დამუშავებული პროექტები. ჩვენ მივედით იქ და ვუთხარით— მოგვეცით ფული. მათ გვიპასუხეს: რომელი ხარჯებისათვის გინდათ მოიხმაროთ?

აი ჩვენ გვინდა ავაშენოთ ყარასახალი, ალაზანი.

პროექტი გაქვთ?—არა.

პროექტი არ აღმოგვაჩნდა. ამ მხრით რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოები კარგად უნდა შეემზადონ, თორემ მომავალ წელს ერთ კაპეიკსაც ვერ მივიღებთ. დიდი ხვეწნის შემდეგ ჩვენ მოგვცეს ფული იმ პირობით, რომ 1 იანვრისათვის წარდგენილი იქნება პროექტები.

კრედიტი კოოპერაციისათვის

საბანკო კრედიტი კოოპერაციაში. ეს საკითხი ამხანაგებო, ჩვენც დავაყენეთ, და ეხლა კომისია ამხ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით მუშაობს იმისთვის, რომ ბანკის კრედიტი შეეფარდებოდეს იმ საქონლის რეალიზაციას, რომლისთვისაც ის არის გაცემული

სამუშაო ხელფასი

ეხლა სამუშაო ხელფასის შესახებ. აქ ერთ-ერთმა თურქმა ამხანაგმა განაცხადა, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდება და იკითხა: „თქვენ კი იძლევით სამუშაო ხელფასს, როგორც საჭიროა?".

მე მგონია, რომ ნავთის მრეწველობაში სამუშაო ხელფასი, არამც თუ არ ჩამორჩება შრომის ნაყოფიერებას, არამედ ცოტათი წინაც უსწრებს. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდამ წინ უნდა გაუსწროს სამუშაო ხელფასის ზრდას, უამისოდ ჩვენ ვერ შევსძლებთ იმ აუცილებელ თანხების დაგროვებას, რომელიც საჭიროა განათლებისათვის და მრეწველობის გაფართოებისათვის. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ თუ ჩვენი მრეწველობიდან ცოტაოდენ ფულს არ გადავსდებთ სოციალისტურ სკივრში ახალი ქარხნების ასაშენებლად და ძველების გადასაკეთებლად, ჩვენ ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწევთ.

ყოველ კომუნისტმა უნდა შეითვისოს ეს. უამისოდ არაფერი არ გამოვა.

თავისთავად ცხადია, ამ ხაზზე იერიშს მიიტანენ ჩვენი წინააღმდეგ. მენშევიკებიც შეგვებრძოლებიან ამ ხაზზე და შეეცდებიან მუშათა კლასის ნაწილის მიმხრობას სამუშაო ხელფასის გადიდების მოთხოვნის ნიადაგზე. ისინი ყოველთვის წამოაყენებენ სამუშაო ხელფასის გადიდების შეუჩერებელ პროცენტს. ისინი არაფერს არ ჰკარგავენ, ჩვენ კი თქვენთან ერთად ქვეყნის ბატონ-პატრონები ვართ, ჩვენ ვართ არა მარტო მუშები, არამედ მწარმოებლებიც. ეს მრეწველობა ჩვენია და ჩვენ,—როგორც მწარმოებლებმა—უნდა განვაცხადოთ: „მართალია, შენ მუშაობ ჩვენს პროლეტარულ ქარხანაში, მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება აშენება კიდევ სხვა ქარხნების და არა მარტო ახალი ქარხნების, არამედ სოციალიზმისაც, სოციალიზმის აღმშენებლობისათვის კი საჭიროა ფულები".

ეს უნდა განუმარტოთ თვითეულ უპარტიო მუშას.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი

ორიოდე სიტყვა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის შესახებ. აქ იკითხეს, რატომ დავხურეთ ჩვენ მოსამზადებელი კურსი უნივერსიტეტში და მართალია თუ არა, რომ ჩვენ ვაპირებთ მოსწავლეთა რიცხვის შემცირებას. ჩვენ გვაქვს ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, სადაც ვფიქრობთ აღვზარდოთ ამხანაგები, რომელნიც კურსის დამთავრების შემდეგ, იქნებიან კარგად მომზადებულნი პასუხისმგებელი ამხანაგები. სწორედ ამ მიზნით იხარჯება უნივერსიტეტზე დიდი თანხები.

უნივერსიტეტში წერა-კითხვის სწავლება არ შეიძლება. ამისთვის არსებობს პირველი საფეხურის სკოლები, საბჭოთა პარტიული სკოლები, მუშფაკები და სხვ. მიუხედავად ამისა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში ხშირად გვიგზავნიან ისეთ ამხანაგებს, რომელთაც ესაჭიროებათ პირველ დაწყებითი სწავლა. ეს ერთი.

მეორეს მხრივ უნდა ითქვას, რომ ჩვენ შევაგროვეთ 600 კაცი; მათთვის კი ჩვენ არა გვყოფნის არც მატერიალური და არც პედაგოგიური საშუალებანი. ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ უკეთესია გვყავდეს ნაკლები 600 კაცის ნაცვლად 300—400, მაგრამ გვყავდეს მშვენივრად მომზადებულნი და საუკეთესო პირობებში მყოფი პასუხისმგებელი ამხანაგები. მე ვიცი რომ მთელი მოსამზადებელი კურსი უკმაყოფილო იქნება საოლქო კომიტეტით. მაგრამ რას იზამ. არ შეიძლება სახელმწიფოს შენება ისე, რომ არავის არ აწყენინო. ხშირად იძულებული ვხდებით მეგობრებსაც კი ვაწყენინოთ.

აქ იყო მთელი რიგი კითხვებისა იმის შესახებ, თუ როგორ მიდის აღმზრდელობის საქმე ჩვენს სკოლებში. ნება მიბოძეთ ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ რადგან თქვენ უფრო კარგად იცით, როგორ არის დაყენებული აღმზრდელობის საქმე. ზაქათალელმა გლეხმა, რომელიც აქ გამოვიდა 2 სიტყვით დაახასიათა ის: „ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გავდევნეთ სკოლებიდან ძველი სული; სწავლება სწარმოებს ძველებურად".

კამათის მნიშვნელობა

ამხანაგებო, ის კამათი, რომელიც გაიმართა საოლქო კომიტეტის მოხსენების ირგვლივ, არც ერთ აქ დამსწრე ამხანაგისათვის უბრალოდ არ ჩაივლის. სასარგებლო შენიშვნების მთელი რიგი, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ, მომავალ საოლქო კომიტეტის მიერ მხედველობაში იქნება მიღებული და მე ვფიქრობ, რომ ჩემი პასუხიც სასარგებლო იქნება ზოგიერთ ამხანაგებისათვის. ამგვარად, გამოვსთქვამ სრულ რწმენას, რომ მომავალი საოლქო კომიტეტი რომელსაც თქვენ ეხლა აირჩევთ, მომავალ ყრილობის წინაშე წარსდგება უფრო ნაკლები დეფექტებით, ვინემ საოლქო კომიტეტის ეხლანდელი შემადგენლობა.

(მხურვალე ტაში)

ამიერ-კავკ. საოლქო საკონტრ. კომისიის მუშაობა

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება

კრება იხსნება ამხ. გამიდ-სულთანოვის თავმჯდომარეობით. სიტყვა მოხსენებისათვის ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. ნაზარეტიანს.

ამხანაგებო, სულ მხოლოდ წელიწად ნახევარია, რაც ამიერ-კავკასიის ფარგლებით დაიწყო გაერთიანებული მუშაობა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ.

ილიჩი ამ ორგანოთა გაერთიანებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეძლევდა. მისი აზრით საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა შედგენილი ყოფილიყო მტკიცე, ბოლშევიკურად გამობრძმედილ კომუნისტებისაგან და განსაკუთრებით მუშებისაგან. როგორი იყო ამ მხრივ ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემადგენლობა? სტაჟის მიხედვით 1905 წლამდე პარტიაში შესული ამხანაგებიდან ამ ორგანოებში ირიცხებოდა 19 კაცი. 1917 წლამდე—11 კაცი და 1920 წლამდე—2 კაცი. სოციალური შემადგენლობის მხრივ საკონტროლო კომისიაში გვქონდა შემდეგი სურათი: მუშები 18, გლეხები 6, ინტელიგენტები 7, მოსამსახურე 1.

განვლილმა წელიწად ნახევარმა ჩვენ დაგვანახვა, რომ ამ გაერთიანებულ ორგანოების მუშაობამ მნიშვნელოვნად გაუადვილა კავშირი ფართე მასებთან პარტიის საოლქო კომიტეტს და აგრეთვე რესპუბლიკის ცალკე ცენტრალურ პარტიულ კომიტეტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაერთიანება დღემდე ყველგან იყო ჩატარებული, გარდა სომხეთისა. სომხეთში, მხოლოდ უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე გატარდა ცხოვრებაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის გაერთიანება. ამრიგად, ეხლა მთელ ამიერ-კავკასიაში ჩატარებულია მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია ილიჩის გეგმის მიხედვით.

ჩვენი მუშაობის მიზნები და მეთოდები

ჩვენი მუშაობის მიზანი და მეთოდები უმთავრესად მიმდინარეობდა სამი გზით:

ა) პირველი გზა, ეს არის გზა— მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიკვლევთ დაწესებულებებს და წარმოებებს იმ მიზნით, რომ შევამოწმოთ რამდენათ ასრულებენ ეს დაწესებულებანი კანონმდებლობას, დირექტივებს და იმ ამოცანებს, რომელთაც ავალებენ მათ სათანადო ორგანოები.

ბ) მეორე სახის მუშაობათ უნდა ჩაითვალოს შესწავლის ხასიათის მუშაობა. ამით ჩვენ მიზნათ ვისახავთ, გამოვიკვლიოთ ცალკე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხებიან სახელმწიფო სამეურნეო ცხოვრებას და მათ აპარატს. ამ მუშაობას უმთავრესად თეორიულ, მეცნიერულ შესწავლის ხასიათი აქვს. მას შედეგად მოსდევს ის, რომ ჩვენ შეგვაქვს სათანადო შესწორებანი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაობაში.

გ) მესამე სახის მუშაობა მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მიმდინარეობს რაციონალიზაციის გზით. ასეთი მიდგომით ცალკე დაწესებულებებისადმი ან წარმოებისადმი, ჩვენ მიზნათ ვისახავთ მივაღწიოთ იმას, რომ მან ტეხნიკურ მოწყობილობის გაუმჯობესებით, მუშაობის წესების გამარტივებით, ბიუროკრატიზმის ნაშთების აღმოფხვრით და სხვა ასეთებით, მოგვცეს შრომის ნაყოფიერების უდიდესი შედეგები ადამიანის ენერგიის მცირე დახარჯვით.

ამრიგად, ყველა ეს სამი სახე ჩვენი მუშაობისა დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ერთ მთავარ მასწრაფებით. ყველა მათში ორგანიულად განსახიერებულია შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის პრინციპი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „შმო"-ს.

„შმო"

მე არ შევჩერდები დაწვრილებით „შმო"-ს მნიშვნელობის განმარტებაზე. ამის შესახებ ჩვენ ამ ხანად, საკმაოდ დიდი ლიტერატურა მოგვ[illegible]. ყველამ კარგად იცის, რა დიდ [illegible]შვნელობას აძლევდა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციულ საკითხებს ამხ. ლენინი.

„შმო"-ს ყველა სახის ორგანიზაციების გამაერთიანებელია ამიერკავკასიის ფარგლებით მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებული „შმო"-ს ბიურო.

როგორია ამიერ-კავკასიის „შმო"-ს ორგანიზაციათა მიღწევები? სწარმოებს სისტემატიური და რეგულიარული კამპანია ბეჭდვითი სიტყვას ორგანოებში „შმო"-ს მნიშვნელობის შესახებ. განსაკუთრებული მიღწევები აქვს „შმო"-ს ორ უჯრედს, ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში. პირველ მათგანმა მიაღწია დიდ შედეგებს მატარებელთა შემადგენლობის გადიდების და ხელოვნურ მუხრუჭების გამრავლების მხრივ უღელტეხილზე, რომელიც ჩვენ გვაძლევს 400.000 მანეთს ეკონომიას. ეს დამოწმებულია რკინისგზის სამმართველოს თავმჯდომარის, ამხ. ივანოვის მიერ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია აგრეთვე საქმის წარმოება. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში მოწყობილია მანქანაზე წერის ცენტრალიზაცია და გაუმჯობესებულია ცნობების მიწოდების ტეხნიკა, რომელიც გვაძლევს თვეში 1924 საათის ეკონომიას. შემოღებულია აგრეთვე, ჯამაგირების კონვერტებით დარიგება, რაც სპობს რიგებს სალაროსთან და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

აზერბეიჯანში და სომხეთშიაც მოწყობილია „შმო"-ს ასოციაცია. პირველ მათგანს დიდი მიღწევები აქვს, რაც შეეხება უკანასკნელს, მას მხოლოდ ბოლო ხანებში დაიწყო მუშაობა და საქმის წინსვლას აფერხებს სათანადო მუშაკების არყოლობა.

„შმო"-ს ყოველგვარ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ ადმინისტრატიულ სექციის მუშაკები. მათ შესძლეს ჩაეტარებინათ საბარათო სისტემა ბევრს სახელმწიფო დაწესებულებებში და ამრიგად, გაემარტივებინათ იქ საქმის წარმოება. ასეთებია: ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატი, ამიერ-კავკასიის ცაკ-ი, შრომის კომისარიატი, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო და მიწადმოქმედების კომისარიატი. სათანადო მუშაკების მოსამზადებლად ჩვენ მოვაწყვეთ საქმის წარმოების შესწავლის კურსები, სადაც საათების მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილი ჰქონდა „შმო"-ს გაკვეთილებს.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არის აგრეთვე საანგარიშო სამქო, რომელიც მოქმედებს განსაკუთრებულ დებულების საფუძველზე და, რომელიც შესდგება დიდსტაჟიან ბუხჰალტერებისაგან. ამთანავე ჩვენთან მოქმედებს ამიერ-კავკასიის სტანდარტიზაციის ბიურო.

გეგმიანი მუშაობა

დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში გეგმას: გეგმით, თუმცა უფრო გვიან, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად და მეტი სარგებლობით შეგვიძლია ჩვენ ვაწარმოვოთ და უხელმძღვანელოთ სხვადასხვა დაწესებულებათა და წარმოებების აპარატის მუშაობას. სწორედ ამიტომ, ყველა ჩვენი ორგანოები და სექციები, გარდა გეგმის გარეშე ინსპექციისა მუშაობენ საკალენდარო გეგმით. ამაში მდგომარეობს არსებითი განსხვავება რეორგანიზაციამდელ მუშათა და გლეხთა ინსპექციის დღევანდელ და ძველ მუშაობათა შორის. გეგმა საშვალებას გვაძლევს ჩვენ მშვიდობიან, სულ დათქმულ და სერიოზულ დამოკიდებულებით მოვეკიდოთ ამა თუ იმ დაწესებულების გამოკვლევას და თავიდან ავიცდინოთ შესაძლებელი შეცდომების დაშვება.

კავშირი მასებთან

ჩვენ უკვე ვსთქვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის იმ დიდ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც შეუძლიანთ მათ ითამაშონ ფართე მშრომელ მასების სახელმწიფოებრივი და სამეურნეო აღმშენებლობაში ჩაბმის საქმეში. ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ რომ ამ მხრით დიდი მაღწევები გვაქვს. მაგრამ გადაჭრით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ის მცირე საქმე, რაც უკვე გაკეთებულია ამიერ-კავკასიის და ცალკე რესპუბლიკათა გაერთიანებულ საკონტროლო და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მიერ, ამტკიცებს, რომ ამ ორგანოთა გაერთიანებამ თავისი თავი გაამართლა. ის დაწესებულება თანდათან, მაგრამ მტკიცედ იხვეჭს ფართე მასების ნდობას. საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ იცის, რომ ის აქ ჰპოვებს სამართლიან დაცვას. გარდა ამისა, ყველა მშრომელმა იცის, რომ მას აქ ამხანაგურად მოუსმენენ და ყურადღებით მოეკიდებიან მის მიერ წამოყენებულ ამა თუ იმ წინადადებას. სწორედ ამიტომ არის, რომ გაერთიანებული მუშათა და გლეხთა ინსპექცია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის და საწარმოო თათბირების მუშაობას, რადგან ეს წარმოადგენს ფართე მშრომელი მასების ჩვენს მუშაობის ჩაბმის საუკეთესო ფორმას.

პარტიის მე-13 ყრილობამ ჩვენ დაგვავალა, რომ გაგვედევნა მუშაობის პრაქტიკიდან კონტროლის სიმრავლე და მათი შეუთანხმებლობა და აგრეთვე, რომ ჩვენი საქმიანობა დაგვეკავშირებია ისეთ ორგანოებთან, რომლებიც აწარმოებენ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, როგორც მაგალითად: სახელმწიფო საგეგმო კომისია, ცენტრალური სტატისტიკური სამართველო, პროფკავშირები, ფინანსთა კომისარიატის საფინანსო სამმართველო, საგანგებო კომისიის ეკონომიური სამმართველო და სხვები.

ყველა ამ ორგანოებთან ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია აწარმოებდა შეთანხმებულ და კონტაქტიურ მუშაობას. გაუგებრობის შემთხვევები არ ყოფილა, რამდენადაც ვიცი, ცალკე რესპუბლიკების გაერთიანებულ საკონტროლო და მუშათა და გლეხთა ინსპექციები, საკმაოდ შეთანხმებულად აწარმოებენ ამ მუშაობას.

სახელმწიფო აპარატის მდგომარეობა

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში, ჩვენ შევსძელით სავსებით გაგვემართლებია ილიჩის ანდერძი სახელმწიფო აპარატის შემოკლების შესახებ. ჩვენი ცენტრალური აპარატები შტატების მიხედვით, გაზვიადებულათ უნდა ჩაითვალოს. დღეს, რომ კომისია ამცირებს, ხვალ კომისარიატები ხელახლა ღებულობენ ახალ მუშაკებს. საჭიროა ამ აპარატების გადასინჯვა და ილიჩის პრინციპის ურყევლად გატარება: „სჯობს ცოტა იყვეს, მაგრამ უკეთესი". ბევრათ უფრო ცუდია მდგომარეობა საბჭოთა ქვედა აპარატებში. მე არ გავაგრძელებ ამ სიტყვას უკვე საკმაოდ ცნობილ ნახჩევანის მხარის შესახებ არც ახალქალაქის მაზრაში და სომხეთ-აზერბაიჯანის ზოგიერთ კუთხეებში ყოფილა ამ მხრივ სანუგეშო მდგომარეობა. მე მინდა აქ დამახასიათებელ მაგალითებით დაგანახოთ თქვენ ჩვენი ქვედა აპარატის ტიპიური მდგომარეობა.

1. ლენქორანის მაზრაში, სოფელ აგდაგში, რომელიდაც ბრიყვ ტყის მცველმა ჩამოართვა გლეხებს ერთად ერთი საბალახო მიწა, სადღელი ხე-ტყის მოსაშენებლად, და ეს მაშინ, როდესაც მის განკარგულებაში აუარებელი, უქმად მდებარე, უვარგისი ტყის მოცდნები იყო.

2. იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც თათრების სოფელში მიდის ცირკულიარები რუსულ ენაზე და რუს სოფლებში კი თათრულ ენაზე.

3. ივანობისთვეში მოვიდა მოწერილობა ლენქორანიდან ერთ-ერთ ადგილობრივ თემში, გადავგზავნათ თავიანთ ოთხფეხი საქონლით საბაზრო ქალაქში ყველა ის ახალგაზრდა გლეხები, რომლებიც არ იყვნენ აყვანილი სამხედრო აღრიცხვაზედ. გლეხთა რიცხვი უდრიდა 200 კაცს, რომელთაც უნდა გაევლოთ 60 - 70 ვერსი. დიდი ვაი-ვაგლახით შესძლეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლებმა, რომ დაეყოლიებიათ თანხმობაზედ მაზრის სამხედრო კომისარიატი, ხელი აეღო ასეთ განზრახვისაგან. უკანასკნელი დასთანხმდა, მაგრამ განაცხადა — ამას ჩვენ ჩავდივართ იმიტომ, რომ მივაჩვიოთ თათრის მოსახლეობა, სამხედრო დისციპლინას და სამსახურს.

4. აზერბეიჯანში არ არსებობს დებულება საბჭოების შესახებ და ისინი მუშაობენ თავის მოვალეობის და დანიშნულების ყოველივე ფარგლებს გარეშე.

5. სომხეთში, ქვედა აპარატებში, საქმის წარმოება თითქმის არ არსებობს, კრასნოსელსკის რაიონში ერთ-ერთ თათართა სოფლის საბჭოს ოქმში ჩაწერილია დადგენილებას სახით მხოლოდ ერთი ფრაზა: „იგიმ, — მე ვლაპარაკობდი — შენ იცი".

6. ამ რაიონიდან ყველა 8 გამოკვლეული სოფელი სრულიად მოწყვეტილია ცენტრს. არჩევნების ჩატარების შემდეგ, მათთან ერთხელაც არავინ არ ჩასულა. იყო ერთჯერ მილიციის უფროსი და მიწის განყოფილების გამგე სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად. ასეთი ჩამოშორება ცენტრიდან სამართლიანად აძლევს საბუთს გლეხებს განაცხადონ, რომ ჩვენ ვახსოვართ მაშინ, როდესაც საჭიროა გადასახადის აკრეფაო.

7. ორხარის (აფხაზეთი) თემაღმასკომის თავმჯდომარემ წერა-კითხვა არ იცის, ვერ ლაპარაკობს რუსულად, მდივანი კი რუსია და არ იცის აფხაზური ენა. გარდა ამისა თვით საქმეებშიაც ვერ ერკვევა ის. აქიდან თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ რანაირ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ასეთი თემსაბჭო. ამავე აფხაზეთში არის სოფელი მუგუძარხვა. აქ თემღმასკომთან ერთად არის უხუცესთა საბჭო, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობს. ამიტომ თემაღმასკომის დადგენილებების მაგივრად აქ დადგენილებები გამოაქვს უხუცესთა საბჭოს და ეს ხდება საბჭოთა ხელისუფლების 8 წლის არსებობის თავზე.

აი როგორია ქვედა აპარატის მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს დიდ ყურადღებას და ამ აპარატებში მომუშავე პირად შემადგენლობის გადახალისება-გაუმჯობესებას. პარტიულ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე პირველ ყოვლისა დამოკიდებულია ქვედა აპარატის სიმტკიცეზე და მის ნორმალურ მუშაობაზე.

შემდეგ მომხსენებელი გადადის იმ მნიშვნელოვან საკონტროლო-სარევიზიო გამოკვლევებზე, რომელიც ჩატარებული იყო საანგარიშო წლის განმავლობაში გაერთიანებულ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ. ის აცნობს ყრილობას ამ გაერთიანებულ ორგანოს კონსტრუქციას, მის ურთიერთობას ცალკე რესპუბლიკების და საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან და მოჰყავს წარსულის მუშაობის დამახასიათებელი ციფრები.

დასკვნები

ჩვენ მივაღწიეთ, — განაგრძობს მომხსენებელი, — მნიშვნელოვან მიღწევებს რეორგანიზაცია ქმნილ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოღვაწეობაში. მუშაობის კურსი მთლიანად ამართლებს იმ დადგენილებებს, რომელიც მიღებული იყო პარტიულ ყრილობების და მე 14 პარტკონფერენციის მიერ. ჩვენი მუშაობა სავსებით ეხამება აგრეთვე ამხ. ლენინის მიერ წამოყენებულ პრინციპებს. მუშათა და გლეხთა ინსპექცია თავის ოპერატიულ მუშაობით მისწვდა ადმინისტრატიულ სამეურნეო ცხოვრების მალოობებს და დასახა სწორი გზები სახელმწიფო, კოოპერატიულ, მრეწველობის და სხვა სახის აპარატის რაციონალურ მუშაობისათვის.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემდეგი შემოქმედება უნდა მიმდინარეობდეს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების და სოფლის მეურნეობის ღრმა შესწავლის გზით. ის მიზნათ უნდა ისახავდეს რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებას და მრეწველობის ძალთა განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული მის მუშაობაში სტანდარტიზაციაზე და ნაწარმიების თვისების გაუმჯობესობაზე. რადგან მუშათა და გლეხთა ინსპექციის ერთ მნიშვნელოვან ამოცანათაგანს შეადგენს ფართე მშრომელი მასების სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აღმშენებლობაში ჩაბმა, საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცებული იქნას კავშირი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებთან, საწარმოო თათბირებთან და ეკონომიურ კომისიებთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას მიქცეული აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში იმის თვალყურის დევნებას, თუ რამდენად სწორად და უმტკივნეულოდ ატარებს ცხოვრებაში ადგილობრივი დაწესებულებები საკანონმდებლო ორგანოების დეკრეტებს და დადგენილებებს. გაერთიანებულმა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და საკონტროლო კომისიამ ენერგიული დახმარება უნდა გაუწიოს იმ ორგანოებს, რომლებიც ებრძვიან ბოროტმოქმედებას, მფლანგველობას და უპომქირობას.

ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რომ მოაწესრიგონ საბჭოთა ქვედა აპარატის მუშაობა.

ამხ. ვანო სტურუას თანამოხსენება

პარტკოლეგიის მუშაობა

ამხანაგებო, პარტკოლეგია თავის მუშაობაში სცდილობდა მჭიდრო კავშირი დაეჭირა ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიებთან. ჩვენ მიზანს შეადგენდა დაგვეახლოვებია პარტკოლეგიის მუშაობა პარტიულ მასსებთან. ამ მიზნით სხდომებზე ვიწვევდით ცალკე რაიონების და სხვათა საწარმოო უჯრედების წარმომადგენლებს. ისინი იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ამა თუ იმ ამხანაგის გასამართლებაში. მათ ეძლეოდათ გადამწყვეტი ხმის უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ საანგარიშო წლის განმავლობაში დანაშაულობათა რიცხვმა ამხანაგების მხრივ დაიკლო, და ეს მაშინ, როდესაც ამ წლის განმავლობაში პარტიული ორგანიზაცია 15.000 წევრით გაიზარდა. ეს აიხსნება იმით, რომ ხელმძღვანელობა პარტიულ ორგანიზაციის მიერ გაუმჯობესდა და აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თვით საკონტროლო კომისიის მუშაობამ. პარტკოლეგიები საზოგადოთ არ მიმართავდნენ სასტიკ ზომებს. პირველ ყოვლისა, ისინი სცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ დამნაშავე ამხანაგზე გაფრთხილების და აღმზრდელობითი ზომების საშუალებით. მხოლოდ, თუ ასეთი ზომები არ სჭრიდა, მაშინ ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვემართა უდიდესი სასჯელისათვის — პარტიიდან გამორიცხვისათვის.

ორი მაგალითი

არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ წევრებზე არ მოქმედობს არც ერთი, არც მეორე სახის ზომები. ისინი არ ცხრებიან და მიმართავენ რუსეთის კომპარტიის საკონტროლო კომისიას და კომინტერნსაც კი.

იყო ერთი ახალგაზრდა სომხეთიდან, ვინმე დანდაროვი. ის გამორიცხა სომხეთის საკონტროლო კომისიამ და ეს გამორიცხვა დავადასტურეთ ჩვენც. შემდეგ ამ ახალგაზრდამ თავი ამოყო მოსკოვში და იქ გაასაჩივრა საქმე. როდესაც ეს საკითხი ჩვენ ხელმეორეთ დაგვიბრუნდა და შევკრიბეთ ახალი ცნობები ამ ამხანაგის შესახებ, გამოირკვა, რომ დანდაროვის პარტიიდან გარიცხვა სამართლიანად მოხდა. ამაზე ის თვითონაც დაგვეთანხმა, მაგრამ გვთხოვა სამუდამოთ არ დაგვეკეტა მისთვის, როგორც ახალგაზრდისთვის, პარტიის კარები. ჩვენ დავადგინეთ, რომ ეს ამხანაგი მიღებული ყოფილიყო პარტიაში საერთო წესით.

იყო კიდევ, მეორე ამხანაგი, ყაზარიანი. მანაც გაასაჩივრა საქმე მოსკოვში, საიდანაც ჩვენ მოწერილობა მოგვივიდა ხელახლად გადაგვესინჯა ეს საკითხი. როდესაც ჩვენ დავიბარეთ ამხ. ყაზარიანი და უთხარით მას: „დაჯექ შენ ჩვენ ადგილას და სთქვი, როგორ განაჩენს გამოგვიტანდი იმ დანაშაულისათვის, რომელიც შენ ჩაიდინეო", მან გვიპასუხა: — მე ყველას გამოგრიცხავდით პარტიიდანო". მაშინ ჩვენ ვკითხეთ: „რათ არა ხართ გამოყოფილი ჩვენი დადგენილებით?" ყაზარიანმა სთქვა, „მე თქვენ გეთანხმებით, მაგრამ გთხოვთ გამომრიცხოთ პარტიიდან ერთი წლით, რომ შემდეგ მაინც შემეძლოს მის რიგებში დაბრუნება". ჩვენ წავედით კომპრომისზე და დავადგინეთ, აღდგენილი ყოფილიყო ის ახალი სტაჟით და ამასთანავე წინადადება მივეცით, რომ შემდეგში თავი დაეჭირა მას ისე, როგორც მას შეჰფერის მაგალითის მიმცემ კომუნისტს.

პარტკოლეგიის მუშაობას რამდენიმე აფერხებდა ის გარემოება: რომ პარტიის მე 13 ყრილობის დადგენილების თანახმად უნდა გადასინჯული ყოფილიყო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედები.

საერთოდ, სხვა სახის დანაშაულებათა შორის, ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს პარტიულ დისციპლინის დარღვევას. ასეთია მაგალითად კრებებზე არდასწრება, საწევრო გადასახადის დროზე შეუტანლობა, ბურჟუაზიულ ელემენტებთან კავშირი და არასამართლიანი დამოკიდებულება ქალებთან. პარტიის დისციპლინის დარღვევა ხშირად იწვევდა ამხანაგების ჩვენს რიგებიდან გამორიცხვას.

გლეხი კომუნისტები

იყო შემთხვევები, როდესაც თავის სურვილით გამოდიოდნენ ამხანაგები პარტიიდან. ეს ემჩნეოდა განსაკუთრებით გლეხთა უჯრედებში. პარტკოლეგია მეტად დაინტერესა ამ მოვლენამ. გამოირკვა შემდეგი მიზეზი. გლეხი კომუნისტები ზაფხულობით უნდა დასწრებოდნენ პარტიულ კრებებს და ეწარმოებინათ სხვადასხვა პარტიული მუშაობა. ეს მათ ხელს უშლიდა სამეურნეო მუშაობაში. ისინი გვეუბნებოდნენ ჩვენ: „არ იფიქროთ მხოლოდ, რომ ჩვენ გული გაგვიტყდა კომუნისტურ პარტიაზე. საჭიროების დროს ჩვენ თქვენთანა ვართო". ამის გამო პარტკოლეგიამ მიმართა ამხანაგებს, რომ საალოვო მუშაობის დროს შეემსუბუქებიათ გლეხ კომუნისტებისათვის პარტიულ მოვალეობათა შესრულება. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ გლეხის პსიქოლოგიას ზაფხულის მუშაობის დროს და ჭირნახულის აკრეფის თვეებში მათ შეღავათები უნდა მიეცეთ.

ნაკლოვანებანი, რომელნიც უნდა აღმოიფხვრას

არა ერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პარტიულები უხეშად ექცეოდნენ უპარტიოებს. ეს ხდებოდა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის და სხვადასხვა სახის ნებაყოფლობითი დაბეგვრის დროს. საქმე იმაშია, რომ ეს „ნებაყოფლობა" არ ყოფილა ხშირად დამყარებული უმრავლესობის სურვილზე. იყო აგრეთვე შემთხვევები, როცა პასუხისმგებელი ამხანაგები უდიერად ეპყრობოდნენ ხელქვეითებს. გარდა ამისა, ჩვენს ხელში გაიარა ისეთმა საქმეებმა, სადაც პარტიის წევრს ბრალი ედებოდა გაუპატიურებაში და მოტყუებაში. არის ამსთანავე მაგალითები, როდესაც კომუნისტს მობეზრებოდა თავის ცოლთან ცხოვრება და ის გვერდზე იჩენდა სხვა ცოლს, სრულიად სტოვებდა პირველ ამხანაგს ბავშვით და არ უზრუნველყოფდა მას. ეს ცუდ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე და ქალთა განყოფილების მუშაობაზე. ხელს უშლის, აგრეთვე, ქალიშვილების კომკავშირში შესვლას. მათი მშობლები ამბობენ: „კომუნისტები ასე სჩადიან, და მე, რომ გავაგზავნო ჩემი ქალი კომკავშირში, იქ მას არშიყობას დაუწყებენ და შედეგად მივიღებ არა სასიამოვნო ისტორიას"-ო.

განსაკუთრებით ამას ყურადღება უნდა მიექცეს აზერბაიჯანში, სადაც ქალთა მდგომარეობა მეტად მძიმეა.

უკანასკნელ ხანებში ერთობ გახშირდა გაფლანგვები. ბევრი მათგანი აღმოჩენილი იყო და ბევრიც აღმოსაჩენელია. ამ მოვლენასაც უნდა გამოეცხადოს სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა.

პარტიიდან გამორიცხვა

საანგარიშო ხნის განმავლობაში ყველა რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციიდან გამორიცხული არის 986 ამხანაგი. საქართველოში ამ რიცხვიდან გამორიცხულია — 256, სომხეთში — 367, აზერბეიჯანში — 363. ეს გამორიცხვა ყველაზე უფრო შეეხო პარტიის ახალგაზრდა წევრებს, რომელნიც შემოსულნი არიან ჩვენს რიგებში 1920—24 წლებში.

მენშევიკურ ავანტიურის დროს, ბევრმა პარტიიდან გამორიცხულებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყების ჩაქრობაში. მათ დაამტკიცეს რომ ისინი ისეთივე კომუნისტებათ დარჩნენ, როგორც წინად იყვნენ და საჭიროების დროს ჩვენ გვერდში ამოგვიდგნენ. ამისათვის რამოდენიმე ათეული ამისთანა ამხანაგი ხელახლა მიღებული იქნა პარტიაში.

პარტიის არაპროლეტარულ შემადგენლობის გადასინჯვა

მე-13 პარტიულ ყრილობის დადგენილების თანახმად ჩვენ უნდა გადაგვესინჯა საბჭოთა დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების შემადგენლობა. ამ მუშაობას ჩვენ ხელი მოვკიდეთ თებერვლის შუა რიცხვებიდან სულ გადასასინჯავი იყო 339 უჯრედი, 8,848 პარტიის წევრებით. სინამდვილეში კი ჩვენ შეგვიხვდა 300 უჯრედის გადასინჯვა, 10,375 პარტიის წევრებით. ამ გადასინჯვას ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილით და წინდახედულობით მოვეკიდეთ. თავიდანვე შევეცადეთ გვეგრძნობინებია ამხანაგებისათვის, რომ ჩვენ ვაწარმოვებთ შემოწმებას და არა პარტიის წმენდას. გადასინჯვამ დიდი ნაყოფი მოგვიტანა. ბევრი დეფექტები იყო შემჩნეული და გამოსწორებული.

ეს საქმე მთლიანად დასრულებული იქნა 1-ლ აგვისტომდე. დარჩა მხოლოდ ერთეულები, რომელთაგან ზოგიერთი ხანგრძლივ მივლინებაში იყო ან ავადმყოფობის გამო სანატორიუმებში და საავადმყოფოებში იმყოფებოდნენ. გადასინჯვის დროს, სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ადგილებში უჯრედების მდივნად არაპარტიის წევრები იყვნენ. საერთოდ, უჯრედების შემოწმების შემდეგ პარტიის გარეშე მოჰყვა 153 კაცი და სხვადასხვა ვადით გამორიცხული იქნა 21 კაცი. დანარჩენებიდან კი ზოგიერთებმა მიიღეს სხვადასხვა სახის პარტიული სასჯელი.

გადასინჯვამ გვაჩვენა აგრეთვე ჩვენი ორგანიზაციების მრავალი მტკივანი მხარეები. მე მოვიყვან აქ მაგალითს პარტიის ზოგიერთ წევრების პოლიტიკურ უვიცობისას. ერთ ამხანაგს შეეკითხნენ: „ვინ არის ეხლა ინგლისის მთავრობის სათავეში?" მან ამ კითხვას ვერ უპასუხა. მეორეს ეკითხებიან: „ვინ არის მუსოლინი?" ის უპასუხებს: „მუსოლინი არის კომუნიზმის ბელადიო". შემდეგ ასეთი კითხვა: „ვისთან იბრძვიან მაროკოში?" პასუხი ასეთია: „ჩინეთი ებრძვის იაპონიას და ბელგიას"-ო.

საჭიროა ყველა ამ ნაკლოვანებათა ანგარიშის გაწევა და მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლა.

დასკვნა

საკონტროლო კომისიის მუშაობის გაცხოველებისათვის მომავალში საჭირო იქნება ამ ორგანოების მუდმივ მუშაკთა კადრის გადიდება იმ პირობით, რომ მომუშავე ამხანაგები განთავისუფლებული იქნებიან სხვა საქმისაგან. საჭირო იქნება კიდევ უფრო განმტკიცება კავშირის ფართე პარტიულ მასებთან, საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ ფართე ინფორმაციის სახით. დამახასიათებელი საქმეები უნდა გამოტანილ იქნას პარტიულ მასების სამსჯავროს წინაშე, რომ ამით ისინი დავაახლოვოთ ჩვენს მუშაობასთან.

ამხ. ა. ნაზარეტიანის მოხსენების და ამხ. ვ. სტურუას თანამოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: იოსელევიჩმა, ვარლამოვმა, რაჯაბოვმა, შამშე ლეჟავამ, მელიქიანმა და ვაცეკმა.

დასასრულ, ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მუშაობა მოწონებულ იქნას და მისი მუშაობის ხაზი ჩაითვალოს სწორედ.

ამით დასრულდა ყრილობის მეოთხე სხდომა.

პარტიის მუშაობა სოფლად

(ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება)

ამხანაგებო, მე განზრახვა მქონდა შევხებოდი ჩემს მოხსენებაში სოფლად მუშაობის კონკრეტიულ საკითხებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენ მოისმინეთ ამხ. სერგო ორჯონიკიძის ამომწურავი მოხსენება და მის გარშემო გამართული კამათი, მე ნებას მივცემ ჩემ თავს შევჩერდე ზოგიერთ საერთო საკითხებზე, რომლებიც წამოყენებულია ჩვენი სინამდვილის მიერ.

პროლეტარულ რევოლიუციის საკითხებში, მუშათა კლასის დამოკიდებულებაში გლეხობისადმი, ჩვენ არ გვაქვს პრაქტიკული და იდეოლოგიური ტრადიციები, რადგან მარქსი და ენგელსი ამ საკითხს გაკვრით ეხებოდენ და, სხვათა შორის, იძლეოდენ გენიალურ აზრს. ჩვენ გვაქვს — გლეხთა საკითხის შეფასება ენგელსის მიერ. ის ეხება ამ კითხს მომავალ პროლეტარულ რევოლიუციათა სისტემაში. ჩვენ გვაქვს მისი მითითება ამის შესახებ, რომელიც ამბობს, რომ უმეტეს შემთხვევაში ღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხობა მხარს დაუჭერს პროლეტარულ რევოლიუციას.

გვაქვს აგრეთვე გლეხთა ელემენტების შეფასება მარქსის მიერ მის „სამოქალაქო ომში". აქ ის ამბობს, რომ კომუნამ ვერ შესძლო კავშირი გაება გლეხობასთან, თორემ მისი ბედი რამდენადმე სხვანაირი იქნებოდა. ამას გარდა ამ საკითხზე მარქს-ენგელსის ნაწარმოებში ჩვენ ვერაფერს ვპოვებთ. ჩვენ ვიცით, რომ შემდეგ მარქსიზმის, ე. ი. კომენტატორებმა მეორე ინტერნაციონალიდან გლეხობა გამოაცხადა, როგორც რეაქციონური და ბურჟუაზიული კლასი.

ლენინიზმი და გლეხობა

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ამ ყალბი შეხედულების და პროლეტარიატის ახალთაობის შეგნების გამრყვნელ აზრების საწინააღმდეგო საშუალება — ეს საშუალებაა — ლენინიზმი. ტყუილად არ ამბობენ, რომ ლენინიზმმა და ბოლშევიზმმა აღმოაჩინა გლეხობა, როგორც კლასი, რომლის ერთ განსაზღვრულ ნაწილსაც აქტიურად შეუძლიან დადგეს პროლეტარულ რევოლიუციის მხარეზე. ჩვენი მიზანია სოფელში პროლეტარული პოლიტიკა გავატაროთ. როგორ უნდა მოხდეს ეს? ჩვენ უნდა გვქონდეს გარკვეული და ნათელი წარმოდგენა იმ პირობებზე, რომელშიაც გვიხდება მუშაობა. ჩვენ ვცხოვრობთ უაღრესად გლეხურ ქვეყანაში, სადაც მთელი ტერიტორიის ნახევარზე უფრო ნაკლები მიწა უვარგისია კულტურულ დამუშავებისათვის, დანარჩენი ნაწილი კი უჭირავს მთაგორებს და ალპის ზონის სამაღლოს მწვერვალებს. ამიერ-კავკასიაში ჩვენ გვყავს 5 ნახევარი მილიონი მოსახლეობა და აქედან 80 პროც. სცხოვრობს სოფლად. თქვენ უკვე მოისმინეთ აქ, რომ ჩვენ გვყავს სულ — 60.000 ინდუსტრიალური პროლეტარიატი. და აი, პროლეტარულმა პარტიამ, ამ 60.000 მუშების ავანგარდმა, უნდა მართოს ქვეყანა და წაიყვანოს გლეხთა ეს ვებერთელა ზღვა არა ბურჟუაზიულ, არამედ სოციალისტურ აღმშენებლობის გზით.

ამხანაგებო, ჩვენი საერთო ამოცანები სოფლად უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებულია. ეს არის პირველყოვლისა სოფლად საწარმოო ძალების განვითარება, მეორე — რევოლიუციონური კავშირის განმტკიცება პროლეტარიატსა და გლეხობას შორის და [illegible]-კულტურულ რევოლიუციის მოხდენა ჩამორჩენილ გლეხთა მასებს შორის. ეს გზები უმთავრესად მიმართულია გლეხთა ეკონომიურ ინტერესების სასარგებლოდ, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ — მის პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესების საკეთილდღეოთ.

ჩვენ უნდა დავაყენოთ კითხვა, ვრჩებით თუ არა ჩვენ როგორც მომხმარებელი მეურნეობის ქვეყანა, თუ ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები გადავაქციოთ მწარმოებელ მეურნეობის ქვეყნად, რომელიც მოგვცემს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქტებს.

ცხადია, ჩვენ იმ მდგომარეობაზე ვერ გავჩერდებით, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, და, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავდგათ შესაფერისი ნაბიჯები სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარებისათვის.

მთავარი მიზანი

ჩვენს მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს მორწყვის და სხვა საშუალებებით იმ თავისუფალ მიწების გამოყენება, რომელნიც დღეს უქმად არიან. მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევსძლებთ ამ მიწების უწყლობისგან დაცვას, მზისგან ღაფარვას, ქიობებისაგან გაშრობას და სხვას, ჩვენ საშუალება მოგვეცემა განვავითაროთ პურეულის კულტურა.

ჩვენი მხარე კულტურულ მცენარეულობის მხარეა, ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ განვავითაროთ, ბამბის, ჩაის, თამბაქოს, ყურძნის მოყვანა და ვაწარმოოთ მესაქონლეობა მრეწველობის [illegible], აი, ჩვენი სოფლის მეურნეობის მთავარი დარგები, რომლებიც უნდა გადაიქცენ დამახასიათებლად ამიერ-კავკ. სოფლის მეურნეობის საერთო ბალანსისათვის.

მიწის ნაციონალიზაცია

უნდა აღინიშნოს, ამხანაგებო, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას ზოგჯერ აფერხებს მიწის საკითხის მოუწესრიგებლობა. ერთი მხრივ ჩვენ არა გვაქვს გარკვეული წარმოდგენა, თუ რა არის მიწის ნაციონალიზაცია, მეორეს მხრივ, ჩვენ გვაკლია ის სიჩქარე, რომელიც საჭიროა მიწათმოწყობის ჩასატარებლად. ერთმა ამხანაგმა ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის თათბირზე განაცხადა, რომ ქალაქში ჩვენ ბოლომდე შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სოფელშიაც ასე უნდა მოვიქცეთ, და, მაშასადამე უნდა დავუშვათ მიწის ყიდვა-გაყიდვაო. ეს, ამხანაგებო, ერთი უკიდურესობაა, მაგრამ უკიდურესობამდე იყო კიდევ ასეთი შეხედულებები: ზოგიერთი ამხანაგები ამბობდნენ: „ის, რაც ძევს ან იზრდება მიწაზე — შენობები, ვენახები, ბაღები, ყველაფერი ეს შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგნათო.

თავისთავად ცხადია, ჩვენ ამ ამხანაგების პოზიცია დავახასიათეთ როგორც მენშევიკური. და მართლაც, მიწის ნაციონალიზაცია ბოლშევიკურ პარტიის თავისებურობას წარმოადგენს. ჩვენ ის წამოვაყენეთ ჯერ კიდევ დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რევოლიუციის დროს. და ამ რევოლიუციის უდიდეს გამარჯვებათ მივაჩნდა. მაგრამ, ამხანაგებო, უკვე პროლეტარული დიქტატურის გამარჯვების შემდეგ, 1917 წლის მაისის კონფერენციაზე ლენინის მიერ გაკეთებულ მოხსენებიდან ჩვენ ვიცით, რომ მიწის ნაციონალიზაცია საგრძნობი ლახვარია კერძო საკუთრებისათვის, ე. ი. ის წარმოადგენს სოციალიზმის ნაწილობრივად განხორციელებას. ყოველ შემთხვევაში, ეს მიღწევა ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების საფუძველია, რომელთანაც ჩვენ არ მივუშვებთ არავითარ „ნეპ"-ს და არავითარ „ნეპმანებს".

მენშევიკებმა, როგორც ვიცით, გამოსცეს მიწის კანონები და ამასთანავე, ნორმის ფარგლებში, დაუშვეს მიწის ყიდვა - გაყიდვა, და ამ რიგად ის გადააქციეს აღებმიცემობის საგნად. ამიტომ იყო, რომ ჩვენ იმ ამხანაგების პოზიციას რომელნიც დასაშვებათ სცნობდნენ ბაღ-ვენახებით ვაჭრობას და ზოგიერთ შემთხვევაში მიწის ყიდვა-გაყიდვასაც კი, მენშევიკური პოზიცია უწოდეთ.

მიწათმოწყობის საქმე

ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია, რომ მიწის მოწყობას ჩქარა მოვახერხებთ. ჩვენ ჩავატარეთ მიწის რეფორმა რევოლიუციონური წესით; მაგრამ ეს იყო უფრო პოლიტიკური, რევოლიუციონური ზომა და არა ისეთი საშუალება, რომლის მეოხებითაც შეიძლებოდა გლეხის საბოლოო დაფუძნება მიწაზე. ეს ამოცანა მრავალ წლების ამოცანაა.

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი ფიქრობს, რომ ის დამთავრებული იქნება ხუთი წლის განმავლობაში. უამისოდ, ე. ი. მიწათმოწყობის გარეშე, სანამ გლეხისათვის არ ჩაგვიბარებია გარკვეული მანდატი ამა თუ იმ მიწის ნაკვეთზე, ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ სოფლის მეურნეობის ისეთი სიჩქარით წინ წაწევაზე, რომელიც მიზნათ გვაქვს ეხლა დასახული.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია

ჩვენ, ამხანაგებო, არ შეგვიძლია საკითხის ასე როყიოთ წამოყენება. „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია" უნდა გამორკვეული იქნას პირობები სად და როგორ უნდა იქნას ის შემოღებული. სოფლის უმუშევრობის პირობებში მეურნეობის მექანიზაცია ზოგჯერ საზარალოა და გამოუსადეგარი. იქ, სადაც გლეხის ოჯახში ბევრი მუშახელია, ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ მექანიზაციაზე. ტრაქტორი ხვალინდელ დღის სიმბოლოა ჩვენი სოფლის მრეწველობაში. იქ, სადაც პირობები ამის მოთხოვნილებას ჰბადებს, საჭიროა შემოღებული იქნას ტრაქტორები. ამიერ-კავკასიაში მათი რიცხვი ჯერ-ჯერობით განსაზღვრულია. საზღვარ გარეთ დაკვეთილ ტრაქტორებთან ერთად ჩვენ სულ მოგვეპოვება 252 ტრაქტორები. ეს მხოლოდ წვეთია, რომელიც შემდეგ უნდა გადაიქცეს დამაკმაყოფილებელ რაოდენობათ.

მაგრამ, ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ ამ ახალ დაწყებულების შემოღება - განმტკიცებაში ხელს გვიშლის ჩვენ არა მარტო ფინანსიური ხელმოკლეობა და პოლიტიკურ სამეურნეო მოსაზრებანი, არამედ მოსახლეობის კონსერვატიზმი და კულტურული ჩამორჩენილობა. მე მოვიყვან აქ ერთ სპეციალისტის მაგალითს, რომელსაც კეთილი გულით სურს დაგვეხმაროს ჩვენ და, რომელიც უცნაურ აზრებს გამოსთქვამს ტრაქტორის შემოღების შესახებ. ის ამტკიცებს, რომ მამა-პაპური გუთანი, პრაქტიკულად უფრო გამოსადეგია ჩვენს მეურნეობაში, ვიდრე ტრაქტორიო. ფორდზონი, ამბობს ეს სპეციალისტი, შეიძლება შემოღებული იქნას ჩვენთვის, როგორც დროებითი საშუალება, რადგან ამ ხანათ სოფელი ღარიბია მუშა-საქონლით. ეს აზრები მე მაგონებს ნიჭიერ ქართველ მგოსანის, მემამულე-კონსერვატორის ილია ჭავჭავაძის სიტყვებს, რომელიც მან წარმოსთქვა 30-წლის წინად — სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაზე. მან სთქვა „გუთანი, ქართველებო, გუთანი და ხმალი იყოს თქვენი მცველიო".

მე ვფიქრობ, რომ ტრაქტორიზაციის საქმე ჩვენთან ცუდათ იქნება თუ ჩვენ არ მოვახდინეთ პირველ ყოვლისა გარდატეხა მათ გონებაში, ვინც ასე უარყოფითად არის განწყობილი ამ ახალ დაწყებულებისადმი.

ვინ არის „კულაკი"

ცნება „კულაკი", შეძლებული, საშუალო და ღარიბი გლეხი არის ეკონომიური ხასიათის ცნება. ის ერთ და იმავე დროს ატარებს პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობის ხასიათს. ჩვენ ამ მხრივ გვაქვს ჩამოყალიბებული დახასიათება მარქსიზმისა და განსაკუთრებით ლენინიზმისაგან. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევთანხმდეთ როგორ გვესმის სიტყვა შეძლებული, საშუალო და ღარიბი გლეხი. შეძლებული მარქსიზმის და ლენინიზმის დახასიათების თანახმად, არის გლეხის ის მეურნეობა, რომელშიაც მუშახელი ვერ აუდის არსებულ საწარმოო იარაღებს, ე. ი. ამ ოჯახის წევრთა რიცხვი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აამოძრავონ ყველა ის საშუალებანი, რომელიც მათ განკარგულებაში მოიპოვება, იქნება ეს მიწა, თუ სხვა რამე, სულ ერთია. მაშასადამე ეს ოჯახი იძულებულია დაიქირაოს მუშა ხელი.

საშუალო მეურნეობათ უნდა ჩაითვალოს ისეთი მეურნეობა, სადაც მუშა-ხელის რაოდენობა სწორედ შეესაბამება საწარმოო იარაღებს, სადაც საკუთარი ოჯახის წევრებით გლეხს შეძლება აქვს დაამუშაოს მიწის ან ვენახის თავისი ნაჭერი.

რაც შეეხება შეუძლო, ღარიბ გლეხის ოჯახს, ეს ისეთი ოჯახია, სადაც მუშა-ხელი ზედმეტი მოიპოვება და ისინი ვერ ჰპოულობენ გასავალს თავისივე ოჯახის ფარგლებში. მაშასადამე, წარმოების იარაღები, ინვენტარი ან სხვა რამე ამ ოჯახში უფრო ნაკლებია, ვიდრე ცოცხალი მუშა-ძალა.

არავითარი სხვა ნიშანი არ არსებობს გლეხების ამ ჯგუფების დასახასიათებლად — არც სიმდიდრე, არც ფულისა და ოქროს მომარაგება, თუ ეს ოჯახები არ აწარმოებენ სხვის ექსპლოატაციას.

კოოპერაცია

ჩვენ დღემდი კიდევ ვერ შევიგნეთ, ამხანაგებო, ის დიდი როლი, რომელიც შეუძლიან ითამაშოს კოოპერაციას. გლეხის სოციალისტურად გადაქცევისათვის, სოფლის მეურნეობის საბჭოთა აღმშენებლობის გზით წარსამართავად არსებობს მხოლოდ კოოპერაცია. ეს შეგნება ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. ჩვენ ვიცით, რომ გვაქვს [illegible] კოოპერაცია, ჩვენ ვიცით მისი ტკივილების და იარების შესახებ, რომელშიაც ბევრ შემთხვევაში დამნაშავე ვართ თვით ჩვენ, როგორც პარტია, როგორც სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ ამავე დროს ვივიწყებთ იმ დიდ როლს, იმ აუცილებელ მნიშვნელობას, რომელიც კოოპერაციას აქვს გლეხობის სოციალიზმის სამეფოში შეყვანისათვის.

მე სიტყვას არ გავაგრძელებ იმ დეფექტების შესახებ, რომელიც აქვს კოოპერაციას. აქ საკმაოდ ბევრი ილაპარაკეს მასზე, და თითქოს ყველა ჩვენთაგანმა უკვე შეიგნო, როგორ უნდა იქნეს გაჯანსაღებული კოოპერატივი. დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. აქ ჩვენ დავიწყეთ არაფრისგან და უკვე მნიშვნელოვანი მიღწევები მოვიპოვეთ.

დღემდე ჩვენ ვივიწყებდით კოოპერაციის კიდევ ერთ სახეს. ესაა შინამრეწველთა გაერთიანება. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის უმუშევრობაზე, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უმუშევრობას შეამსუბუქებს მხოლოდ მრეწველობის განვითარება. მაგრამ რა ვქნათ ჩვენ დღეს, როდესაც საქმე გვაქვს შრომის მაძებარ ცოცხალ ადამიანებთან. ბევრს მათგანს შეეძლოთ თავისი ძალების დაბანდება შინამრეწველობაში.

აზერბეიჯანში ომამდე ნოხების წარმოებაში მუშაობდა 2.000 ქალამდე. ამ მხრივ შესაძლებელი არის ჩვენი ქალთა განყოფილებების მუშაობის შემსუბუქება.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სოფლად კოლექტიურ მეურნეობების დაარსებას და კრედიტის საქმის გაფართოებას. ამისათვის ჩვენ გვაქვს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელსაც თავის არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში უკვე აქვს ერთგვარი დამსახურება.

საბჭოთა დემოკრატია

გადავდივარ გლეხების პოლიტიკურ ინტერესებზე. რომ ჩვენ დღემდე არ გვქონდა ფართე დემოკრატია, ეს ყველა ჩვენთაგანმა ვიცით, და იცის თვით გლეხობამაც. ვიძლევით თუ არა ჩვენ დღეს დემოკრატიას? რა თქმა უნდა, კი. მაგრამ არა ყოველივე პირობების გარეშე და არა უეჭველად.

საბჭოთა ხელისუფლების დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ხელისუფლების მუდმივ და მნიშვნელოვან ფუძეს წარმოადგენს მშრომელი მოსახლეობა, მუშების, ნახევრად პროლეტარების (გლეხების, რომლებიც არ ეწევიან სხვის ექსპლოატაციას და რომელთაც, მუდამ უხდებათ დაქირავებით მუშაობა), მასიური გაერთიანება. ასე, ესმოდა დაახლოვებით ამხ. ლენინს საბჭოთა დემოკრატია ჯერ კიდევ 1919 წელში.

ვღებულობთ თუ არა ჩვენ, მაშასადამე, დემოკრატიას? რა თქმა უნდა, ვღებულობთ მხოლოდ, ერთი აუცილებელი შესწორებით, რომ ჩვენ მხედველობაში გვყავს გლეხთა მშრომელი მასები და მხოლოდ ისინი მიგვაჩნია საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრებად. ჩვენ ვიცით, რომ სოფლად კიდევ არიან კონტრ-რევოლიუციონურად განწყობილი ელემენტები, რომელთაც შეუძლიანთ გახდენ ჩვენი მტრების დასაყრდენ ძალათ. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვიქნებოდით არა თუ სულელები, არამედ დანაშაულის ჩამდენნი პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე, თუ ვიტყოდით, რომ ამიერიდან შემოღებულია განუსაზღვრელი დემოკრატია. ჩვენ ვამბობთ: დემოკრატია მშრომელთათვის, მათი მუდმივი და აუცილებელი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მაგრამ იმათ, ვინც მოინდომებს საბჭოთა კონსტიტუციის კანონების სხვა მიმართულებით მიბრუნებას, ჩვენ მოუძებნით ძველ ნაცნობ ადგილს — ციხეს.

მეორე მხრივ, ჩვენ არ უნდა გადავაჭარბოთ საშიშროების გაზვიადებაში და მტკიცედ, ურყევად უნდა წავიდეთ წინ საბჭოთა დემოკრატიის ასპარეზზე. გაფართოებული საბჭოთა დემოკრატია აუცილებელია, მაგრამ ამასთანავე საჭიროა პარტიულ ორგანიზაციებმა არ გაუშვან ხელიდან შესაფერისი ხელმძღვანელობა.

რევოლიუციონური კანონიერება

ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჯერ ვერ შევიგნეთ საკუთარი კანონმდებლობის ჩვენზე გავრცელების აუცილებლობა. ზოგიერთები ზერელედ ეკიდებიან საბჭოთა კანონიერებას. ისინი ასე მსჯელობენ: ჩვენ ვართ პროლეტარული რევოლიუციის მატარებელნი, ამიტომ ვრჩებით კანონების გავლენის გარეშე. კანონები კი იწერება უპარტიოებისათვის. ასეთი „ცოდვები" ადგილებზე მრავალია. კომუნისტის მთავარი მოვალეობაა გახდეს მაგალითი კანონიერების ასრულების და მორჩილების საქმეში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოფლად ვერ არიან ჩამოყალიბებული და ხშირად გლეხებს არა აქვთ წარმოდგენა რა მიზანს ისახავს ესა თუ ის ორგანიზაცია. გარდა ამისა, „რემედასში", „ავიაქიმში" და სხვაგან გლეხების ჩაწერა ხდება ზოგჯერ არანებაყოფლობით. არც გლეხკომები ამართლებენ ჯერ-ჯერობით სავსებით თავიანთ დანიშნულებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ისინი ერევიან სხვის ფუნქციებში. ამ ორგანიზაციების გამოსაცხოველებლად და მათში თვითმოქმედების გასაძლიერებლად საჭიროა შემოღებულ იქნას ხშირი საანგარიშო მოხსენებების გაკეთება, სარევიზიო მუშაობის გაძლიერება და სოფლის ინტელიგენციის ამ საქმეში ჩაბმა.

სახალხო განათლების საქმე

ჩვენი სასკოლო პოლიტიკა არ ესაბამება ქვეყნის ეკონომიურ საჭიროებას. ჩვენ მრავალი სკოლები გვაქვს. სახალხო განათლების საქმე მნიშვნელოვნად წინ წავსწიეთ, მით აღფრთოვანებაში მოდიან უცხოეთის მასწავლებლებიც კი, რომლებიც ჩვენთან ჩამოდიან, მაგრამ ჩვენ ვერ დავიტრაბახებთ, რომ შევსძელით სასკოლო პოლიტიკა შევუთანხმებია ჩვენს ეკონომიურ მოთხოვნილებასთან. დასავლეთ საქართველოში ზოგიერთ სოფლებშიაც კი გავხსენით ჩვენ 9 წლედები და 7-წლედები. წარსულ სამოსწავლო წელს ოზურგეთის მაზრაში 9-წლედ და 7-წლედ დამთავრებულთა რიცხვი 1.500 კაცს უდრის. მათი საქმეზე გამოყენება შეუძლებელია, რადგან აკლიათ შესაფერისი კვალიფიკაცია, ამ ახალგაზრდების მშობლებში ამას შეუძლიან ერთგვარი უკმაყოფილების გამოწვევა და თვით უმუშევარ ახალგაზრდათა შორისაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის არა ლოიალურ განწყობი-

ლების შექმნა. ჩვენ უსათუოდ უნდა მოვახდინოთ ჩვენი სასწავლებლების გადახრა პროფესიონალურ-ტეხნიკურ ზრდით.

მე უნდა შევჩერდე კიდევ რამოდენიმე სიტყვით გლეხკორთა მოძრაობაზე. ეს ახალი საზოგადოებრივი მოძრაობაა სოფლად, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას შეუძლია მჭიდრო და უშუალო ცოცხალი კავშირი დაიჭიროს ხელისუფლებასთან. როგორც ყოველივე ახალ საქმეს ამ მოძრაობასაც თავისი ტკივილები აქვს, მაგრამ საერთოდ გლეხკორთა მოძრაობა დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელსაც უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში

სოფლის კომუჯრედები

ჩვენ ძირითად ამოცანას შეადგენს, რომ უჯრედებმა სოფლად მიიღონ თავიანთი გარკვეული სახე. მაგრამ, სამწუხაროდ ბევრმა სოფლის კომუნისტებმა არ იციან ჩვენი ახალი კურსი და ბევრს მათგანს არც კი წაუკითხავს პარტიის წესდება და პროგრამა. ჩვენ უნდა უთხრათ ასეთ კომუნისტს, რომ პარტიული ბილეთი საშეღავათო კონტრამარკა არ არის, რომლითაც შეიძლება თეატრში უფასოთ სიარული. პარტიული ბილეთი იძლევა არა მარტო უფლებებს, არამედ გვაკისრებს ჩვენ უდიდეს მოვალეობას. ამისათვის საჭირო შევიძინოთ ჩვენ პოლიტცოდნის მინიმუმი და, პირველ ყოვლისა. პარტიის პროგრამა და წესდება, უნდა ითქვას, რომ სოფლის უჯრედების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამაზრო პარტკომების ხელმძღვანელობას. სოფლის უჯრედებს არა აქვთ მუშაობის გეგმა და მათ არ იციან ხშირად საიდან რა დაიწყონ. ამას უნდა აკეთებდენ სამაზრო პარტიული კომიტეტები. სამწუხაროდ, ეს ბევრს შემთხვევაში ასე არ არის.

მომავალი არჩევნების მნიშვნელობა

გარდა ამისა, კომუნისტური უჯრედი სოფლად დიდი სიფრთხილით უნდა ელოდეს მომავალ არჩევნებს. მე ვფიქრობ, რომ პარტიულ უჯრედების და ცალკე კომუნისტურ ორგანიზაციათა შესამოწმებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს მოახლოებულ საბჭოთა არჩევნებს. თუ ამ არჩევნებში უჯრედი ან ცალკე კომუნისტი ჩაიჭრა, ეს იქნება იმის დამამტკიცებელი, რომ ასეთი კომუნისტი ან ორგანიზაცია საჭიროებს გაწმენდას, თუ პარტიიდან გარიცხვას არა.

კომკავშირის მუშაობა

კომკავშირი შეეჩვია ამ ბოლო ხანს მოწოდებების მიღებას დისციპლინისა და მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. რა თქმა უნდა, ეს არ არის მომაბეზრებელი ჭკუის სწავლება სკოლის დამრიგებლისაგან, არამედ ეს არის დარიგება პარტიის, რომელიც ამზადებს თავის შემცვლელ თაობას. მაგრამ ჩვენ მოთხოვნილებებს კი ვუყენებთ მათ და არ ვკითხულობთ, რამდენად ვანხორციელებთ ხელმძღვანელობას კომკავშირზე. აქ ჩვენ უსათუოდ ნაკლი გვაქვს. აქედან არის გამოწვეული, რომ სოფლის კომკავშირის ზოგიერი უჯრედები სცდებიან თავის დანიშნულების სწორ გზიდან, აჭარბებენ სარწმუნოების დევნაში, ადმინისტრატიულ ფუნქციებს ითვისებენ და ამგვარად გლეხობას ევლინებიან, როგორც მეორე უფრო დაუნდობელი, უფრო შეუპოვარი ხელისუფლება. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ გლეხობა აფასებს კომკავშირს. კომისიების სოფლად მოგზაურობის დროს გლეხობა თვით სჩიოდა, რომ კომკავშირს არა აქვს სათანადო მომზადება, რომ საჭიროა მათი დახმარება და ხელის შეწყობაო. ასეთი მაგალითები არა ერთი იყო. და არ შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს ის აზრი, თითქოს ხიდი კომკავშირსა და გლეხობას შორის ჩატეხილი იყოს.

თავის მხრივ, კომკავშირი ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას პიონერთა მოძრაობას. ეს მოძრაობა თანდათან გადაგვარდა მშრალ ფორმალიზმში, დოლის ცემაში, ქუჩებში მწკრივებათ სიარულში და სხვა ასეთებში. ბოლოსდაბოლოს ეს მომაბეზრებელი შეიქნა ქალაქებში და მით უფრო სოფელში. აქედან დასკვნა ასეთია, რომ კომკავშირმა პიონერების ხელმძღვანელობა უნდა გაუნაწილოს პარტიას და პროფკავშირებს.

ქალთა შორის მუშაობა

გადავდივარ ეხლა ქალთა შორის მუშაობაზე. უნდა გამოვტყდეთ, რომ ქალთა განყოფილებები ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტების სისტემაში არსებობენ, როგორც განკერძოვებული, უცხო განყოფილებები. ერთ დროს იყო ლიკვიდატორული მიმდინარეობა. ფიქრობდენ, რომ საჭირო იყო ქალთა განყოფილებების გაუქმება. დღეს ასეთი შეხედულება დაძლეულია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გაურბივართ ამ მუშაობას. ყველა ჩვენთაგანი ხდება დაახლოვებით სხვადასხვა სპეციალისტებათ, ზოგი საგლეხო საკითხებში, ზოგი პროფესიონალური ხაზით, მაგრამ არ არის არც ერთი მამაკაცი, რომელიც აწარმოებდეს ქალთა შორის მუშაობას. ჩვენ ქალი გამოვიყვანეთ პოლიტიკურ ასპარეზზე, მივეცით მას აქტიური და პასიური არჩევნების უფლებები, მაგრამ არ ვსცდილობთ, რომ ხელი შეუწყოთ სამუშაოთ წამოყენებულ ქალებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, რათა ისინი არ ჩაიჭრან დაკისრებულ მოვალეობის შესრულების დროს. ასეთი შემთხვევები კი არის, რადგან ქალი სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო არ არის მომზადებული საზოგადოებრივი და სახელმწიფო მუშაობისათვის.

არის შემთხვევები, როდესაც მუშაობაში არ ჩადგებიან მამაკაცებიც კი, მაგრამ ჩვენ ამას იმდენ ყურადღებას არ ვაქცევთ. ხოლო, თუ მოუვიდა მარცხი რომელიმე ქალ მუშაკს, აქედან ჩვენ ისეთი დასკვნა გამოგვყავს, თითქოს ქალები მუშაობისათვის არ ვარგანან. საჭიროა ქალთა ორგანიზაციებს მეტი მატერიალური შესაძლებლობა მივსცეთ და ამასთან ერთად ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ მათ განვითარება-განმტკიცებას.

პროფკავშირები სოფლად

ჩვენ გვყავს სოფლად 70.000 პროფკავშირის წევრი. ჩვენ არ შეგვიძლიან ანგარიში არ გაუწიოთ საშუალო შეძლების გლეხის მეურნეობის განვითარებას. როდესაც სდგას საკითხი პროფკავშირის სოფლად მუშაობის შესახებ, ეს მომენტი მხედველობიდან არ უნდა გვეპარებოდეს. აქ არ შეგვიძლიან ჩვენ გავაძლიეროთ კლასიური ბრძოლის მეთოდები მოჯამაგირეებსა და დამქირავებლებს შორის. ეს დასაშვებია ქალაქში, მაგრამ მიუღებელია სოფლად. ასეთ გადახრას კი ადგილი აქვს პროფკავშირების მუშაობაში.

შეგვიძლიან თუ არა ჩვენ მოვსთხოვოთ საშუალო შეძლების გლეხს, რომ მან მოჯამაგირე უზრუნველჰყოს სპეცტანისამოსით: ქოლგით, ხელთათმანებით, საწვიმრებით და ჩექმებით. ქალაქში ეს სრულიად დასაშვებია, მაგრამ, რომ ეს მოთხოვნილება მექანიკურად გადავიტანოთ სოფელში, გლეხი უარს იტყვის მოჯამაგირის დაქირავებაზე და ეს უთუოდ გავლენას ახდენს მეურნეობის აღორძინებაზე. ამიტომ ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ გლეხის მეურნეობის თავისებურებას და არ მივიდეთ მასთან ქალაქის მასშტაბით. ამ საკითხის შესახებ უკვე არსებობს საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტი, და ის მტკიცედ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში (მხურვალე აპლოდისმენტები).

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ორატორებმა: **ამხ. ბუნიათ-ზადემ, მარია ორახელაშვილმა და იბრაჰიმ ტაგიევმა.**

ამის შემდეგ მეხუთე სხდომა დაიხურა და კამათი შემდეგი დღისათვის გადაიდო.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

7 დეკემბერს შესდგა ს. კ. პ. (ბ) ახლად არჩეულ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი, რომელმაც აირჩია.

პრეზიდიუმში

1) ა. დოლიძე, 2) წულუკიძე პ., 3) კვარაცხელია მ., 4) იტრიევი მ., 5) გობეჯიშვილი, 6) კირვალიძე, 7) რონზანი, 8) ჯორბენაძე, 9) ლეჟავა, 10) გელაშვილი, 11) ტერ-ვართანოვი.

კანდიდატებად: კიკნაძე ნ. (რედაქტორი) და მორჩილაძე ლ.

პარტკოლეგიაში

1) წულუკიძე პ. 2) კირვალიძე, 3) ტერ-ვართანოვი, 4) ჯორბენაძე, 5) გელაშვილი, 6) რონზანი და 7) მორჩილაძე ლ.

პარტკოლეგიის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ პარმენ წულუკიძე.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეთ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრათ არჩეულია ამხ. ა. დოლიძე.

საქონლის ჭირი სოფლებში

გორის მაზრა

ნოემბრის უკანასკნელ კვირაში საქონლის ჭირი გაჩნდა შემდეგ სოფლებში. ქვემო ჭალაში,—რგვალ ჭალაში და ახალ სოფელში. მიღებულია ზომები ჭირის გავრცელების შესაჩერებლად.

ჯავათხეთი

ახალციხის მაზრის სოფელ წყალწითელაში და აგრეთვე აბასთუმანის მახლობლად მდებარე სოფლებში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც თანდათან ვრცელდება. აცრა საქონლისა არ სწარმოებს, არც სხვა ზომებია მიღებული, რადგან ვეტერინარული ექიმი და ფერშალი, რომელნიც მიმდინარე წლის ზაფხულში მუშაობდენ აბასთუმანის სასაკლაოზე, უკვე წავიდენ.

სენაკის მაზრა

მთელს სენაკის მაზრაში ამ ჟამად ჭირის საწინააღმდეგოთ მუშაობს ერთი ვეტერინარი ექიმი და ერთი ფერშალი. ვეტერ. პერსონალის ასეთი სიმცირე ძალიან აბრკოლებს ბრძოლის წარმოებას საქონლის ჭირთან, რადგან არსებული პერსონალი ძლივს ასწრობს აბაშის და ახალსენაკის რაიონების მოვლას. სალხინოს, მარტვილის, ბანძის და ნაქალაქევის უბნები კი უპატრონოდ და უმეთვალყურეოთ არიან მიტოვებულნი.

ქვემო-იმერეთი

ქუთაისის მაზრის საქონლის ჭირით დაავადებას ჯერ ადგილი არ ჰქონია. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით თემების ყველა აღმასკომები მოვალენი არიან ცნობები მიაწოდონ მაზრის სავეტერინარო განყოფილებას ყოველ კვირაში ჭირის გაჩენის შესახებ. მთელს მაზრაში მუშაობს მხოლოდ 3 ვეტერ. ექიმი, 5 ფერშალი. მაზრა შეიცავს 47 თემს, 236 ათასს მოსახლეობას.

აჭარისტანიდან და ახალციხის მაზრიდან ჭირის შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოწყობილი იქნა სპეციალური კომისია, რომელმაც კარანტინები მოაწყო ზეკარის უღელტეხილზე და იმ ადგილებში, სადაც მოსახერხებელია საქონლის შემოდენა—ქუთაისის მაზრის ფარგლებში. შემოყვანილი საქონლის დასათვალიერებლად საკარანტინო სადგური დაწესებულია აგრეთვე სად. რიონში, სადაც ხდება საქონლის გასინჯვა მალარიბლით გაგზავნამდე.

დასავლეთიდან ჩამოყვანილ საქონლისათვის საკონტროლო პუნქტი მოწყობილია სოფელ ვანში.

აჭარისტანი

აჭარისტანის ყველა ჭირმოდებულ რაიონებში მოწყობილია ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისიები, რომლებმაც უკვე მიიღეს ღონისძიებები ჭირის გავრცელების ასაკვეთად.

ახალ რაიონების დაჭირიანებას უკვე არსად ადგილი აღარ ქონია ამ უკანასკნელ ხანებში.

საქ. მიწათ. მოქმედ. სახალხო კომისარიატმა გამოითხოვა ჭირის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის 60 ათასი მანეთი კრედიტი.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ განხილულ მასალებიდან სჩანს, რომ 1924 წლის ზაფხულისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო განყოფილებამ მოახერხა საქონლის ჭირის სრული ლიკვიდაცია. იმავე 1924 წლის შემოდგომაზე საქონლის ჭირი კვლავ შემოიჭრა მეზობელ რესპუბლიკებიდან (სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან) და შემდეგ გავრცელდა მოსაზღვრე მაზრებში.

განვლილმა ცივმა ზამთარმა და ყინვებმა ხელი შეუწყო სენის გავრცელებას, რადგან, საკვებ მასალის უქონლობის გამო, საქონელი ხშირათ გადაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეში. მათ შორის დაჭირიანებულ რაიონებიდანაც, რაც არღვევდა საკარანტინო ზომებს და ხელს უწყობდა ჭირის გავრცელებას.

1924 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 1925 წლის 1-ლ ავვისტომდე სულ იყო 131 დაჭირიანებული პუნქტი (თბილისის მაზრაში—59, თელავისაში—29, სიღნაღისაში—14, ბორჩალოში—23 და გორის მაზრაში—6), მიმდინარე წლის სექტემბერში დარჩენილი იყო 36 დაჭირიანებული პუნქტი.

ამ ჟამად საქონლის ჭირი მოდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრებში და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სულ 1-ლ ნოემბრისათვის დაჭირიანებული იყო უკვე 56 პუნქტი.

საქონლის ჭირის გავრცელებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ მაზრაღმასკომები მეტწილათ საჭირო ყურადღებით არ ეპყრობოდენ ჭირთან საბრძოლველ ღონისძიებათა გატარებას და ხშირათ ეწინააღმდეგებოდენ კიდეც საკარანტინო ზომების შემოღებას (თელავის მაზრა).

1924—25 წლის განმავლობაში ტაბახმელის საშრატე სადგურმა გაცილებით იმაზე მეტი შრატი დაამზადა (5.839 ლიტრი), ვიდრე დამზადდა ამავე სადგურზე დღიდან მისი დაარსებისა, ე. ი. 1919—1924 წლამდე (5.074 ლიტრი).

1924—25 წლის განმავლობაში აცრილია 60.000 სული საქონელი. ამავე დროს ასაცრელია კიდევ არა ნაკლებ 100.000 სულისა.

აუცილებლად საჭიროა საქონლის ჭირის სასწრაფო ლოკალიზაცია და სრული ლიკვიდაცია არსებულ პუნქტებში და აგრეთვე ყოველივე ზომების მიღება, რომ ეს სენი არ გადავიდეს დასავლეთ საქართველოშიაც, სადაც საქონელი უფრო ნაზი აგებულობისაა, თითქმის სრულიად ვერ უძლებს ამ ავადმყოფობას და ხშირათ პირცლებით იხოცება.

ამგვარად, ამ ჟამათ შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეს თუ არ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება, თუ არ იქნა მიღებული ფართო, სახელმწიფოებრივი მასშტაბის ღონისძიებანი და არ გამოინახა საგანგებო თანხები სენის ჩასაქრობათ, საქართველოს სოფლის მეურნეობას, საქონლის ჭირის გავრცელებით, აუნაზღაურებელი ზიანი მიადგება.

ყველა ზემოაღნიშნულის გამო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე საჭირო სასწრაფო ღონისძიებათა გასატარებლათ გადადებული იქნეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში, მისი შუამდგომლობის თანახმად 60,000 მან.

გეოფიზიკური ობსერვატორია

ახალი დიდძალოვანი რადიო-სადგურის აგება

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია აგებს დიდძალოვან რადიო-სადგურს, რომელიც ყოველდღიურათ მიიღებს ცნობებს მთელი ქვეყნის (ევროპის, აზიის, აფრიკის) ცენტრალური მეტეოროლოგიური სადგურებიდან.

სადგურის აგება დამთავრდება 1926 წლის პირველ თვეებში. სადგურის დამთავრების შემდეგ გეოფიზიკურ ობსერვატორიას საშუალება ექნება უშუალო კავშირი დაიჭიროს შემდეგ ადგილებთან: აღმოსავლეთით—ვლადივოსტოკთან, დასავლეთით—აზორის კუნძულებთან, სამხრეთით—ხარტუმთან და ჩრდილოეთით—გრენლანდიასა და შპიცბერგენთან.

ობსერვატორია, სადგურის მიერ მიწოდებული მასალების მიხედვით, გამოსცემს ყოველდღიურ ბიულეტენებს, სადაც მოთავსებული იქნება საქართველოს ამინდების ქარტა, მიმოხილვა და აგრეთვე წინასწარი ცნობები მომავალი ამინდების შესახებ.

ახალი სამეცნიერო მუშაობანი

მიმდინარე წლის ზაფხულში ობსერვატორიამ განაახლა ჰაერის (ატმოსფერის) მაღლამდებარე ფენების გამოკვლევა და მეცნიერული შესწავლა, რომელიც დროებით შეჩერებული იყო. რევოლიუციის დაწყებამდე ობსერვატორია ჰაერის ფენების შესწავლას აწარმოებდა საჰაერო ბურთების საშუალებით, რომელნიც ჰაერში აჰქონდათ პილოტებს. საჰაერო ბურთები აღჭურვილი იყვნენ ავტომატიური ხელსაწყოებით.

ჰაეროლოგიის (ჰაერის შესწავლა) სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით ობსერვატორიამ მოიწვია ფიზიკოსი ზ. ხუციშვილი, რომელიც ამ მოკლე ხანში იგზავნება ლენინგრადში, სადაც მან უნდა შეისწავლოს, თუ როგორ არის დაყენებული ჰაეროლოგიურ ობსერვატორიაში ჰაერის შესწავლის საქმე.

ხანგრძლივი შეჩერების შემდეგ მუშაობა განაახლა აგრეთვე ობსერვატორიის აქტინომეტრიულმა განყოფილებამ, რომლის დანიშნულებაც არის მზის სხივოსნური ენერგიის შესწავლა.

სამთო-მადნო გეოლოგიური გამოკვლევა აჭარისტანში

აჭარისტანის ბუნებრივი სიმდიდრენი დღემდე არ არის სათანადოთ შესწავლილი. აჭარისტანი კი, არსებული ცნობების თანახმად, მდიდარია სხვადასხვა მადნეულობით; განსაკუთრებით მრავლათ მოიპოვება იქ სპილენძი, ცინკი და ლატერნიტი. ამიტომ სპილენძის და ცინკის მადანის დეტალური გამოკვლევა წყალბოკელის, ვაიოს, ხანლიკის, ველიბურის, საკონდრიას, ვარაზას, ბლესინას და ვერხნალას რაიონებში საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ პირველი რიგის ამოცანათ არის აღიარებული.

ამას გარდა გამოკვლეული უნდა იქნეს ოხრას და ბარიტის ადგილმდებარეობა. ყველა ამ სამთომადნოგეოლოგიურ სამუშაოთა შესასრულებლად დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვა 40,795 მანეთის რაოდენობით.

სამეცნიერო-საცდელ დაწესებულებების მოწყობა კი და მუშაობის წარმოება ლატერიტების შესასწავლად აღიარებულია მეორე რიგის ამოცანათ. ეს მუშაობა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის აზრით დაწესებული უნდა იქნეს სამთომადნო-გეოლოგიურ გამოკვლევის დამთავრების შემდეგ, ე. ი. 1925—26 წლის ბოლოს.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

საგეგმო კომისიათა ყრილობა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამხ. სმირნოვის მოხსენება საგეგმო კომისიათა ყრილობის შესახებ.

აღნიშნულ ყრილობაზე განხილული იქნება: ცალკე საგეგმო კომისიების გეგმები და მათი მუშაობის შეთანხმების გეგმა, კონიუნქტურული მეთვალყურეობის დაყენება, ამ მუშაობის ნორმალიზაცია, საკითხი საგეგმო კომისიების საკონტროლო-სამეთვალყურეო აპარატისა და მისი მუშაობის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობასთან შეთანხმების შესახებ, დასაგეგმავ ობიექტების ნორმალიზაცია ვაჭრობის და კოოპერაციის ორგანოების ჩაბმით საგეგმო კომისიების სფეროში, მეთოდები სახელმწიფო გავლენისა სამეურნეო ოლქის პერიფერიაზე, რომელიც მოქცეულია სახელმწიფო მეურნეობის გარეშე ფარგლებში, აღრიცხვა სოფლის მოსახლეობის ფენებათ დანაწილებისა და კერძო სამეურნეო ორგანიზაციებისა მრეწველობის და ვაჭრობის სფეროში; კვალიფიციური მუშა ხელის შექმნა და იმავე მიზნით საზღვარგარეთელი რესურსების გამოყენების მეთოდები.

ხორცის დამზადება 1925—26 წელში

იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ვაჭრობამ რაც შეიძლება ფართოდ დაიპყროს ამიერ-კავკასიის ხორცის ბაზარი, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლათ სცნო სააქციონერო საზ-ბა „ზაკმიასტორგ“-ის არსებობა 250.000 მანეთის ძირითადი კაპიტალით.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილათ სცნო საქონლის დასამზადებელ პუნქტების გახსნა ამიერ-კავკასიის შემდეგ რაიონებში: ბორჯომში, სამტრედიაში, ხაშურში, ნავთლუღში, გურჯანში, შულავერში, აკსტაფაში, სად. შულანლოში, ლენინაკანში და შახტახტაში.

საქონლის დაზღვევა თბილისის ქალაქის სასაკლაოში გადაეცემა საერთო საფუძველზე სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს.

ამავე დროს საგეგმო კომისიამ აუცილებლათ სცნო სასაკლაოს განაკვეთების შემცირება.

ვენახების დაზღვევის უზრუნველყოფის ნორმები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დააკმაყოფილა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს შუამდგომლობა, რომ ვენახების დაზღვევის უზრუნველყოფის ნორმათ ამიერ-კავკასიაში დაწესებული იქნეს 40 მანეთი დესეტინაზე.

რკინის გზებზე

მუხრუჭების გამოცდა

4 დეკემბერს დამთავრდა კუნცე-კნორეს და კაზანცევის მუხრუჭების გამოცდა ჰორიზონტალურ ხაზზე სადგ. სანდარა—შულავერს შუა. 5 დეკემბერს მუხრუჭებიანი მატარებელი ავიდა სადგ. კალტახჩში, 7 დეკემბერს მატარებელი დაეშვა იქიდან კუნცე-კნორეს მუხრუჭებზე. შედეგები ჯერ ჯეროვნად დამაკმაყოფილებელია, დაწვრილებითი შედეგების გამოსარკვევათ სწარმოებს მასალების დამუშავება.

ნაციონალიზაცია აზერბეიჯანის ხაზზე.

ვინაიდან რკინისგზელთა უმეტესობამ საკმაოდ ვერ მოასწრო თურქული ენის შესწავლა ხოლო საჭირო რაოდენობის კვალიფიციური მუშა-ხელი თურქებიდან არ მოიპოება—ამისათვის საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში განკარგულება გასცა, რათა ნაციონალიზაციის გატარების ვადა აზერბეიჯანის და ნახიჩევანის რკ. გზის ხაზზე გაგრძელებულ იქნეს 1926 წლის 1 ოქტომბრამდე.

შეშის მიწოდებისათვის

თბილისის მოსახლეობისათვის შეშის რეგულიარულად მიწოდებისათვის, ა | კ. რკ. გზებმა განკარგულება გასცეს, რათა, გარდა იმ 45 რონოდისა, რომელიც ეხლა იტვირთება შეშით,—ყოველ დღიურად გამოყოფილ იქნეს კიდევ რონოდა—ყუთები, რომლებიც განთავისუფლდენ ქვიშის გადაზიდვისაგან.

ხელფასის დარიგება

გზათა მიმოსვლის კომისარიატმა განკარგულება გასცა საბჭოთა კავშირის ყველა გზებზე, რათა მუშა-მოსამსახურეებს, თანახმად ახალი გენერალური კოლხელშეკრულებისა ჯამაგირები დაურიგონ თვეში ორჯელ, ყოველი თვის 5 და 15 რიცხვებში.

რკინის გზის 100 წლის თავი.

რკინისგზის დაარსებიდან 100 წლის შესრულების თავს რკინის გზებზე იდღესასწაულებენ 20 დეკემბერს. ამ დღეს მოსკოვიდან რადიოს საშუალებით გადმოცემული იქნება ლექციები და მოხსენებები. გარდა ამისა ხაზებზე ჩატარებულ იქნება ლექციები ცალკე.

ქრონიკა

ანკილოსტომიაზის ექსპედიცია

ანკილოსტომიაზის (ავადმყოფობის გამომწვევ ჭიების) წინააღმდეგ გაგზავნილი ექსპედიცია იტყობინება რომ კიცხის და ხარაგოულის რაიონი ენდემიური კუთხეა ანკილოსტომის (ჭია) გავრცელების მხრივ; ამჟამად ექსპედიცია მუშაობს ხარაგოულში, შემდეგ გადავა ძირულის საკრამიტო ქარხანაში და ქუთაისის მაზრაში.

თბილისის აღმასკომში

— **თბ. აღმასკომს** განზრახვა აქვს ქალაქის სასაკლაოსთან მოაწყოს საფონდო ბირჟა და კომუნალური ბანკის განყოფილება, გლეხებისათვის სავაჭრო ოპერაციების გაასადვილებლათ.

— **საბინაო მშენებლობა.** თბილისში უკვე აკრეფილია საბინაო მიზნობრივი გადასახადის 96 პროც. შემოსული თანხა სავსებით მოხმარდება საბინაო მშენებლობას.

— **ახალი საბინაო ნიხრი.** აღმასკომის საბინაო განყოფილების ცნობით ახალი საბინაო ნიხრის შემოღება განზრახულია 1 იანვრიდან.

სახალხო მამულების ტრესტში

— **ჩაის გახალება.** სახალხო მამულების ტრესტმა სამხედრო უწყებისათვის დაამზადა 8 ათასი ფუთი ჩაი.

— **ბორჯომის კომბინატს** სახალხო მამულების ტრესტმა შეუკვეთა 25 ათასი ცალი ბოთლის დამზადება.

ცეკავშირში

— **ამერიკიდან** ცეკავშირმა მიიღო 350 ათასი მეტრი ნარმა ძირითად კოოპერატივებს შორის გასანაწილებლად.

— **ბრინჯი პროვინციებს.** ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებას გადაეგზავნა 1 ვაგონი ბრინჯი.

ჯანსახკომში

— **ლაბორატორიები.** ამჟამად ჯანსახკომის განკარგულებაში იმყოფება 30 ლაბორატორია.

— **ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში** ჯანსახკომის დადგენილებით წელს გახსნილი იქნება დამატებით 30 საწოლი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **იონჯას თესლი.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა რაჭის აგრ. განყოფილებას გლეხებისათვის დასარიგებლად გაუგზავნა იონჯის თესლეულობა.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატიდან დუშეთის აგრონ. განყოფილებამ გამქირავებელ პუნქტებისათვის შეიძინა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **ხვანეთში მიწათმოქ.** კომისარიატმა გახსნა აგრო-დახმარების პუნქტი.

სხვადასხვა

— **ფართლეულობა.** მიმდინარე სამი თვის განმავლობაში ამიერ კავკასიაში ყოველთვიურად შემოტანილი იქნება 90 ვაგონი ფართალი.

— **ჩაუბარებელი დეპეშები:** ვარინოდან—სოლოვიევს, ლენინგრადიდან—სულაკაძეს, მოსკოვიდან—კიკნაძეს, შამხორიდან—ჟურავლიევს, პოლტარაცკიდან—მანუელოვს, ქუთაისიდან—ალიბაგოვს, ახალქალაქიდან—გაბოიანცი-ინჯიკოვს, ლენინგრადიდან—ვეგას, ლიაქიდან—გუკასოვს, ველისციხიდან—არუთინოვს.

კრებები და მოხსენებები

— **საამშენებლო ამხანაგობების საერთო კრება.** ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის სალექციო დარბაზში დანიშნულია საერთო კრება თბილისის ყველა სახლთა-საამშენებლო ამხანაგობებისა. დღის წესრიგი: 1. სახლთა-საამშენებლო კოოპერაცია საქართველოში, 2. სახლთა - საამშენებლო კავშირის ორგანიზაცია.

— **ყრუ-მუნჯთა რეგისტრაცია.** გაგრძელებულია 1926 წ. 1 იანვრამდე და სწარმოებს ყრუ-მუნჯთა კლუბში (პლეხანოვის პრ. 55) სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 6—9 საათამდე, ხოლო კვირა-უქმე დღეებში დღის 12—2 საათამდე. რეგისტრაციაში გასატარებლად საჭიროა პირადობის მოწმობის და სხვა დოკუმენტების წარმოდგენა.

შემთხვევები

— **შეპყრობა.** 7 დეკემბ. მე-5 სა მილიციო უბანში შეიპყრეს ჯიბგირი ისკანდერ მამედ-ოღლი.

— **სავაჭროდან.** 7 დეკ. ელისაბედის ქ. № 224 გაქურდეს მოქ. დავით მაღრ ოძის სავაჭრო.

— **წესდების დარღვევისათვის.** 7 დეკ. შეაპყრეს ხაჩატურიანცი და გოი აშვილი.

— **ქურდობა.** 7 დეკ. გაქურდეს საბჭოს ქუჩაზე მცხოვ. პავლე ცოცხაძის ბინა.

— ამავე დღეს კახეთის ქ. № 53 გურგენ ავაქოვი. მოპარეს პირადობის მოწმობა და სხვადასხვა ნივთები.

— ამავე დღეს გაქურდეს ჩერქეზოვი ხ ქ. რკ. გზის მე-6 უბნის შენობაში მცხოვრებ მათე კედნიევის ბინა.

საბჭოთა სასამართლო

გიორგი როდოფინოვის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო როდოფინოვის საქმის გარჩევა.

რატომ ზის როდოფინოვი საბრალდებლო სკამზე.

საბრალმდებლო დასკვნიდან სჩანს, როცა გაუქმდა საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატი, სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსდა ამ კომისარიატის სალიკვიდაციო კომისია. ამ კომისიის პასუხისმგებელ თანამშრომლად დაინიშნა გიორგი როდოფინოვი, რომელიც მსახურობდა აღნიშნულ კომისარიატში (მის გაუქმებამდე) საფინანსო-საანგარიშო განყოფილების გამგედ. მას დაევალა კომისარიატის ანგარიშების შედგენა და საბოლოო ბალანსის გამოყვანა. სალიკვიდაციო მუშაობა, დადგენილების თანახმად, უნდა დამთავრებული ყოფილიყო ოთხი თვის განმავლობაში, რისთვისაც სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად გადადებული იყო 5288 მანეთი.

როდოფინოვი შეუდგა მუშაობას. გასამრჯელოსაც კარგა მოზრდილს იღებდა—361 მანეთს თვეში, „ზედმეტი საათების“ ნამუშევართან ერთად. მაგრამ „ზედმეტმა საათებმა“ როდოფინოვს შეაყვარა ზედმეტი დღეები, ზედმეტი თვეები.

როგორც სჩანს, როდოფინოვს ძალიან „უმძიმდა“ სასურსათო კომისარიატის ლიკვიდაცია, ძალიან „გული შესტკიოდა“ და არ სურდა უდროოდ გამოესალმებია იგი წუთისოფელს, თორემ სხვა რა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ 4 თვის მაგიერ ლიკვიდაციას მოანდომა 15 თვე, 5288 მანეთის მაგიერ დახარჯა 10,430 მ. და 50 კ.

მუშაობდა და მუშაობდა როდოფინოვი, მაგრამ მუშაობას ბოლო აღარ უჩანდა.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია რომ არ ჩარეოდა საქმეში, ვინ იცის, იქნება კომისარიატის ლიკვიდაცია ეხლაც არ ყოფილიყო დამთავრებული.

სასამართლომ ასე შეაფასა მისი „ხანგრძლივი საქმიანობა“: რადგან როდოფინოვმა სასურსათო კომისარიატის ლიკვიდაციის მაგიერ, სახელმწიფო ფულის უმიზნოდ ლიკვიდაცია და 1924 წლის აპრილიდან 1925 წლის ივლისამდე მიითვისა და გაფლანგა 6038 მანეთი და 50 კაპ., მან პასუხი უნდა აგოს 109 მუხლის 1 ნაწილის და 116 მუხლის მე-2-ე ნაწილის მიხედვით.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. კაჭარავა, ბრალმდებლად გამოდის ამხ. პავლიაშვილი. ბრალდებულს იცავს პ. ქავთარაძე.

ბრალდებული არ სცნობს თავს დამნაშავედ და აცხადებს, რომ მუშაობის გაჭიანურება გამოიწვია სხვადასხვა დაბრკოლებებმა, რომელთაც წავაწყდი მუშაობის პროცესშიო.

გრძელდება საქმის გარჩევა.

მოჩხუბარი ქმარი

— თუ შენ სადმე მიდიხარ, ცოლიც თან უნდა წაიყვანო, მე ხომ შენი კანონიერი ცოლი ვარ,—ეუბნებოდა ელენე შარაშენიძე თავის ქმარს ილიას.

— მე სამსახურის საქმეებზე მივდივარ.

— ვიცი შენი სამსახურის საქმეები. მერე რა! ცოლიც ხელს არ უშლის სამსახურის საქმეს.

მაგრამ შარაშენიძე არ ეთანხმებოდა ცოლის დებულებებს და ამიტომ ცოლ-ქმარს შორის ყოველ დღე ადგილი ჰქონდა უსიამოვნებას.

ერთ დღეს ელენე ეუბნება თავის ქმარს:

— შენ ხომ რკინისგზელი ხარ, მომეცი უფასო ბილეთი და მე წავალ ჩემს ძმასთან.

— უფასო ბილეთი, მეტს არაფერს ინებებთ?

— მე მოგაშორდები შენ. ვიშოვნი ფულს და წავალ—ეს სთქვა ელენემ და გაიშურა კარებისაკენ გასაქცევად.

მაშინ ილია შარაშენიძემ სტაცა თავის ცოლს ხელი მკლავში, მოატრიალა და დაუწყო ცემა.

სახე დალურჯებული და დაკაწრული ელენე მიმართავს სასამართლოს და თავის ქმარს აძლევს პასუხისგებაში.

სასამართლომ მოჩხუბარ ქმარს მიუსაჯა პირობითი სასჯელი ორი წლის ვადით.

ე.

ხელოვნება

კამერული კონცერტი

საქართველოს პროლეტკულტთან არსებულმა მუსიკალურმა ასოციაციამ გახსნა პოპულიარული კამერული კონცერტების ციკლი. პირველი კონცერტი შესდგა 7 დეკემბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში. ეს კონცერტი სავსებით მიეძღვნა რახმანინოვის შემოქმედებას. შესრულებულ იქნა მისი ტრიო ფორტეპიანოს, სკრიპკის და ვიოლონჩელისათვის და რომანსები.

ეს ტრიო თავიდან ბოლომდე ნაღვლიანი ელეგიური განწყობილებით არის გამსჭვალული; იგი რახმანინოვმა მიუძღვნა ჩაიკოვსკის ხსოვნას; მასში სჭარბობს რუსეთის დიდი ლირიკოსის გავლენა. ტრიოს შესრულება კონცერტებზე განსხვავდება მით, რომ მასში არ გვხვდება ცოცხალი მელოდიები, არ არის ეფექტური მუსიკალური პერიოდისადმი მისწრაფება—ის სავსეა განწყობილებით და ამიტომ შთაბეჭდილებას ახდენს მხოლოდ უნაკლოდ შესრულების დროს. ფორტეპიანოს პარტია შეასრულა პიანისტმა, კიევის კონსერვატორიის პროფესორმა დანილჩუკ—შატიუკმა, რომელმაც დაასრულა მოსკოვის კონსერვატორია. პიანისტმა გვიჩვენა გარდა საუცხოვო სკოლისა, პიანისტური ნიჭის სერიოზულობა, მუსიკალური სრულყოფა, საანსამბლო შესრულების, მუსიკალური ხერხების კეთილშობილება. სკრიპკის პარტია შეასრულა ოპერის კონცერტმეისტერმა სტუპელმა და ვიოლონჩელის პარტია—ოპერის ორკესტრის სოლისტმა კაპელნიცკიმ. ორივე არტისტს კარგად იცნობს თბილისის საზოგადოება. შესრულებაში სჩანს ანსამბლი, მაგრამ სიმებიან ინსტრუმენტების პარტიებში საჭიროა მეტი ტემპერამენტი ალაგ-ალაგ.

კონცერტის ვოკალური ნაწილი შეასრულეს ოპერის მსახიობებმა დანელიანმა და ვეზაძემ. რახმანინოვის რომანსების შესრულება საერთოდ ძალიან ძნელია. ამ რომანსებში საჭიროა მუსიკის და ლიტერატურული შინაარსის მხატვრული მთლიანობის მიღწევა. დანელიანმა მიაღწია ამას, მისი შესრულება სავსებით დამთავრებულია როგორც ვოკალურად, ისე სტილიურად. მშვენივრად იყო შესრულებული რომანსი „Не может быть“, სადაც მსახიობ ქალმა გამოიჩინა დიდი დრამატიზმი.

ვეზაძე ჯერ კიდევ ვერ აღწევს სარომანსო ლიტერატურის შესრულების ისეთ სისრულეს, როგორც განსაკუთრებით საჭიროა რახმანინოვის რომანსებში. მომღერლის ხმა მშვენიერი იყო, მაგრამ მარტო ვოკალური შესრულება აქ არ კმარა. საჭიროა მეტი დინამიკა სიმღერაში, მეტი განცდა, რომ უფრო მკაფიოდ იქნეს მოცემული რომანსის შინაარსი.

უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაცია მართავს პოპულიარულ კონცერტებს იმ მიზნით, რომ გააცნოს მშრომელთა ფართო მასებს მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, ამას უსათუოდ უნდა მივესალმოთ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ეს კონცერტები იმართებოდეს რაიონულ მუშათა კლუბებში, რომ ამან უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს.

მუსიკალურ პროგრამისათვის განმარტებების წამძღვარება უსათუოდ მიზანშეწონილია, მაგრამ ლექტორი უნდა იძლეოდეს პირველ ყოვლისა პოპულიარულ, ფართო მასებისათვის გასაგებ განმარტებებს.

ლექტორ ნაზარიანის მიერ გაკეთებული განმარტება გაუგებარი იყო არა თუ ფართო მასისათვის, არამედ იმ საზოგადოების მეტი ნაწილისათვის, რომელიც დაესწრო კონცერტს.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **აბელიანის გასტროლი.** დღეს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მიერ სომხეთის სახალხო მსახიობის ოვ. აბელიანის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება „ნამუსისათვის“.

— **ალ. ინაშვილის გამოსვლა.** დღეს ოპერის თეატრში საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მსახიობი ინაშვილი პირველად იმღერებს "ტოსკა"-ში იტალიურ ენაზე.

— **„ლამარა“.** შემდეგ ხუთშაბათს პრემიერათ მიდის გრიგოლ რობაქიძის ახალი ორგინალური პიესა: „ლამარა“.

— **„ძინა-ძაძუ“.** იანვრის პირველ რიცხვებში თბილისის კინოებში აჩვენებენ „მეჟრაბპომ—რუს“-ის ახალ სურათს „ძინაძაძუ“. მთავარ როლებში: ალექსანდრა თოიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, კოტე მიქაბერიძე, წითლიძე, კოლია კახიძე და სხ.

— **კიევის სახელმწიფო** ოპერის მომღ რალთა კოლექტივი ახლო ხანში ქუთაისში გამართავს რამდენიმე კონცერტს.

— **კამერულ თეატრში.** დღეს წარმოდგენილი იქნება: „რომანი“.

— **ნატან მილშტეინის კონცერტი.** ახლო ხანში კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება სკრიპკაზე ცნობილ დამკვრელის ნატან მილშტეინის პირველი კონცერტი.

— **საქველმოქმედო მიზნით** ორშაბათს, 14 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება დიდი კონცერტი ოპერის მსახიობების მონაწილეობით.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** ჟურნალ „ლიანდაგი“-ს დეკემბრის ნომრისათვის ლიტერატურულ მასალის, უმთავრესად 1905 წლის დამახასიათებელის, მიღება სწარმოებს ხელოვნების სასახლეში (მაჩაბელის ქუჩა № 13) ამხ. ნ. ზომლეთელთან დეკემბრის 14-მდე.

— **პროლეტკულტში.** პროლეტკულტის ტეხნიკუმში სათეატრო განყოფილებაზე დაიწყო მსმენელების მიღება. მსმენელები მიიღებიან 17 წ. ასაკიდან. მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ: მუშებს, წითელარმიელებს და პროფესიონალურ კავშირების წევრებს. მეცადინეობა ტეხნიკუმში იწარმოებს საღამოობით. განცხადებების მიღება სწარმოებს პროლეტკულტის კანცელარიაში (ბელინსკის ქუჩ. № 2.) დილის 10—3 საათამდე.

— **წითელი თეატრი:** ქართ. დრ. დასის მიერ მზადდება და მოკლე ხანში დაიდგმის მიხ. ქიაურელის რეჟისორობით შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ბეერლეინის „სამხედრო ბანაკში“, ვან. გარრიკის რეჟისორობით, შილერის „ყაჩაღები“ და ალ. წუწუნავას რეჟისორობით ვ. შარაშენიძეს ახალი ორგინალური დრამა „ქეციანი ძაღლი“, ფულდის—„ვირის ჩრდილი“, თავისუფალი თარგმანი თეთრ ლექსით გრიშაშვილისა. დასი ამ თავით ემზადება 1905 წ. რევოლიუციის 20 წ. თავის აღსანიშნავად.

დღეს კინოებში

— აპოლო—„ორი პრეტედენტი“.
— პალასი—„მისი რეპუტაცია“.
— სოლეი—„ინდოეთის აკლდამა“.
— არფისტო—„ნიშანი ზერო“.
— მინიონი—„ინდოეთის აკლდამა“.
— ოაზისი—„ცხოვრების ჩვეულები“.

დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს
გამომცემლობის მთავარ კანტორაში
(რუსთაველის პროსპექტი № 24 მეორე სართული)

დანიშნულია

განცხადებათა შემკრებ აგენტების სხდომა

დასწრება ყველა აგენტის სავალდებულოა

მთავარი კანტორა

მუშათა ცხოვრება

შინაური კაცია.

(პატარა ფელეტონის მაგიერ).

ოქტომბრის დღესასწაული დასრულდა და დემონსტრანტები უკვე სახლისკენ მიეშურებოდნენ... მეც, დაღლილი, მცირე ხანს ერთ დარაბის წინ შევჩერდი. კერძო სასადილოები სულ დაკეტილი იყო, მაგრამ, ერთი ლიპ-გასიებული მიკიტანი კლიტით ხელში დარაბასთან ატუზულიყო. დაკეტილ დარაბიდან ხმაურობა ისმოდა. ცოტა მოშორებით, მილიციონერის გვერდით, ამავე სამიკიტნოს მსახური იდგა, ამ დროს მილიციონერმა დაბლა რაღაც ანიშნა მსახურს. მსახური განშორდა და მიკიტანს გადმოსძახა:

— კლიტე!..

მიკიტანმა შიგნით შესძახა: „ს-ს-სუ" და დაჩქარებით კლიტე დაადო დარაბას და ისიც მოშორდა.

შიგნიდანაც განმეორდა: „ს-ს-სუსი" და დუქანში მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა.

მე ვერ მივხვდი, თუ რაში იყო საქმე და მილიციონერს შევხედე. ის კი კომისრის წინ იდგა გაოჭიმული და რაღაცას ელაპარაკებოდა... კომისარიც წავიდა.

მილიციონერი კვლავ მსახურს დაუახლოვდა; მიკიტანმა დუქანს გაუყარა გასაღები და გამოაღო დარაბა...

მე დაუახლოვდი მსახურს... მილიციელი წავიდა...

რა იყო, ამხანაგო, რა მოხდა? შევეკითხე მას.

— არაფერი.

— მაშ, რას ნიშნავს:—„კლიტე" და „ს-ს სუს" ძახილი?

— შეიხედე დუქანში და იქ გაიგებ პასუხს.

მიველ დუქანთან. მიკიტანმა დარაბა გამიღო, შევედი და უცებ ცხვირში მეძგერა პაპიროსის კვამლი და დახშული ჰაერი. დუქანი თავიდან ბოლომდის გაჭედილი იყო მთვრალი მუშებით. მათი უგემური სიმღერა, ყვირილ-ყიჟინა ყურს აყრუებდა. აქ ბევრი ნაცნობიც ვნახე, მაგრამ დახშულ ჰაერმა სუნთქვა შემიკრა და მალე გამოველი. მსახური იქ დამხვდა და მითხრა:

— ხომ გაიგე პასუხი.

— გავიგე. მაგრამ ესეც მითხარი, რადა გჭირდებათ ეს სიტყვა:—„კლიტე და ს-ს-სუს" ძახილი?

— ეს სიგნალია იმის, რომ, როცა კომისარი გამოივლის, მან არ გაიგოს, რომ თავისუფლად ვაჭრობენ მაშინ, როცა ვაჭრობა აკრძალულია.

— კარგი, მაგრამ ეს მილიციონერი რას აკეთებს?..

— ის შინაური კაცია...

— ეხლა კი მივხვდი ყველაფერს.

მუშკორი ამბული.

ასეთი მუშა-ქალი მადლობის ღირსია.

4 ნოემბერს შესრულდა 25 წელიწადი, რაც ამიერ-კავკასიის რკ. გზების საშემოსავლო ნაწილში მუშაობს გამრჩევ მაგიდის გამგედ ამხ. ელისაბედ დეკანოზიშვილი. იგი პირნათლად და მთელი თავისი ენერგიით ემსახურება მასზე დაკისრებულ მოვალეობას და თავისი ერთგული შრომით სარგებელი მოაქვს სამსახურისათვის. 14 ნოემბერს, როდესაც მასთან თანამოსამსახურეებს საშუალება მიეცათ რაიმეთი აღენიშნათ მისი 25 წლის უანგარო მუშაობა, ღირსეული მუშა-ქალი მიიწვიეს სამსახურთან არსებულ ლენინის კუთხეში და ჩატარებულ საზეიმო სხდომაში მიართვეს საჩუქრად ოქროს საათი და მრავალი ყვავილები, ნიშნად მადლობისა ექვს გარეშე, რომ იგი ღირსი იყო უფრო მეტისაც. სასურველია ყველა მუშა-ქალებმა მიბაძონ ამხ. დეკანოზიშვილს.

თანამშრომელი.

ხაშურის რკინისგზის კავშირის საუბნო კომიტეტის საყურადღებოთ.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით იმ მდგომარეობას და მიზეზებს, რომელიც იწვევს უკმაყოფილებას ხაშურის რ.-გ. წევის დარგის მუშებში და განსაკუთრებით კი მემუხრუჭეებსა და მზეთავებს შორის. აღნიშნული დარგის მუშებს ეკუთვნით ზამთრის ტანთსაცმელი-ერთი ტყავის პლაში და ნაბდის ფეხსაცმელები თავისი კალოშებით. მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ ტანისამოსს თავის დროზე ვერ ღებულობენ ეს მუშები. ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე მისაღები ტანისამოსი მიიღეს ზამთრის შემდეგ, გაზაფხულზე. ასეთივე მდგომარეობა არის წელსაც, ზამთარი უკვე დაიწყო. სიცივე თავისას არ იშლის და დაპირება დაპირებად რჩება.

იმედია, ეხლა მაინც მიექცევა ყურადღება ამ საქმეს.

რკინისგზელი კ. მეხხიძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— ამ თავხედს ჭკუა უნდა ასწავლოთ. წითელ თეატრის შენობის (ყოფ. სახალხო სახლის) გამგე მოქ. ჯაფარიძე, ძალზე თავხედურად და უხეშად ეპყრობა წითელ თეატრის მსახიობებს, თანამშრომლებს და რეჟისორებსაც.

საჭიროა ამ თავხედ მოქალაქეს ჭკუა ასწავლოთ.

ა—გგ—ძე.

— ავარები გვაწუხებენ. ლენინის რაიონში განსაკუთრებით კი პლეხანოვის სახელობის კლუბთან თავს იყრის ვიღაც „რუჩენას" შაიკა, რომელიც იკლებს ოქაურობას თავისი „საგმირო საქმეებით".

მუშკორი შავანელი.

— სახლის კომენდანტს ჭკუა ასწავლეთ. პლეხანოვის ქ. № 172 არის საბჭოთა სახლი. სახლს განაგებს კომენდანტი მოქ. ვართანოვი, რომელიც მდგმურებს ძალზე უხეშად და უდიერად ეპყრობა. მე-11-ე სამილიციო უბნის თანამშრომელს ამხ. თამარა გოგიშვილს მიაყენა მან შეურაცხყოფა და გამოსახლებითაც ემუქრება მას.

მუშკორი ი. გ—ვი.

მუშათა ქრონიკა.

— ცენტრ. მუშათა კლუბში. კლუბის გამგეობამ თავის 3 დეკემბრის სხდომაზე აირჩია გამგეობის თავმჯდომარედ ამხ. გურული და პრეზიდიუმში ამხ. ამხ. გურული, ტერაკოფოვი, ელიაშვილი, ორლოვი, საარიანი, პუტნე და ელიაშვილი ალ.

გამგეობამ გამოჰყო აგრეთვე სამხატვრო, სააღრიცხვო, წევრთა მიმღები, ფიზკულტურის, რადიოს, საშახმატო, სამნეო და სხვა კომისიები და მიამაგრა გამგეობის წევრები საკლუბო მუშაობის სხვადასხვა დარგებს.

— ლექცია მუშებისათვის. ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ზეთ-საპნის ტრესტის შენობაში (კომუნალური ქ. № 105) გაიმართება ექიმ ზუნტურიდის ლექცია „პროფესიონალური ავადმყოფობის" შესახებ.

— კლუბის ხამკითხველო. ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს წინაშე, რათა ყოფ. ალექსანდრეს სახ. ბაღში არსებულ მტვირთავთა ადგილკომის და მისი კლუბ-სამკითხველოს დაეთმოს შესაფერი ბინა ყოფ. ალექსანდრეს ბაღის დახურვისა და მასში არსებული შენობების დანგრევის გამო.

მ. ხ—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ

„კომუნისტის" მე-1426 ნომერში (ა. წ. 25 ნოემბერს) მოთავსებული იყო ცნობა მიწათმოქმედების კომისარიატის სამიწისმზომლო კურსების შესახებ. ცნობათ იმ ახალგაზრდობისათვის, რომელთაც აინტერესებთ ეს კურსები, მიწათმოქმედების კომისარიატი აცხადებს, რომ ასეთი კურსების შესახებ შედგენილია პროექტი, რომლის დამტკიცებისთანავე გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული იქნება კომისარიატის მიერ ყველა საჭირო პირობები კურსებზე მიღების შესახებ.

საქმეთა მმართველი მ. ზირაქიშვილი.

მიწათმოწყობის განყოფ. გამგე ვ. გოგოლაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— „რემედასის" ლენინის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ლენინის რაიკომის ბინაზე მოწვეულია „რემედასის" უჯრედთა მდივნების თათბირი. დასწრება ყველა მდივნისათვის სავალდებულოა.

„რემედასის" ლენრაიკომის მდივანი ირ. მშველიძე.

— დღეს, 9 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, რემედასის თბილისის კომიტეტის ბინაზე (გლეხთა სასახლე) შესდგება რემედასის სარევიზიო კომისიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის: ნალბანდოვი, ფაბუკაშვილი, ლელუაშვილი, კიზირია, პირხოვა, ბახტაძე, კერვალიშვილი.

— კომკავშირის თბილისის კომიტეტი აუწყებს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს: დღეს, 9 დეკემბერს, დღის 1 საათზე კომიტეტის ბინაზე შესდგება საორგ. კოლეგიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის:

გიორგი ჯვარეიშვილი, აკაკი ვერულაშვილი, ოლღა გარიშვილი, გალუსტ სოლოლოვი, რაფიელ კვირკველია, ვლ. შოშიაშვილი, ნინა სირევა, ანნა აბრემაშვილი, გრ. ციბაევი, მიხ. ცერცვაძე, სერგო ივანოვი, ვას. საყვარელიძე, მ. მიქაძე, ივან შირიაევი, ევგ. არ ელია, მარიამ ახობაძე, ალ. ლომთაძე, თამარა ადამია, ნიკ. სვერუხინი, ვალენტინა ნ ტეროვა, მარია დემკინა, მარია ანიანცი, გიორგი დეკანოსიძე, თამარა შუკარაშვილი, ლ ოვა თიმაშვილი, ელენა სარუხინა, ზაალ მიქაძე, სონია ბადალაშვილი, ანნა ზოლოტ რიოვა, ქსენია ასლამაზოვა, ს. ბერძენოვი, დავით ტორჩინაძე, ვიტ. პლეშკოვი, ივან ბესტრეკოვი, მარია ბარათოვა, ირაკლი წერეთელი, ანტ. ჩიქობავა, ვერა დოროფსკაია, ალ. მირკოტენკო, ლიდია სარიჩევა, მარია სტეფანოვა, ლარისა სკოროუბსკაია, ევდოკია შიშოვა, ნინა ვარსიმაშვილი, თამარა გოჩიაშვილი, მიხ. ტარასოვი, ბახტანიანი, ალ.

განცხადებები

მამა ლომინი, დედა მატრონა, და ანა, ბებია ეთერი და მამიდა ეფროსინე ანთაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, მათთვის უძვირფასესი

თედორე ლომინის-ძე ანთაძის

უდროოთ გარდაცვალებას

გამოსვენება ა | წ. 9 დეკემბერს საღამოს სამ საათზე პირველ ქალაქის საავადმყოფოდან (ყოფილი არამიანცის).

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

768—1—1

სახალხო განათლების კომისარიატის კოჯორის საბავშვო ახალშენების თანამშრომლები და ბავშვები აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 7 დეკემბერს გარდაიცვალა ხანმოკლე ავამდმყოფობით ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი 2-რე ახალშენის თანამშრომელი (აგრანომი)

თედორე ლომინის-ძე ანთაძე

გამოსვენება 1-ლ საავადმყოფოდან სადგურზე საღამოს 3 საათზე, 9 დეკემბერს, საიდანაც წაასვენებენ სოფელ. ბახვში (ოზურგ. მ.).

765—1—1

უდროოდ გარდაცვალებულის

კალისტრატე მიხეილის ძე ესაკიას

მეორმოცე დღის სანოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია, კვირას 13 დეკემბერს, ნაშუადღების 3 საათზე; რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები და და—ძმანი.

759 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 9 დეკემბერს

ტოსკა

სანდრო ინაშვილის პირველი გამოსვლა

ნ. 387 2—1

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს,

პრემიერა **„დეზერტირკა"**

პიესა აშიანის

ქართული საოპერო სტუდიის ორკესტრი.

ნ. 388 3—1

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი

№ 3 „ეკონომისტი" № 3

1. სტატიები: გ. ლ.—ჩვენი სამეურნეო განვითარების გზები, **ა. ერქომაიშვილი**—ფულის რეფორმა და ემისიის საკითხი.

2. ნარკვევები და შენიშვნები: ა. რ.—ზოგიერთი ცნობები სასოფლო მეურნეობის შესახებ საქართველოში 1924 | 1925 წ., **ლ. ასათიანი**—საკრედიტო კოოპერაცია ჩვენში ძველად და ეხლა, **დ. თოფურიძე**—სახალხო მეურნეობა და საკრედიტო გეგმები ა | წ. მე-3 და მე-4 კვარტალებისა და 1925 | 1926 წლის პირველი კვარტალისათვის, **ტ. ხარაზიანი**—ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მდგომარეობა 1924 | 25 წელში.

3. ტრიბუნა: ა. რუხაძე—ორგანიზაცია თუ დეზორგანიზაცია, ნ. **კიქნაძე**—ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დაარსების შესახებ.

4. მიმოხილვები: საქართველოს სახალხო მეურნეობა 1925 წლის სექტემბერში, ვ. ჩ.—უკრაინის სახალხო მეურნეობა 1925 | 26 წ. მიჯნაზე, ს.ს.რ. კავშირის სახალხო მეურნეობა 1925 წლის ივლის-სექტემბერში.

5. ეკონომიური ქრონიკა: საქართველოში, საბჭოთა რესპუბლიკებში, ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

6. ბიბლიოგრაფია: ს. დ.—**Родбертус и Лассаль государственный социализм**, **დ. გვაზავა**—ა. ერქომაიშვილი—კოოპერაციის ისტორია და თეორია, ვ. ე.—საქართველოს 1923 წ. სასოფლო სამეურნეო აღწერა, **ს. დ.—Экон. Вестн. Зак. № 20** ლ. ას.—შ. ბ. გოგებაშვილი, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაცია და პრაქტიკა. **ფასი 1 მან. და 80 კ.**

1—1 ნ- 392

თბილისის ქ. ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8)

ამით აცხადებს, რომ კვირას 13 დეკემბ. დილის 11 ს. დანიშნულა

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. 1-1 ნ.

Судебный исполн. Нарсуда 4-го района гор. Тифлиса

К. Потемковский

сим об'являет, что 12 сего декабря, в 2 часа пополудни, им будет продаваться со вторых публичных торгов описанная за долг Сергея и Акима Аветисовых речная мукомольная мельница о 2-х поставах, на ходу, со всеми принадлежностями, прикрепленная к берегу р. Куры 4-мя железными цепьями, оцененная для продажи в 850 руб. Мельница эта заложена в тифлисском коммун. банке и за ней к 7-XII-1925 г. числилось долгу банку 445 рублей.

აპოლო
არტისტო
სოლეი

მერი პიკფორდ სურათში

ორი პრეტენდენტი

ნიშანი Z ზერო

მთავარ როლში დუგლას ფერბენქს

სეზონის საუკეთესო სურათი

„ინდოეთის აკლდამა"

1 და 2 სერია ერთად

0-8 ნ. 324

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის

ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა

იუწყება, რომ ანაბარების მიღება

მიმდინარე ანგარიშებზე

სწარმოებს საოლქო კანტორაში ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველდღე, გარდა უქმეებისა

ნ. 384 1—1

ის დაწესებულებები და ორგანიზაციები

რომლებიც ღებულობენ ხელისმოწერას მეორე სახელმწიფო საგლეხო-მომგებიან სესხზე

ამით აცხადებენ, რომ ისინი 1925 წლის 9 დეკემბრიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში **ანგარიშს უსწორებენ** მე-2-ე საგლეხო მომგებიან სესხის ხელისმომწერლებს და აძლევენ მათ ამ სესხის ობლიგაციებს.

ის ხელის მომწერლები, რომლებიც იწერენ ობლიგაციებს 100 მანეთამდე, დაკმაყოფილებული იქნებიან სავსებით. ხელის მომწერლები, რომლებიც იწერენ 100 მანეთს ზევით 3000 მანეთამდე, დაკმაყოფილებული იქნებიან ობლიგაციებით გამოწერილი თანხის 50 პროცენტის რაოდენობით, ხოლო ხელისმომწერლები 3000 მანეთს ზევით ობლიგაციებით არ იქნებიან დაკმაყოფილებული.

ხელისმომწერლებს, რომლებიც განაწილების თანახმად დაკმაყოფილებული უნდა იქნენ, არ უბრუნდებათ ავანსათ შემოტანილი თანხები.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული 7 დღის განმავლობაში ხელისმომწერლები არ გამოცხადდებიან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად, ისინი ჰკარგავენ ობლიგაციებით დაკმაყოფილების უფლებას და მათ არ დაუბრუნდებათ მათ მიერ შემოტანილი ავანსი.

ხელისმომწერლებს, რომლებიც არ არიან შეტანილი განაწილებაში, უბრუნდებათ თავისი ავანსები ქვითარების წარმოდგენისთანავე.

ხელისმომწერლები ასწორებენ ანგარიშს და ღებულობენ ობლიგაციებს იმავე დაწესებულებებში, სადაც მათ ხელი მოაწერეს.

ა | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა.

საბჭოთა კავშირის სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კანტორა.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის თბილისის განყოფილება.

საბჭოთა კავშირის კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილება.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

თბილისის ქალაქის ბანკი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი,

ურთიერთ კრედიტის პირველი საზოგადოება.

ურთიერთ კრედიტის მე-2ე სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება.

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები.

ნ. 394—1—1

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოსთან

არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1925 წ. 30 ნოემბრის

დადგენილება

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საალმშენებლო კომიტეტის ზოგიერთ დამატებით გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ სადგურის მოწყობილობათა ასაშენებლად საჭირო ხრეშის გადატანის დროს.

ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საალმშენებლო კომიტეტი სადგ. სკრადან სადგ. ავჭალამდე სადგურის საბოლოო მოწყობილობისათვის საჭირო ხრეშის—4.000 ვაგონის გადმოზიდვის დროს თავისუფლდება ასაწონ გადასახადის და დატვირთვა-გადმოტვირთვის გადასახადის ნახევრისაგან.

ეს სატარიფო შეღავათი შემოღებულია 1926 წ. 1 ნოემბრამდე. ამასთანავე აღნიშნულ 4.000 ვაგონ ხრეშს მექანიკურად გამოაკლდება ზაჰესკომის მიერ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე გადაზიდული რაოდენობა, თანახმად ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას" 873 ნომერში ა | წ. 13 მაისს). 20 მაისის დადგენილებისა.

დადგენილება ესე ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ.

ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამგეობის
წევრი—ფიცხელაური.

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
საქმეთა მმართველის მოადგილე—ვერდერევსკი.

ს. 391. 1—1.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

შინაგანი, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოს 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ **ნ. პ. ფალიაშვილის**

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ჭლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

გრძელდება ხელისმოწერა პროფ. ი. აბულაძის შრომაზე

„რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონზე"

4 ტომათ

ლექსიკონი ხელისმომწერთ დაურიგდებათ 1926 წ. იანვრ. ნაკვეთობით. ვინც ა | წ. დეკემბრის დამლევამდის მოაწერს ხელს, იხდის ლექსიკონის საფასურად 14 მანეთს (თვიურათ 1 მ. 50 კ.), დაწესებულებები კი ღირებულების არა ნაკლებ 50 პროც.

1926 წლის იანვრიდან ლექსიკონის ფასი გადიდებული იქნება. ლექსიკონის გამომცემელი და ხელმძღვანელი თვით რედაქტორი პროფ. ი. აბულაძე.

ლექსიკონის გასავრცელებლად მოწვეულნი არიან პასუხისმგებელი აგენტები, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში

პროვინციის ძველ აგენტებს ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ მანდატები და გაასწორონ ანგარიშები.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 8.

ნ. 362—3—3 ტექნიკური მდივანი დავ. კასრაძე.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25 | 1

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და შარდის ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).

ზოგადი საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილისსქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი **ი. ა. შაფერ**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 საათ. და 6—8 საათ. კურსანტების ქ. (ყოფ კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული,

---

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპ ქტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ჭაჭები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 სათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **მაღაევი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. პაპიტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.

კრილოვის ქ. № 8. 625 25—1

ექიმი **პ. ი. ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914" გონორეის და მისი შედეგების წამლობა. ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ. საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

25—1

დოქტორი **გ. მეჟლუმიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, სპნეიმოტორაკსით და ტუბერკულინზით, **რენტგენის**, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 სად. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს" პირდაპირ მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

დაკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4, მოცემული სამობილიზაციო გამწვევ კომისიის მიერ კონსტანტინე ონისემეს ძე სვ ნის სახელზე. ჩ. გ. 1—1 762

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1008 და სარეგისტრაციო ფურცელი. ილია ვლადიმერის ძე ბახტაძეს სახელზე ჩ. გ. 1—1 756

დაკარგე პირადობის მოწმობა ტრიფონ პატარიძეს სახელზე. ჩ. გ. 1—1 757

დაკარგე საწევრო წიგნაკი და დამხმარე სალაროს წიგნაკი, გაცემული ქ. თბილისში სახალხო კვების კავშირისაგან, ვალენტინა მ ვეინის ასულის კაზლოვას სახელზე. ჩ. გ. 1—1 755

დაკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტი სამკურნალო ფაკულტეტის მატრიკული № 2755. ტროფიმე ჩანტლაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 758

დაკარგე დამხმარე სალაროს წიგნაკი № 1288. ვლადიმერ პანტურიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 760

დაკარგე დამხმარე სალაროს ბავშვის რძის წიგნაკი № 193 პეტრე კორძაიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 760

დაკარგე პირადი წიგნაკი № 1067 კორნელი გიორგის ძე ცანავას სახელზე ჩ. გ. 1—1 764

დაკარგე პირადობის მოწმობა № 532 პორფილე თედოს ძე მარგანჯიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 764

დაკარგე პირადობის უვადო მოწმობა № 32 ალექსი იოსების ძე ჭონქაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 763

დაკარგე ინვალიდობის მოწმობა კოსტა კირვალიძეს სახელზე, ჩ. გ. 1—1 766

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 4900 ალექსი ვლადიმერის ძე კოჩიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 767

დაკარგე პირადობის მოწმობა, № 126 ვლადიმერ ჯულიაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ. 893